მაიორი ჰ. ფონ დახი

ბრიტალური ხანაადმდეგობა

შვეიცარიის არმია

პარტიზანული ბრძოლებისა და
იატაკქვეშა ოპერაციების
სახელმძღვანელო

მაიორი ჰ. ფონ დახი

ტოტალური წინააღმდეგობა

შვეიცარიის არმია

პარტიზანული ბრძოლებისა და იატაკქვეშა ოპერაციების სახელმძღვანელო

პირველი გამოცემა, თბილისი, 2010

მთარგმნელები: ირმა ახვლედიანი, ნოდარ მანჩხაშვილი
რედაქტორი: თამარ გავაშელიშვილი
დამკაბადონებელი: გიორგი კევლიშვილი
ყდის დიზაინერი: ნათია კვარაცხელია

ISBN 978-9941-15-208-5

MAJOR H. VON DACH
Total Resistance
SWISS ARMY
GUIDE TO GUERILLA WARFARE AND UNDERGROUND OPERATIONS

შინაარსი

შესავალი 5

წარსულში უმნიშვნელოვანესი პარტიზანული ბრძოლები 6

I ნაწილი
პარტიზანული ბრძოლის ორგანიზება და მართვა

I. პარტიზანული ბრძოლის მიზანი 9

II. პარტიზანული ბრძოლის ორგანიზება 11

III. პარტიზანული ქვედანაყოფების ტაქტიკა 27

IV. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მტრის ქმედებები პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ 68

II ნაწილი
სამოქალაქო წინააღმდეგობის ორგანიზება და მართვა

I. ორგანიზება 73

II. მტრის ოპერაციები 86

III. წინააღმდეგობის მოძრაობის ოპერაციები 99

საბოლოო შენიშვნები 176

შესავალი

ავტორი აცნობიერებს, რომ რთულ საქმეს მოჰკიდა ხელი, თუმცა, დიდი ომიანობის ეპოქაში, როცა საბრძოლო მასალასთან ერთად იდეოლოგიაც მნიშვნელოვანია, ამ თემის განხილვა აუცილებელია.

ომის შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, მტრის ხელში გადავა. ჩნდება კითხვა: გადარჩენილი ჯარი და მოსახლეობა ახალ მმართველს დაემორჩილოს და სხვა ქვეყნების დახმარებას დაელოდოს თუ გააგრძელოს ბრძოლა ახალი მეთოდებით?

თუ გავითვალისწინებთ ხალხის თავისუფლების სიყვარულსა და პოტენციური მტრის სისასტიკეს, მივხვდებით, რომ საოკუპაციო ძალებსა და დაპყრობილ ხალხს შორის შეტაკება გარდაუვალია. ამიტომ, ვფიქრობ, არც თუ ისე უსარგებლოა პარტიზანული ბრძოლების ტაქტიკისა და მეთოდების აღწერა.

ავტორი

წარსულში უმნიშვნელოვანესი პარტიზანული ბრძოლები

საფრანგეთის რევოლუციის დროს ვენდეში განხორციელებული ქმედებები;

ესპანელი პარტიზანების ბრძოლები ნაპოლეონის წინააღმდეგ;

ტიროლის აჯანყება ნაპოლეონის წინააღმდეგ;

ნაპოლეონის წინააღმდეგ ცენტრალურ გერმანიაში განხორციელებული პარტიზანული ოპერაციები;

ბერძნების განმათავისუფლებელი ბრძოლა თურქების წინააღმდეგ;

1870/71 წწ. – ბრძოლები ფრანკო-პრუსიის ომის დროს

ავსტრიის „სამშვიდობო ოპერაციები" ბოსნიაში;

1914 წ. – ბელგიელი მეამბოხეების ქმედებები;

1914 წ. – გერმანული კავალერიის თავდასხმები საფრანგეთის ჯარებზე;

სერბი მეამბოხეების ქმედებები I მსოფლიო ომის დროს;

ტომას ედუარდ ლოურენსის უდაბნოს ოპერაციები თურქების წინააღმდეგ I მსოფლიო ომის დროს;

რურის ტერიტორიაზე მეამბოხეთა ქმედებები შლაგატერის მეთაურობით I მსოფლიო ომის შემდეგ;

ანტიბოლშევიკური ოპერაციები ბალტიისპირეთის ქვეყნებში I მსოფლიო ომის შემდეგ;

სამოქალაქო აჯანყებები (მოხალისეთა კორპუსის მოქმედებები) გერმანიაში I მსოფლიო ომის შემდეგ;

„თეთრი“ და „წითელი“ პარტიზანების ოპერაციები რუსეთის რევოლუციის დროს (განსაკურებით აღსანიშნავია ციმბირის კამპანია: კოვალჩუკი);

ბუშის ომი გრან-ჩაკოში;

აბისინიელი პარტიზანების ოპერაციები იტალია-აბისინიის ომის დროს;

რესპუბლიკელი პარტიზანების ოპერაციები ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს;

კომუნისტური ჩინეთის პარტიზანთა ოპერაციები ცენტრალური მთავრობისა და იაპონიის წინააღმდეგ;

ჩეხ რეპრესირებულთა ორგანიზაციის ოპერაციები II მსოფლიო ომის დროს;

საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობა II მსოფლიო ომის დროს (მაკისი, საფრანგეთის შიდა სამხედრო ძალებისა და პარტიზანების აჯანყება);

ჰოლანდიის, ბელგიისა და ნორვეგიის წინააღმდეგობის მოძრაობები II მსოფლიო ომის დროს;

პოლონეთის იატაკქვეშა მოძრაობა II მსოფლიო ომის დროს (ვარშავის აჯანყება გენერალ ბორის თაოსნობით);

საბჭოთა და იუგოსლავიელი პარტიზანების ოპერაციები II მსოფლიო ომის დროს;

ბრიტანეთის პარტიზანული ოპერაციები იაპონიის ფრონტზე;

იტალიის პარტიზანული ოპერაციები გერმანელებისა და ნეოფაშისტების წინააღმდეგ;

ვერვოლფის ოპერაციების დასაწყისი გერმანიაში;

კომუნისტური საბერძნეთის განმათავისუფლებელი არმიის აჯანყებები II მსოფლიო ომის დროს;

არალეგალური ირლანდიური რესპუბლიკური არმიის ოპერაციები;

ალჟირისა და ტუნისის ბრძოლები ფრანგების წინააღმდეგ;

მაუ-მაუს ოპერაციები კენიაში ბრიტანელების წინააღმდეგ;

ჩრდილოეთ კორეის პარტიზანთა ბრძოლები გაეროს ჯარების წინააღმდეგ;

წინააღმდეგობის მოძრაობა მალაიზიაში ბრიტანელების წინააღმდეგ;

ვიეტნამის ოპერაციები საფრანგეთის წინააღმდეგ (განსაკუთრებით, საწყის ეტაპზე);

ანტიკომუნისტური აჯანყებები აღმოსავლეთ ბერლინში;

ანტიკომუნისტური რევოლუცია უნგრეთში;

ანტიკომუნისტური აჯანყებები პოლონეთში;

კრეტის ეროვნული ორგანიზაციის ოპერაციები კვიპროსში.

I ნაწილი. პარტიზანული ბრძოლის ორგანიზება და მართვა

I. პარტიზანული ბრძოლის მიზანი

ზოგადი ინფორმაცია

პარტიზანული ბრძოლის მიზანია, მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, თუნდაც რეგულარული არმიის დამარცხების შემდეგ, არ შეწყდეს ხალხის წინააღმდეგობა. პარტიზანული რაზმები აშინებს და აბნევს მტერს და აიძულებს მას, მიიღოს უსაფრთხოების მკაცრი ზომები; ეს კი საბოლოოდ ასუსტებს და დიდ ზიანს აყენებს მის პერსონალსა და საომარ მასალებს.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მუდმივად არასტაბილური მდგომარეობა უნდა იყოს, რათა მოწინააღმდეგეს არ შეეძლოს თავისუფლად გადაადგილება.

ბოლო ეტაპია საყოველთაო აჯანყება ქვეყნიდან აგრესორთა გასადევნად.

განსაკუთრებული სამიზნეები

საავტომობილო და სარკინიგზო გზები;

კავშირგაბმულობის ქსელი (მიწისზედა და მიწისქვეშა სატელეფონო ხაზები, სატელეფონო და რადიოსადგურები);

ელექტროსადგურები და ელექტროგაყვანილობა;
სასიცოცხლო მნიშვნელობის სამრეწველო ქარხნები;
სარემონტო მაღაზიები და დეპოები;
შტაბები;
ავტოტრანსპორტის კოლონები;
კურიერები, შიკრიკები და საკავშირო ოფიცრები.

პარტიზანული ბრძოლის მახასიათებლები:

ომის მონაწილე მხარეები სურსათითა და პირველადი მოხმარების ნივთებით მარაგდებიან ქარხნებიდან და საწყობებიდან, პარტიზანებს კი ამის ფუფუნება არა აქვთ.

პარტიზანული რაზმის მეთაური გაცილებით დამოუკიდებელია და მეტი უფლებებით სარგებლობს, ვიდრე არმიის იმავე რანგის ოფიცერი.

პარტიზანული ქვედანაყოფების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია გამოცდილი ინსტრუქტორები და მეთაურები. მტრის მიერ ფრონტის ხაზის საჰაერო ძალებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით გადალახვისას შვეიცარიის არმიის ბევრი ქვედანაყოფი უვნებელი გადარჩება, რაც ხელს შეუწყობს გამოცდილი მებრძოლების შეგროვებას პარტიზანული რაზმებისთვის.

II. პარტიზანული ბრძოლის ორგანიზება

1. პარტიზანული ქვედანაყოფების შექმნა

რადგანაც პარტიზანული რაზმები უმეტესად ჯარების ცალკეული და სათადარიგო ნაწილებისგან შედგება, აუცილებელია მათი თავმოყრა. საჭიროა ამ საქმის მცოდნე ადამიანების ადგილობრივი მოსახლეობიდან აყვანაც. ბატალიონი ან საპოლკო შტაბი გააერთიანებს ადგილობრივ მილიციას, სათადარიგო ძალებს, საჰაერო თავდაცვის წევრებს, პოლიციას, ჯარების ნაწილებსა და მოხალისეებს. მეთაურის არარსებობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობას აიღებენ დაბალი რანგის ოფიცრები. გენერალურ შტაბს მხოლოდ ზოგადი დირექტივების გაცემა შეუძლია.

ადგილობრივი მოსახლეობის დახმარების გარეშე პარტიზანები მალე ამოწურავენ თავიანთ რესურსებს.

პარტიზანული ბრძოლა არასდროს მიმდინარეობს წინა ხაზზე, რადგანაც აქ მტერი ყოველთვის უფრო ძლიერია და მოსახლეობასაც არ სურს გარისკვა. გარდა ამისა, მტრის რეგულარული ჯარები ფრონტის ხაზზე მცხოვრებ მოსახლეობას არ ავიწროებენ. ფრონტს მიღმა კი, პოლიტიკური ტერორით შეშფოთებული მოსახლეობა აუცილებლად დაიკავებს პარტიზანთა მხარეს. მტერი ნამდვილად არ გამოყოფს თავის ყველაზე ძლიერ ეშელონებს უსაფრთხოების, საოკუპაციო ოპერაციებისა და

პარტიზანთა წინააღმდეგ ბრძოლებისთვის. ამისთვის ის გამოიყენებს მეორეხარისხოვან ძალებს, რაც ნამდვილად ხელსაყრელია პარტიზანებისთვის.

უნდა განასხვავოთ:

ა. მობილური პარტიზანული ქვედანაყოფები, რომლებიც ეკუთვნის ჯარს ან შედგება ჯარის ნაწილებისგან;

ბ. სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილე ადგილობრივი მოსახლეობა.

პარტიზანული ბრძოლის მიზანია, განხორციელდეს ადგილობრივი წინააღმდეგობის ოპერაცია მთელ ოკუპირებულ ტერიტორიაზე (განსაკუთრებით, საბოტაჟისა და კონტრ-პროპაგანდის მეშვეობით). გათავისუფლებულ ტერიტორიებს პარტიზანები დაიკავებენ, მაგრამ ომის შემდეგ ეტაპზე ეს ტერიტორიები შეიძლება ისევ მტერს დაუთმონ. ჩვეულებრივ, გათავისუფლებული ტერიტორიების შენარჩუნება რამდენიმე კვირით ან თვით ხერხდება, სანამ მოწინააღმდეგე ფართომასშტაბიან ოპერაციას წამოიწყებს პარტიზანების წინააღმდეგ.

ასეულის ან ბატალიონის ზომის მობილური ძალები (განადგურებული ფეხოსანი ჯარის ნაწილები) ადვილად გაურბიან მტრის ფართომასშტაბიან ოპერაციებს, გათავისუფლებულ ტერიტორიებს იკავებენ მხოლოდ გარკვეული დროით და არასდროს ერთვებიან გადამწყვეტ ბრძოლაში, რადგან ამას შესაძლოა მთლიანი ქვედანაყოფის განადგურება მოჰყვეს.

ადგილობრივი რაზმები (სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობა) არასდროს ჩაერთვება მტრის ფართომასშტაბიან ოპერაციებში და „გაუჩინარდება" დროებით შეწყვეტილი ბრძოლის დროს.

ადგილობრივი მოხალისეები მცირე ოპერაციებით

გაფანტავენ მტრის ჯარებს და დაიცავენ მობილური პარტიზანული რაზმების უსაფრთხოებას.

თუ მოხერხდება ბატალიონის ზომის მძიმე ტექნიკით აღჭურვილი პარტიზანული ქვედანაყოფის შექმნა, მონინააღმდეგე ვეღარ შეძლებს დიდი ტერიტორიის დაკავებას და მხოლოდ სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის მარშრუტების ოკუპაციით შემოიფარგლება.

დაბომბილი შენობები პარტიზანების თავშესაფრად გამოდგება.

შვეიცარიის ოკუპაციის შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, მტერი მეზობელ ქვეყნებშიც შევიდეს. ბუნებრივია, იქაც დაიწყება პარტიზანული წინააღმდეგობა, ასე რომ, ჩვენი ქვეყნის პარტიზანები მეზობელი ქვეყნების პარტიზანებისგანაც მიიღებენ დახმარებასა და მხარდაჭერას.

2. პარტიზანული ქვედანაყოფების ძალა

მთავარი პრობლემა პარტიზანულ ქვედანაყოფებს შორის ძალების გადანაწილებაა.

თუ პარტიზანებს მცირე რაზმებად დაყოფთ, მტერს შეეძლება აკონტროლოს ტერიტორია პატარ-პატარა საგუშაგოებით, რომლებშიც განთავსებული იქნება მხოლოდ ერთი ათეული ან ოცეული. მტერი შექმნის ძლიერ ცენტრალურ სარეზერვო ძალას და შპიონაჟის დახვეწილ ქსელს. პარტიზანთა ქვედანაყოფის გაზრდის შემთხვევაში, მტერი იძულებული იქნება, შექმნას უფრო ძლიერი გარნიზონი. თუ მას აიძულებთ, გადაიტანოს ყველა პოსტი ნეიტრალურ ტერიტორიაზე და დასჯერდეს მხოლოდ რამდენიმე ძლიერ პუნქტს ბატალიონის შემადგენლო-

ბით, საკმაოდ გაუჭირდება სარეზერვო ძალების გამონახვა. მოწინააღმდეგის ინფორმატორები და აგენტები ველარ მოიპოვებენ მხარდაჭერას ამ ადგილებში. შედეგად, მტრის ქსელი თანდათან შესუსტდება და თქვენი გამარჯვების ალბათობაც გაიზრდება.

დიდი პარტიზანული ქვედანაყოფები მოუქნელია. ისინი უფრო ხშირად ერთვებიან ბრძოლაში და მათი დამარცხებაც უფრო იოლია. ამიტომ უპირატესობა ენიჭება მძიმე კალიბრის იარაღით აღჭურვილ ბატალიონებს, რადგან მათ უფრო წარმატებით შეუძლიათ შეუტიონ გამაგრებულ ასეულს.

გვიანი შემოდგომიდან გაზაფხულამდე, როცა კლიმატური პირობების გამო შეუძლებელია ბანაკის გაშლა, პერსონალის გარკვეული ნაწილი თავისუფლდება, მაგრამ ზაფხულში კვლავ უბრუნდება ქვედანაყოფს. იგივე მანევრი სრულდება საკვების სიმცირის შემთხვევაშიც.

მცირე ზომის პარტიზანული რაზმების საპასუხოდ, მოწინააღმდეგეც მცირე ზომის საოკუპაციო ჯგუფებს შექმნის, რაც გამოიწვევს ბევრი ინდივიდუალური პოსტის და აქედან გამომდინარე, კონტროლის უფრო მჭიდრო ქსელის დაფუძნებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუშლის ჩვენი რაზმების მოქმედებას. აგენტები და ინფორმატორები ოპერირებას წარმატებით შეძლებენ ნეიტრალურ ზონაში, ხოლო მტერი ჩამოაყალიბებს ძლიერ ცენტრალურ რეზერვს.

პარტიზანთა ძლიერი რაზმების არსებობა გამოიწვევს მტრის მიერ ასევე ძლიერი ქვედანაყოფების შექმნას, რაც თავისთავად ნიშნავს მხოლოდ რამდენიმე ძლიერი პოსტის დაფუძნებას და ნაკლებად ეფექტური კონტროლისა და დაკვირვების სისტემის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, თქვენ მოქმედების მეტი თავისუფლება გექნებათ, აგენ-

ტები და ინფორმატორები ვერ მოიპოვებენ მხარდაჭერას ნეიტრალურ ზონაში და ვერც მოწინააღმდეგე შექმნის ძლიერ ცენტრალურ რეზერვს.

3. პარტიზანული შტაბების პერსონალი

ეფექტური პარტიზანული ბრძოლების წარმოებისათვის აუცილებელია კვალიფიციური პერსონალი. საჭიროების შემთხვევაში, ისინი ადგილობრივი მოსახლეობიდან უნდა შეირჩეს.

ფოსტის, სატელეფონო სადგურების, რკინიგზის თანამშრომლები და ელექტროინჟინრები საუკეთესო მრჩევლები იქნებიან საბოტაჟის მოწყობის საკითხებში. რადიოინჟინრები უზრუნველყოფენ კავშირს პარტიზანებსა და რეგულარულ არმიას შორის, ასევე სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობასა და მეზობელ ქვეყნებს შორის (თუ განადგურებული იქნება ჩვენი ჯარის შტაბები). პოლიტიკოსების, რედაქტორებისა და სხვათა მეშვეობით პარტიზანები დაუკავშირდებიან ადგილობრივ მოსახლეობასა და წინააღმდეგობის მოძრაობას. საგაზეთო ჟურნალისტები სათავეში ჩაუდგებიან პარტიზანების მიერ კონტროლირებად პრესას.

4. ორგანიზება

დაიკავეთ ყველა ტერიტორია, რომელთა ოკუპირება მტერმა ვერ შეძლო ნაკლებად სტრატეგიული მნიშვნელობის ან საკმარისი სამხედრო ძალების არქონის გამო.

შექმენით მცირე ჯგუფები და არ იმოქმედოთ, სანამ სრულ მზადყოფნაში არ იქნებით. ჩამოყალიბების საწყის

ეტაპზე არ გამოიწვიოთ მტერი, რადგან ამ დროს დამარცხების რისკი უფრო მაღალია, ვიდრე ნებისმიერ სხვა კრიტიკულ სიტუაციაში. კვალიფიციური პერსონალისა და ტექნიკოსების აყვანა ადგილობრივი მოსახლეობიდანაც შეიძლება. ყველა მოქალაქე, ვინც თქვენ შემოგიერთდებათ, გადაურჩება მტრის ძალადობას.

საორგანიზაციო ამოცანები:

მომავალი პარტიზანული ქვედანაყოფის მეთაური

მოსახლეობა

დაადგინეთ, ვისი ნდობა შეიძლება და ვისი – არა, ვინ თანამშრომლობს მოწინააღმდეგე მხარესთან, ვინ გაგიწევთ პასიურ (მაგ. საკვებით მომარაგება) და აქტიურ (დანაღმვა, დაჭრილებისა და ავადმყოფების გადამალვა და მოვლა) დახმარებას; ვინ მოგაწვდით დაზვერვის მონაცემებს.

პარტიზანული ქვედანაყოფი

ჩამოაყალიბეთ საბრძოლო რაზმები (ათეულები, ოცეულები), მოიმარაგეთ საომარი მასალა და საკვები, აღჭურვილობა (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ზურგჩანთები და სხვ.), განვრთენით მეომრები, არტილერია გარდაქმენით ნაღმმტყორცნ რაზმად; პოლიციის, სამოქალაქო საჰაერო თავდაცვის, საფოსტო და მომარაგების პერსონალისგან შექმენით ქვეითი ჯარი.

გამოცდილი ჯარისკაცებისთვის აუცილებელია მცირეხნიანი წვრთნა. წვრთნის პერიოდში ახალი წევრები გაიცნობენ მეთაურებს, გაეცნობიან პარტიზანული ბრძოლის ძირითად ტაქტიკასა და საშუალებებს: მარშირება, თავდაცვა, კავშირგაბმულობა, დაზვერვა, საბოტაჟი და აფეთქებები.

წვრთნის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, საომარი მოქმედებები მიმდინარეობს თუ მშვიდობაა. რაც

მეტხანს გაგრძელდება საორგანიზაციო ფაზა, მით მეტია წარმატების ალბათობა.

სამომავლო სამიზნეების დაზვერვა და სისტემატურად დაკვირვება შესაძლებელია წვრთნების პარალელურად. პერსონალის სიმცირის გამო, საარტილერიო რაზმი გარდაიქმნება ნაღმსასროლ რაზმად, მსუბუქი მოტორიზებული ქვეითი ჯარის ნაწილები, სატანკო ეკიპაჟები, მძღოლები, მფრინავები, სახმელეთო პერსონალი, საზენიტო და საჰაერო თავდაცვის, საფოსტო და მომარაგების პერსონალი, ადგილობრივი მილიცია და პოლიცია გაერთიანდება ქვეითთა ჯარში.

მოხალისეების აყვანა შეიძლება შემდეგი ჯგუფებიდან:

ა. წვევამდელთა ასაკის ახალგაზრდები: სამხედრო სასწავლებლის სტუდენტები, მსროლელთა კლუბის წევრები.

ბ. ახალგაზრდები, რომელთაც მოიხადეს სავალდებულო სამხედრო სამსახური;

გ. ხალხი, რომელიც სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარად ცნეს ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან.

დ. თადარიგში გასული მოხელეები, რომლებიც ომისათვის მნიშვნელოვან დაწესებულებებში მუშაობდნენ (რკინიგზა, ფოსტა).

აიყვანეთ მოყვარული რადიოოპერატორები. მღვდლები სამედიცინო განყოფილებას მიამაგრეთ, რადგანაც მათ შეუძლიათ კავშირი იქონიონ ადგილობრივ მაცხოვრებლებს მიბარებულ დაჭრილ მეომრებთან.

მეიარაღეები და სამოქალაქო მექანიკოსები ჯარისკაცებს შეასწავლიან მტრისგან ამოღებული იარაღის ხმარების წესებს.

5. მეთაურები

მეთაურების შერჩევის დროს დიდი სიფრთხილე გმართებთ. უპირველეს ყოვლისა, მეომრები პატივს უნდა სცემდნენ მეთაურს, რადგანაც ფრონტის ხაზზე ყველანაირი სამხედრო ჩინი კარგავს თავის მნიშვნელობას. პარტიზანებს ქარიზმატული მეთაური სჭირდებათ, ვისაც აქვს უნარი მართოს ხალხი არა მხოლოდ ბრძანებებით. გარდა ამისა, მეთაურს უნდა ჰქონდეს მცირე რაზმებით მოქმედების ტექნიკური ცოდნა, უნდა იცნობდეს ნაღმებსა და ასაფეთქებელ ტექნიკას, რადგანაც პარტიზანული ბრძოლა მარტივი ოპერაციების ზუსტად შესრულებას უფრო მოითხოვს, ვიდრე დიდი გადაწყვეტილებების მიღებას.

6. აღჭურვილობა

აუცილებლად დაგჭირდებათ ტანსაცმელი და პირადი მოხმარების ნივთები, ფეხსაცმლით დაწყებული და თერმოსით დამთავრებული. გამოგადგებათ ე.წ. „საველე უნიფორმები", კომბინეზონები, სათხილამურო შარვლები და ქარგაუმტარი ქურთუკები. რაც შეეხება პირადი მოხმარების ნივთებს, როგორიცაა დანა-ჩანგალი, კოვზები, პატარა ღუმელები, ფანრები, ზურგჩანთები, მათი შოვნა შეგიძლიათ მოსახლეობაში, დახოცილი ჯარისკაცების ნივთებსა და ქალაქებში მდებარე მაღაზიებში სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობის წევრების დახმარებით. კარვების შოვნა შეგიძლიათ სპორტულ მაღაზიებში. ყველა ამ ნივთის შეგროვება, წინააღმდეგობის მოძრაობის წევრების გარდა, პარტიზანებსაც შეუძლიათ, თუკი

სამოქალაქო ტანსაცმელს გადაიცვამენ. ზამთრისთვის მზადება რაც შეიძლება ადრე უნდა დაიწყოთ. მოიმარაგეთ საბნები, თბილი ფეხსაცმელი. საწოლის თბილი გადასაფარებლებისგან შესაძლებელია თოვლგამძლე ტანისამოსის შეკერვა.

იქონიეთ ორი რადიომიმღები, სტაციონალური – ელექტროენერგიაზე სამუშაოდ და პორტატული, ბატარეებით, ისეთი ადგილებისთვის, სადაც ელექტროენერგია არ არის (მთები, ტყეები). ბატარეებით წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები მოგამარაგებენ. გაითვალისწინეთ, რომ მოწინააღმდეგეს ამ ყველაფრის შოვნა უნდა დაასწროთ.

აიყვანეთ ისეთი რადიოოპერატორები, რომელთაც შეეძლებათ რადიოაპარატის შეკეთება მაშინაც კი, როდესაც ხელსაწყოები არ აქვთ.

რადიომიმღების საშუალებით თვალყურს მიადევნებთ მოწინააღმდეგისა და მოკავშირე ქვეყნების გადაცემებს, ასევე დაუკავშირდებით უსაფრთხო ზონაში მდებარე შტაბებს და საზღვარგარეთ გახიზნულ მთავრობას. ისინი მოგაწვდიან რჩევებს ოპერაციებთან დაკავშირებით და მიგანიშნებენ სამიზნეებზე. ამასთანავე, მათი მხარდაჭერა მორალურადაც გაგამხნევებთ.

7. იარაღის მიწოდება

საერთოდ, იარაღის შოვნა უფრო ადვილია, ვიდრე საბრძოლო მასალისა. ავტომატებს, ტყვიამფრქვევებს, საზენიტო დანადგარებსა და ნაღმმტყორცნებს რეგულარული ჯარის ნაწილებისგან მიიღებთ, ხოლო პისტოლეტებსა და კარაბინებს სათადარიგო სამსახური, ადგილობრივი მილიცია და პოლიცია მოგაწოდებთ.

მოხალისეთა აღსაჭურვად დიდი რაოდენობის იარაღი დაგჭირდებათ, რაც არც თუ ისე ადვილი მოსახერხებელია. ამ პრობლემის გადასაწყვეტად გთავაზობთ რამდენიმე მეთოდს:

ა. შეაგროვეთ იარაღი ნაკლებად კონტროლირებად ბრძოლის ველებზე განადგურებული ტანკებიდან, ფორტიფიკაციებიდან და ჩამოგდებული თვითმფრინავებიდან.

ბ. ააცალეთ იარაღი დაღუპულ მეომრებს.

გ. თითქმის ყოველ შვეიცარიულ ოჯახს აქვს ძველი, მაგრამ გამოსადეგი იარაღი (შაშხანა, კარაბინი).

დ. მსროლელთა და მონადირეთა პირადი კოლექციები.

ე. იარაღის მაღაზიები და პოლიციის განყოფილებები, რომლებიც იძულებულნი იქნებიან იარაღი მტერს ჩააბარონ, რადგან იარაღის დამალვით სიცოცხლეს საფრთხეში ჩაიგდებენ.

8. საბრძოლო და ასაფეთქებელი მასალების მომარაგება

ა. მომარაგების ძირითადი წყაროებია:

დაშორიშორებული ჯარების მასალები;

უკანდახეული ჯარის მიერ გეგმიურად მოწყობილი სამალავები;

დაღუპული ჯარისკაცების საბრძოლო მარაგი;

მტრის ტრანსპორტსა და საწყობებზე თავდასხმისას ამოღებული მასალები;

ბრძოლის ველები – განადგურებული ტანკები, საველე ფორტიფიკაციები, ჩამოგდებული თვითმფრინავები;

დანაღმული ზონებიდან ამოღებული ნაღმები.

ბ. მომარაგების სავარაუდო წყაროები:

ერთეული საჰაერო მომარაგება შორეული საყრდენი პუნქტიდან;

სისტემატური საჰაერო მომარაგება მოკავშირე ქვეყნებიდან.

იარაღისა და საბრძოლო მასალების შეგროვება შეიძლება მონადირეებისგან, მსროლელებისგან, პოლიციის განყოფილებებსა და სამოქალაქო მსროლელთა კლუბებში. ასაფეთქებელ ნივთიერებებსა და დეტონატორებს იშოვით სამოქალაქო სამშენებლო კომპანიებში, კარიერებში, ფერმებსა და ხის დამამუშავებელ საამქროებში. პნევმატური იარაღი, რომელიც განსაკუთრებით გამოსადეგია უხმაურო თავდასხმების დროს, ფერმერებს გამოართვით. ერთი ქვედანაყოფისთვის მიზანშეწონილია ორი ან სამი ასეთი იარაღი.

საბრძოლო მასალების შესანახად ააშენეთ შენიღბული საწყობი. გახსოვდეთ, რომ იარაღს დიდ ზიანს აყენებს ნესტი, ამიტომ საწყობი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა აიგოს. იარაღის ყუთები დააწყვეთ ხის მორებისგან ან ფიცრებისგან შეკრულ ცხაურზე.

ჰაერის ცირკულაციისთვის იარაღის ყუთები და კონტეინერები ცოტათი დააშორეთ ერთმანეთს. იმავე მიზნით ერთმანეთზე დაწყობილ ყუთებს შორის დააწყვეთ ფიცრები. გაანიავეთ საცავი რაც შეიძლება ხშირად.

ხელნაკეთი, კონცენტრირებული ნაღმი საუკეთესო საშუალებაა სარკინიგზო ხაზების, მაღალი ძაბვის ბოძების, ტრანსფორმატორებისა და სხვა ნაგებობების ასაფეთქებლად. ასეთ ნაღმებში მოთავსებულია 3-4 კგ. ასაფეთქებელი ნივთიერება.

თითქმის ყველა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმს გვერდზე

ან ძირზე აქვს პატრუქის ჭრილი, სადაც ჩასვამთ პატრუქსა და კაფსულას.

თუ ნაღმს არ აქვს ასეთი ჭრილი, მაშინ მავთულით მიამაგრეთ 200 გრამიანი მუხტი, რომელიც დეტონატორის ფუნქციას შეასრულებს.

საარტილერიო ჭურვები, ნაღმმტყორცნის და საჰაერო ყუმბარები ძალიან გამოსადეგია ფიქსირებული სამიზნეების გასანადგურებლად. ჭურვი მავთულით მიამაგრეთ ფიცარზე, ხოლო ასაფეთქებლად გამოიყენეთ მცირე მუხტი, რომელიც დამაგრებული იქნება ჭურვის დეტონატორის მახლობლად.

9. სარემონტო პუნქტების ორგანიზება

სხვადასხვაგვარი სარემონტო პუნქტებია საჭირო გათავისუფლებულ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე. სამოქალაქო საზეინკლოებსა და სამჭედლოებში მოაწყობთ სარემონტო ფარეხებს, სადაც სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული პარტიზანები ჩაატარებენ ისეთ სარემონტო სამუშაოებს, როგორსაც ჩვეულებრივ საველე პირობებში ვერ შეძლებენ.

10. საკვები მარაგის ორგანიზება

გათავისუფლებულ ტერიტორიებზე საკვების მარაგი შეიძლება შეგროვდეს ფერმებიდან, წისქვილებიდან, მაღაზიებიდან. ცხადია, ასეთ სიტუაციაში მოსახლეობასა და პარტიზანებს შორის უთანხმოება წარმოიშობა. ამ დროს მოქმედებას იწყებს შუამავალი (იხ. 3. პარტიზანული შტაბების პერსონალი), რომელიც ქვედანაყოფის

მეთაურის მითითებების შესაბამისად ურთიერთობას დაამყარებს მოსახლეობასთან (იხ. 12. ურთიერთობა მოსახლეობასთან).

საკვებით მომარაგება დიდ გავლენას ახდენს პარტიზანების ტაქტიკაზე. რადგანაც 80-100 მეომრის გამოკვება უფრო ადვილია, ვიდრე ბატალიონისა, ასეულის ზომის ქვედანაყოფები ცხოვრობენ განცალკევებით, ხოლო ბატალიონები მხოლოდ დიდი ოპერაციებისთვის ყალიბდება.

მაღალხარისხიანი და არამალფუჭებადი საკვები ზამთრისთვის შემოინახეთ. ასეთი პროდუქტებია: შოკოლადი, პაკეტის რძე, ორცხობილები, ცხიმისა და ზეთის შემცველი კონსერვები, შაშხი, შებოლილი ხორცი და ძეხვი.

თუ საკვებით მოსახლეობა გამარაგებთ, სოფლებში შედით მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. ზაფხულობით წინასწარ შეატყობინეთ მოსახლეობას, მოამზადონ საკვები, რომელსაც მოგვიანებით წამოიღებთ. ზამთრობით ისადილეთ სანდო ოჯახში. უნდა ეცადოთ, ეს შეუმჩნეველი იყოს.

უსაფრთხოების ასეთი მკაცრი წესები შეიძლება შერბილდეს გათავისუფლებულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ზამთარში.

11. სამედიცინო მომსახურების ორგანიზება და სამედიცინო მარაგის შესყიდვა

შეუძლებელია პარტიზანებისთვის საველე საავადმყოფოების შექმნა, რადგანაც ქვედანაყოფები გამუდმებით მოძრაობენ გათავისუფლებულ ტერიტორიაზე.

შემოიფარგლეთ მხოლოდ პირველადი სამედიცინო

დახმარებით. დაჭრილები და ავადმყოფები გადაიყვანეთ სანდო ხალხთან.

მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო პერსონალი მეტად მნიშვნელოვანია პარტიზანული ქვედანაყოფებისათვის: ისინი უნდა აიყვანოთ ადგილობრივი მოსახლეობიდან.

სამედიცინო მარაგები:

ა. წყაროები:

დაშორიშორებული სამხედრო ქვედანაყოფების მფლობელობაში არსებული მარაგი;

მტრისგან ამოღებული მარაგი;

ბ. მარაგის შესყიდვა სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობის დახმარებით:

სამოქალაქო ექიმებისგან;

სამოქალაქო აფთიაქებისგან;

სამოქალაქო საავადმყოფოებისგან;

დიდ სამრეწველო ქარხნებში არსებული პირველადი დახმარების პუნქტებისგან;

კერძო პირებისგან;

ფარმაცევტული კომპანიებისგან.

12. ურთიერთობა მოსახლეობასთან

მოსახლეობის კეთილგანწყობა და აქტიური დახმარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გახსოვდეთ, რომ თქვენმა უდისციპლინობამ და უხეშობამ შესაძლოა მათი გაუცხოება გამოიწვიოს, ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვათ პროვოკაციები. ზოგჯერ პარტიზანული ქვედანაყოფები საოკუპაციო ძალებზე მეტად საშიშია ხალხისთვის.

იყავით ლოიალურნი ხალხთან. ნუ გამოიყენებთ ძალას, მუქარას. უმჯობესია, თუ მათ თქვენს საერთო მიზნებს შეახსენებთ და პატრიოტიზმისკენ მოუწოდებთ.

გახსოვდეთ, რომ სამართლებრივი ომის კანონები არ გამოიყენება პარტიზანული ბრძოლების დროს. ნებისმიერ ადამიანს, ასაკისა და სქესის განურჩევლად, შეუძლია დიდი ზიანი მოგაყენოთ. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, თქვენ პრაქტიკულად დამოკიდებული ხართ ხალხის კეთილგანწყობასა და სანდოობაზე.

ბრძოლის საწყის ეტაპზე მოსახლეობა შეშინდება და მხნეობას დაკარგავს, თუმცა გრძელვადიანი ომისა და ოკუპაციის პირობებში სიტუაცია თანდათან შეიცვლება.

შურისმაძიებელ მოსახლეობას თქვენი დახმარება ბევრნაირად შეუძლია.

პასიური დახმარება:

ა. მტრის სისტემატური და მუდმივი თვალთვალი;

ბ. პარტიზანული ქვედანაყოფებისათვის უსაფრთხოების შეუმჩნეველი ქსელის შექმნა;

გ. მარაგის შეძენა;

დ. დაჭრილების და ავადმყოფების გადამალვა და მოვლა;

ე. საბრძოლო მასალის დამალვა;

ვ. გიდობა პარტიზანული ქვედანაყოფებისათვის;

ზ. მოღალატეების გამოვლენა.

აქტიური დახმარება:

ა. პარტიზანული ქვედანაყოფების ტექნიკოსებით უზრუნველყოფა;

ბ. დაჭრილი და დახოცილი პერსონალის ჩანაცვლება;

გ. ტერიტორიის დანაღმვა;

დ. საკაბელო კავშირგაბმულობის საბოტაჟი.

პარტიზანული ქვედანაყოფის უფროსი ფრთხილი უნდა იყოს სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებთან ურთიერთობისას გათავისუფლებულ ტერიტორიებზეც კი. გახსოვდეთ, რომ პოზიციები სწრაფად უნდა ცვალოთ. წინააღმდეგობის მოძრაობა ადგილობრივ შეზღუდვებს ექვემდებარება და უწევს ოპერაციების გაგრძელება თქვენი მითითებების მიხედვით. არ გაამხილოთ მათი ადგილსამყოფელი დროებითი უპირატესობების მოპოვების მიზნით, ამით მათ დატყვევებისა და სიკვდილისგან იხსნით.

III. პარტიზანული ქვედანაყოფების ტაქტიკა

1. პარტიზანთა პირველი ოპერაციები

საწყის ეტაპზე აირჩიეთ ისეთი სამიზნეები, რომელთა შესრულება რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეს არ უკავშირდება. მაგ: მაღალი ძაბვის ხაზების აფეთქება ან ტერიტორიის დანაღმვა.

მარტივი ოპერაციების წარმატებით შესრულების შემდეგ უკვე შეგიძლიათ უფრო ფართომასშტაბიანი ოპერაციებიც – მაგ: რკინიგზის სადგურების და ხიდების აფეთქება, კოლონებზე საფარიდან თავდასხმა და ა.შ. – განახორციელოთ.

როგორც მეთაური, უნდა შეეგუოთ იმ ფაქტს, რომ პარტიზანულ ბრძოლებში მოგიწევთ ისეთი სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება, როგორებიც არ გვხვდება რეგულარულ ჯარში, სადაც მხარში გიდგათ სახელმწიფო (კანონები, სასამართლო, პოლიცია) და დისციპლინის დამყარებაში გეხმარებათ.

2. პარტიზანული ქვედანაყოფების უსაფრთხოება

სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობა პარტიზა-

ნული ქვედანაყოფების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს შემდეგი მეთოდებით:

1. შპიონაჟი

სისტემატურად დაკითხეთ მოწინააღმდეგის წარმომადგენლები;

შტაბს აცნობეთ მტრის მიერ დაუდევრად გახმოვანებული ინფორმაცია;

მოუსმინეთ რადიო და სატელეფონო საუბრებს;

მოქრთამეთ საოკუპაციო ძალების ჩინოვნიკები;

დააშანტაჟეთ საოკუპაციო ძალების ჩინოვნიკები.

2. დაზვერვა

მუდმივად უთვალთვალეთ გზებს, რკინიგზას, რკინიგზის სადგურებსა და აეროპორტებს, რათა დროულად შენიშნოთ სადესანტო ფორმირება ან მოახლოებული მოტორიზებული კოლონები და სარკინიგზო ტრანსპორტი.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მოძრაობა გაცნობებთ დაზვერვის შედეგებს რადიოს, შიკრიკის ან მტრედების საშუალებით. შიკრიკობა დაავალეთ წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებს ან შუამავლებს.

3. ზოგადი მანევრირება

ა. იმოძრავეთ ჩუმად, ფრთხილად და მოხერხებულად.

ბ. ძალა გამოიყენეთ მხოლოდ მაშინ, როცა რეალურად შეგიძლიათ მოწინააღმდეგის დაძლევა.

გ. არ ჩაერთოთ ბრძოლაში, თუ ეს საფრთხეს შეუქმნის თქვენს ქვედანაყოფს.

დ. კონფიდენციალობა უსაფრთხოების უმთავრესი გარანტია.

ე. ჩასაფრება და მოულოდნელი თავდასხმა მთავარი საბრძოლო მეთოდებია.

ვ. არასდროს გამოიწვიოთ ძლიერი მეტოქე და არ ჩაერთოთ ღია ბრძოლაში.

ზ. ძლიერ მოწინააღმდეგესთან შეხვედრისას, დაიშალეთ მცირე ჯგუფებად, ხოლო როცა მტერს თავს დააღწევთ, კვლავ გაერთიანდით წინასწარ დათქმულ ადგილას.

თუ თავს ვერ აღწევთ დადევნებულ მტერს, არ ჩაებათ გადამწყვეტ ბრძოლაში. ამ დროს უმჯობესია, მიმართოთ შემაფერხებელ ქმედებებს და რაც შეიძლება სწრაფად გაეცალოთ მოწინააღმდეგეს.

როდესაც საოკუპაციო ძალები თავდასხმის შემდეგ სულს მოითქვამენ და დაუბრუნდებიან პოსტებს, კვლავ „შეაწუხეთ“ ისინი. როგორც წესი, პარტიზანული რაზმები სამალავიდან უნდა გამოვიდნენ მაშინ, როცა მტრის კოლონები გაუჩინარდებიან.

4. მარშირება

ფართომასშტაბიანი ოპერაციის წარმატებით განხორციელების შემდეგ, სანამ ახალ სამოქმედო არეალზე გადაინაცვლებდეთ, დაამყარეთ კავშირი ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ სანდო ხალხთან. გაგზავნეთ ერთი ან ორი უმცროსი ოფიცერი ტერიტორიის დასაზვერად.

მეთაური რუკაზე მოხაზავს ძირითად მარშრუტს და განსაზღვრავს, თუ როგორ გადაადგილდებით ერთი ადგილიდან მეორეზე მტრისგან შეუმჩნევლად.

თავი აარიდეთ მაგისტრალებზე და სოფლების გავლით მოძრაობას.

არ გაახმოვანოთ თქვენი გადაწყვეტილებები, სანამ მოქმედების დრო არ მოვა. თუ იძულებული ხართ ჩაატაროთ ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოები (საკვები მარაგის და იარაღის გადაზიდვა, ფართომასშტაბიანი დაზვერვა), დროის მოსაგებად გაავრცელეთ მცდარი, თუმცა მტრისათვის დამაჯერებელი ინფორმაცია თქვენი გეგმების შესახებ.

მტრის ინფორმატორთა შესაფერხებლად გაგზავნეთ პატრული გადაადგილების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე. პატრული ჩასაფრდება გზების და ქუჩების პირას და აიყვანს საეჭვო პირებს. თუ საჭირო გახდება, ტელეფონის ხაზებიც შეგიძლიათ გადაჭრათ.

უცნობი ტერიტორიები დაზვერეთ იმ მზვერავების საშუალებით, რომლებიც იცნობენ ამ ადგილებს და გააათავისუფლეთ ისინი მხოლოდ მაშინ, როცა ამოწურავენ თავიანთ შესაძლებლობებს.

არავის გაანდოთ თქვენი გეგმები. საიდუმლოდ შეინახეთ ინფორმაცია მომავალი სამოქმედო ადგილის შესახებ.

მოსახლეობაში შეიქმენით ისეთი რეპუტაცია, რომ ხართ ძალიან ძლიერი, თუნდაც ეს არ შეესაბამებოდეს სიმართლეს (მაგ. გამოიყენეთ ასეთი ფრაზები: „ჩვენ მხოლოდ ნაწილი ვართ დიდი ქვედანაყოფისა, რომელიც მალე აქ იქნება“).

თუ საშუალება გაქვთ, იმოძრავეთ მხოლოდ ღამით, რათა მტერს ნაკლებად შეეძლოს თქვენი დაფიქსირება.

გამომდინარე იქიდან, რომ გზებს თავი უნდა აარიდოთ, მოძრაობა ძირითადად ფეხით მოგიწევთ, რაც დიდ ფიზიკურ ძალებს მოითხოვს. ამიტომ ხელი შეუწყვეთ ჯარისკაცებს, შემოინახონ ენერგია და იყონ მზად ნების-

მიერი მოულოდნელი ოპერაციისა თუ გადაადგილებისთვის.

იმოძრავეთ მჭიდროდ შეკრულ გუნდად, რადგან ასეთ შემთხვევაში უცაბედი გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება უფრო ადვილია და არც დიდ დროს მოითხოვს.

უსაფრთხოების მიზნით, მიმავალი რაზმის წინა და უკანა პერიმეტრებზე რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით დააყენეთ სამი ან ოთხი მეომარი.

5. დასვენება

ღამით იმოძრავეთ, დღისით კი ტყეში დაისვენეთ. თუ ღია ადგილას მოგიწევთ დაბანაკება, შეარჩიეთ რაც შეიძლება მაღალი ადგილი, საიდანაც ტერიტორიაზე დაკვირვებას შეძლებთ.

დასვენებისას დააყენეთ მცველები ბანაკთან ახლოს, დაავალეთ სამოქალაქო პირებს, უჩუმრად დაზვერონ მოწინააღმდეგე.

დღისით განაწესეთ საჰაერო მზვერავები თქვენი მოსვენების ადგილას, ღამით კი ორ-ორი მეომარი ჩაასაფრეთ ყოველ მოსალოდნელ მისადგომთან. თუ ღამით მოგიწევთ დაბანაკება, ქვედანაყოფიდან 50 ან 100 მეტრში მოაწყვეთ ორკაციანი საგუშაგო პოსტები. გათენებასთან ერთად უნდა გააძლიეროთ თავდაცვა.

მოულოდნელი საჰაერო თავდასხმების ასაცილებლად დააყენეთ საჰაერო მზვერავები.

თუ არ იმყოფებით „გათავისუფლებულ ტერიტორიაზე", არასდროს დაბანაკდეთ ერთსა და იმავე ადგილას

ორი ღამით და არასდროს დარჩეთ ღამით იქ, სადაც დღისით ისვენებდით.

ყოველდღე გაეცით ახალი საგანგაშო მითითებები, რათა ყველამ იცოდეს, რა მოიმოქმედოს უეცარი თავდასხმისას; ასევე დანიშნეთ მებრძოლების შეკრების ადგილი. ასეთი ადგილის შესახებ აუცილებლად აცნობეთ სხვა ადგილას დაბანაკებულ მეომრებს ან რაზმებს, რათა მოგვიანებით შემოგიერთდნენ ან იცოდნენ მაინც, თუ სად გადაინაცვლა ქვედანაყოფმა.

6. კავშირგაბმულობის პრიმიტიული საშუალებების გამოყენება მარტივი შეტყობინებების გადასაცემად

ა. დროდადრო მოგიხდებათ სოფლებში შესვლა იმისათვის, რომ:

1. შეავსოთ საკვების მარაგი;
2. ჩააბაროთ დაჭრილები და ავადმყოფები სანდო მოსახლეობას;
3. ისარგებლოთ სამოქალაქო სატელეფონო და საფოსტო მომსახურებით (იხ. „სატელეფონო და საფოსტო მომსახურების გამოყენება“).

ბ. მარტივი შეტყობინებების გადაცემის მეთოდებია:

1. დათქმული ფანჯრების გაღება ან დახურვა;
2. ტანსაცმლის გადმოკიდება;
3. საბავშვო ეტლების გამოყვანა ან დამალვა.

კვამლის, შუქის ან ქაღალდის ფურცლების გამოყენება სახიფათოა, რადგანაც მტერს ადვილად შეუძლია მათი შემჩნევა.

კავშირგაბმულობის ამ პრიმიტიული მეთოდებით მხოლოდ ისეთი მარტივი შეტყობინებების გადაცემაა შესაძლებელი, როგორიცაა: „ფრთხილად! სოფელში მტერია!“ ან „საშიშროება არ არის, სოფელი თავისუფალია!“.

ზემოთ მოყვანილი სიგნალების ჭოგრიტით დანახვა შესაძლებელი უნდა იყოს მეზობელ ტყეში ჩასაფრებული რაზმებისთვის.

7. გზების ჩაკეტვა

გზების ჩაკეტვის საუკეთესო საშუალებაა მოჭრილი ან წაქცეული ხეები. ნუ შეეჭიდებით მაინცდამაინც დიდ ხეს იმ იმედით, რომ მისი გადალახვა უფრო ძნელი იქნება მტრისთვის. ტყუილად დახარჯავთ დროსა და ასაფეთქებელ ნივთიერებას.

თუ არ გაქვთ საშუალება, დაამონტაჟოთ ნაღმხაფანგები, მოაწყვეთ ტერიტორია ისე, რომ მტერს ის დანაღმული ეგონოს. მაგალითად: ხის ტოტებიდან მიწისკენ დაუშვით ნახევრად დამალული სადენები, თითქოს ისინი სადეტონაციო სადენებია, ან გზისპირებზე რამდენიმე ადგილას ხელოვნურად ამობურცეთ მიწა, რათა მტერს ეგონოს, რომ აქ ცუდად შენიღბული ნაღმებია განთავსებული.

პარტიზანულ ომში თქვენ კეტავთ გზას, რომლის გასავლელად მტერს ცეცხლის გადალახვა უწევს. ეს, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება გზის ჩაკეტვის იმ მეთოდებს, რომლებიც სამართლებრივი ომის დროს გამოიყენება. ამიტომაც პარტიზანული ომის დროს თქვენ განსხვავებულად ფიქრს უნდა შეეჩვიოთ.

ნაღმხაფანგები ყველაზე მნიშვნელოვანია. ხეებისგან

განსხვავებით, რომელთა გადაწევაც მანქანითაც შეიძლება, ნაღმხაფანგების ადგილიდან დაძვრას ჯავშანტრანსპორტიორი ან სპეციალისტები დასჭირდება, რომლებიც მოძებნიან და გააუვნებელყოფენ ნაღმებს. ორივე შემთხვევაში, მტერს დიდი დრო დაეკარგება.

თუ მტერი ისეთი დაუნდობელია, რომ ნაღმების გამო მებრძოლების დაკარგვა არაფრად უღირს და გაუწვრთნელ პერსონალსაც კი აიძულებს ხაფანგების ამოღებას, მტერს მაინც მიადგება ზარალი და თქვენ თქვენს მიზანს მიაღწევთ.

რკინიგზის საბოტაჟთან შედარებით, გზების საბოტაჟი ნაკლებად ეფექტურია, რადგანაც ყოველთვის მოიძებნება ამა თუ იმ გზის ალტერნატიული გზაც.

პარტიზანული ომის დროს არ ააგოთ ძლიერი საგზაო ბლოკადები, რაგდანაც ეს მხოლოდ დროსა და ასაფეთქებელ ნივთიერებებს დაგახარჯვინებთ. ცეცხლმოუკიდებელი ხეების გადატანა გზიდან ადვილია და მხოლოდ ცოტა დროს მოითხოვს. მტერს მეტი დრო დაეხარჯება, თუ მოუწევს პატარ-პატარა და ბევრი ბლოკადის გაწმენდა, რადაგან ყოველ ჯერზე თავიდან უწევს ქმედების დაწყება.

ხეების წაქცევა ადვილია დაცული საფარიდან, თუმცა ეს მეთოდი სწორია მხოლოდ სამართლებრივი ომის დროს, რადგან ბარიკადს ცეცხლი არ უკიდია და მისი ეფექტურობა ნაღმხაფანგების მოხერხებულ განლაგებაზეა დამოკიდებული.

8. გზების დანაღმვა

სადგარიანი ნაღმები	უპირატესობა:	მონტაჟდება სწრაფად.
	ნაკლი:	საშიშია მშვიდობიანი მოსახლეობისთვისაც, რადგან მის ასამოქმედებლად მცირე ზეწოლაც საკმარისია.
ნაღმი 49	უპირატესობა:	უსაფრთხოა მოსახლეობისთვის, რადგან მოქმედებას იწყებს მხოლოდ მძიმეწონიანი ტრანსპორტის (სატვირთო მანქანები, ტანკები) გადავლისას.
	ნაკლი:	დიდი დრო სჭირდება მის განთავსებას. თითო ნაღმის დადებას დაახლოებით 10 წუთი სჭირდება.
ნაღმი 37	ნაკლი:	ნაღმ 49-ის მსგავსად, მის განთავსებასაც დიდი დრო მიაქვს. ამასთანავე, საშიშია მოსახლეობისთვის, რადგანაც მის ასამოქმედებლად მცირე ზეწოლაც საკმარისია.

9. საგზაო ქსელის საბოტაჟი

შეცვალეთ ან გაანადგურეთ საგზაო ნიშნები. დაავალეთ მოსახლეობას, გზებზე დაყაროს ლურსმნები. ეს აიძულებს მტერს გამუდმებით წმინდოს გზები (შესაძლოა ადგილობრივი მაცხოვრებლების დახმარებით). ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი სახის საბოტაჟი მოწინააღმდეგეს დიდ დროს დააკარგვინებს. მაგრამ გაითვალისწინეთ,

რომ ამ მეთოდების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამოსადეგი, როცა მტერი გზებს სისტემატურად იყენებს.

ტრანსპორტის საბოტაჟი

როგორ უნდა მოაწყოთ საბოტაჟი ისე, რომ დაზიანება უცებ არ გამოჩნდეს, მაგრამ მის შესაკეთებლად მტერს დიდი დრო დასჭირდეს? ასეთი საბოტაჟის მეთოდებია:

ა. შაქრის ჩაყრა საწვავის ავზში;

ბ. წყლის ჩასხმა საწვავის ავზში;

გ. ზეთის დრენაჟის სარქველის მოშვება ზეთის დაქცევის მიზნით;

დ. ზეთის ფილტრის სარქველის მოშვება;

ე. საზეთურის სარქველის მოშვება.

იმისათვის, რომ შეუმჩნევლად დააზიანოთ სატრანსპორტო საშუალება, ისარგებლეთ ქვემოთ მოყვანილი მეთოდებით:

ა. აავსეთ აკუმულატორის ბატარეა წყლით (ეს გააფუჭებს ბატარეას);

ბ. ნაწილობრივ გაპოხეთ ან საერთოდ არ გაპოხოთ საკისრები;

გ. არ ჩაასხათ საკმარისი ოდენობის ზეთი (ეს გადაწვავს საკისრებს);

დ. ვენტილატორის ქამარზე დიდი ზეწოლა გამოიწვევს მის სწრაფ ცვეთას;

ე. დაუშვით საბურავები;

ვ. მოსახვევებში შედით მაღალი სიჩქარით, რაც საბურავების ცვეთას გააძლიერებს;

ზ. ხშირად გამოიყენეთ კონუსი ცვეთის გასაძლიერებლად;

თ. არ გაავსოთ რადიატორი ბოლომდე;

ი. მანქანა ატარეთ რაც შეიძლება ნელა, რაც დიდი ოდენობის საწვავს მოითხოვს;

კ. ხშირად გამოიყენეთ მუხრუჭი, რაც სამუხრუჭე ხუნდების ცვეთას გაზრდის;

ლ. მაღალ სიჩქარეზე ატარეთ ნელა და, პირიქით, დაბალ სიჩქარეზე – სწრაფად, რაც ძრავის გადახურებას გამოიწვევს;

როგორ გავაჩინოთ ცეცხლი მანქანაში:

ა. კაპოტში მოათავსეთ ცეცხლმოკიდებული გაზეთები;

ბ. ხალიჩები დაასველეთ ზეთით ან საწვავით, წაუკიდეთ ცეცხლი და შეაგდეთ კაპოტში.

გ. ლითონის წვეტოვნები აფერხებს ტრანსპორტის მოძრაობას. მის დასამზადებლად აიღეთ 12-15 სმ. სიგრძის და 5-8 მმ დიამეტრის ფოლადის ფირფიტა. ბოლოები წაუმახეთ და ჩაჭერით 3-5 სმ სიგრძეზე. მიღებული ოთხი მახვილი ბოლო გადაღუნეთ ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით. რა მდგომარეობაშიც უნდა მოთავსდეს წვეტოვანა მიწაზე, მისი ერთ-ერთი ბოლო მაინც იქნება აშვერილი ზემოთ. წვეტოვანის სიმყარე და თითოეული შვერილის სიგრძე საკმარისია იმისათვის, რომ ადვილად შეაღწიოს ყველაზე მძიმე სატვირთო მანქანის საბურავშიც კი.

წვეტოვანები მიმოფანტეთ გზებზე (სასურველია, ღამით) ან მოათავსეთ გაჩერებული მანქანის საბურავების ქვეშ.

10. თავდასხმა საფრიდან

მძღოლსა და მის დამხმარეს ესროლეთ პნევმატური იარაღიდან. ასეთი გასროლა თითქმის უხმაუროა, დაჭრილ მძღოლს სწრაფად გაუსწორდებით. ყველაფერი უხმაუროდ ჩაივლის, თქვენ მოიგებთ დროს და სატვირთო მანქანიდან მასალების გადმოზიდვისაც არ იჩქარებთ.

თუ გაქვთ საშუალება, ნადავლის შესამოწმებლად სატვირთო მანქანა გადაიყვანეთ შენიღბულ ადგილას (მაგ. ტყეში). დახოცილები დაკრძალეთ მოშორებით.

11. თავდასხმა მტრის კოლონებზე

როგორც წესი, თქვენი თავდასხმა მტრის პარალიზებას გამოიწვევს, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მათ შესაძლოა საპასუხო ცეცხლი გაგიხსნან.

ჩვენი მთიანი რელიეფის პირობებში, ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით თავდასხმა მტრის სატრანსპორტო კოლონებსა თუ მატარებლებზე წარმატებული იქნება შორი მანძილიდან მოქმედების დროსაც კი.

სანამ თავდასხმას განახორციელებთ, მეთაურმა უნდა განსაზღვროს შემდეგი:

ა. ცეცხლის გახსნის დრო:

მისი ბრძანების თანახმად, ცეცხლი გაიხსნება ერთი წამყვანი იარაღიდან (ამას მოჰყვება ცეცხლი ყველა დანარჩენი იარაღიდან);

ეს მოხდება მაშინვე, როგორც კი კოლონის წინა ნაწილი მიუახლოვდება დათქმულ ადგილს.

ბ. პირველი მანქანის შეჩერება:

ხის წაქცევით;

ნაღმებით;

ცეცხლის გახსნით.

გ. ცეცხლის განაწილება მთელ კოლონაზე:

განსაზღვრეთ, თუ ვინ ესვრის კოლონის წინა, ცენტრალურ და ბოლო ნაწილებს (ტყვიამფრქვევით გახსენით ცეცხლი მაშინ, როდესაც მთელი კოლონა შეჩერდება).

დ. ცეცხლის შეწყვეტა:

საყვირით;

სასიგნალო რაკეტით;

დათქმულ დროს (მაგ. ცეცხლის გახსნიდან 5 წუთში).

ე. ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ პერსონალი ცალ-ცალკე, სხვადასხვა ბილიკით გაემართება დათქმული პუნქტისაკენ.

12. მოულოდნელი თავდასხმა

ზოგადი ინფორმაცია

ა. პარტიზანული ქვედანაყოფის მეთაურის მიერ განხორციელებული დაზვერვა:

1. ჭოგრიტით;
2. სამიზნის ფოტოებისა და ნახაზების განხილვით;
3. ინფორმაციის მიღებით სამხედრო ობიექტებზე მომუშავე პირებისგან, რათა შეირჩეს ყველაზე მნიშვნელოვანი სამიზნეები, განისაზღვროს აფეთქებით მიყენებული ზარალი და ცეცხლის გახსნის ყველაზე ხელსაყრელი პოზიციები.

ბ. მეთაურების ინსტრუქტაჟი სამოქმედო ტერიტორიაზე:

1. დაავალეთ დაზვერონ სამხედრო ობიექტი ჭოგრიტით;
2. მიაწოდეთ ტერიტორიის ფოტოები და ნახაზები;
3. სამოქალაქო ტანსაცმელში – მაგ.: ველოსიპედისტის, მოტოციკლეტისტის ან უბრალო გლეხის ფორმაში – გადაცმულმა იმოძრავეთ ობიექტის სიახლოვეს.

გ. სამოქმედო გეგმა:

1. ქვედანაყოფის სამოქმედო გეგმა უნდა იყოს რაც შეიძლება მარტივი.
2. ქვედანაყოფი უნდა დაიყოს სამ ნაწილად:
   ა. მოიერიშე რაზმად, რომელიც დახოცავს ან დააბამს მცველებს;
   ბ. ტექნიკურ ნაწილად, რომელიც პასუხისმგებელი იქნება აფეთქებაზე;
   გ. რეზერვად, რომელიც კარგად გამაგრებული და შენიღბული პოზიციებიდან იზოლაციაში მოაქცევს სამოქმედო ტერიტორიას და ცეცხლს გაუხსნის საშველად მოსულ ძალებს.

დ. ოპერაციის განხორციელება:

1. გეგმა შეინახეთ საიდუმლოდ და არავის გაუმხილოთ ის, გარდა იმ უნტერ-ოფიცრებისა, რომელთა დახმარებაც გესაჭიროებათ ოპერაციის მოსამზადებლად.
2. ობიექტს სწრაფად მიუახლოვდით ღამით, თავი აარიდეთ შარაზე სიარულს;
3. დაიკავეთ კარგად შენიღბული პოზიცია ობიექტთან ახლოს და დაუცადეთ მომდევნო ღამეს თავდასხმისათვის;
4. ოპერაცია დაიწყეთ დაღამებისთანავე. შებინდე-

ბისას პერსონალს მისცემთ მითითებებს, ღამის განმავლობაში განახორციელებთ ოპერაციას და საკმარისი დრო დაგრჩებათ, რომ გათენებამდე დატოვოთ ობიექტი.

მტრის უსაფრთხოების სისტემის დაზვერვა

ა. განსაზღვრეთ მტრის საგუშაგოს ადგილმდებარეობა და გუშაგთა რაოდენობა. ამ მიზნით გამოიყენეთ ნებისმიერი ხერხი, მაგალითად, თავი მოაჩვენეთ, თითქოს გზა აგებნათ; ან მოიფიქრეთ რამე, რაც საგუშაგოსთან მიგიყვანთ.

ბ. დაადგინეთ გუშაგთა ცვლის პერიოდულობა. დღის განმავლობაში უთვალთვალეთ ჭოგრიტით შორი მანძილიდან, ხოლო ღამით – მაგ. ობიექტის მოპირდაპირე მხარეს მდგარი სახლიდან.

გ. დაადგინეთ მტრის იარაღის ადგილსამყოფელი. თუ იარაღი ისე კარგადაა შენიღბული, რომ ჭოგრიტით შეუძლებელია მისი ამოცნობა, რელიეფის თავისებურებების გათვალისწინებით გამოთვალეთ, სად შეეძლო მტერს იარაღის მოთავსება.

მცველთა ლიკვიდაცია

შეისწავლეთ მცველთა საქციელი, მათი ქცევები შესვენებისას და მოძრაობის მარშრუტი პოსტზე. ცუდი კლიმატური პირობები (სიცხე, კოკისპირული წვიმა და ყინვა) გაგიადვილებთ საქმეს, რადგან ეს ფაქტორები ადუნებს მცველების ყურადღებას.

მცველთა ლიკვიდაციის უმარტივესი და უხმაურო გზა მათი ცულის ტარით დახოცვაა. არ გამოიყენოთ ნაჯახის ბასრი პირი. მცველს მთელი ძალით ჩაარტყით ირიბად

წელის მიდამოში ან ბეჭებს შორის კისრის ქვემოთ. სიბნელეშიც კი ადვილად შეძლებთ ამ ადგილებში ზუსტად დარტყმას.

13. მოულოდნელი თავდასხმა მცირე პოსტზე

დაყავით ქვედანაყოფი შემდეგ ნაწილებად:

ა. საბრძოლო ნაწილი:

1. მსროლელთა რაზმი;
2. შემტევთა ნაწილი;
3. ტექნიკური ნაწილი (სადენების გადაჭრა, წინაღობების აფეთქება, ნაღმების გაუვნებელყოფა და სხვ.)

ბ. ამფეთქებელთა ნაწილი:

აფეთქება, ხანძარი.

გ. ნადავლის შემგროვებელთა ნაწილი:

1. მსუბუქი ავტომანქანები;
2. გამწევი ცხოველები, ფურგონები.

ცხენებისა და გამწევი ცხოველების მოყვანა სოფლებიდანაც შეგიძლიათ.

სანამ შეტევას დაიწყებთ, ჩაჭერით მტრის კავშირგაბმულობის ყველა ხაზი მეზობელ გარნიზონებთან. ჩაჭერით სატელეფონო ხაზები ან გამოიწვიეთ მოკლე ჩართვა. რადიო კავშირგაბმულობას ვერ ჩაჭრით, ამიტომ, სპეცნაწილი გაგზავნეთ რადიოსადგურის გასანადგურებლად, რომლის ადგილმდებარეობა წინასწარ, დაზვერვისას უნდა დაადგინოთ.

14. თავდასხმა კავშირგაბმულობის ქსელზე



მიწისქვეშა კაბელების დაზიანება

მიწისქვეშა კაბელები შედგება რამდენიმე სადენისაგან, რომლებიც ერთმანეთისგან და მიწისგან დაცულია საიზოლაციო ფენით. უკეთ დაცვის მიზნით, ზოგჯერ კაბელები მოთავსებულია ლითონის მილებში ან ბეტონის ყუთებში.

მიწიქვეშა კაბელების დაზიანება რთული და სახიფათოა, რადგან კაბელები ძირითადად ხალხმრავალ ადგილებში მიწისქვეშაა გაყვანილი.

სრული პროცედურა – ამოთხარეთ კაბელი, რომელიც ჩვეულებრივ მიწის ქვეშ 80 სმ-ზეა დაფლული. მოაცილეთ საიზოლაციო ფენა და გადაჭერით. კვლავ შემოახვიეთ საიზოლაციო ფენა, კაბელი მოათავსეთ თავის ადგილას, ამოავსეთ ორმო და ეცადეთ წაშალოთ თქვენი იქ ყოფნის კვალი.

სწრაფი პროცედურა – ამოთხარეთ კაბელი და გადაჭერით. სანამ ორმოს ამოავსებდეთ, მოათავსეთ კაბელი ისე, რომ გადაჭრილი ორი პირი ერთმანეთს არ ეხებოდეს (საჭიროების შემთხვევაში, დაადეთ ქვები). შემდეგ ამოავსეთ ორმო. ასეთი დაზიანება ეფექტურია 3-4 დღით. ყველაფერი ისე გააკეთეთ, რომ კვალი არ დატოვოთ.

ტექნიკური თვალსაზრისით, საბოტაჟის მოწყობა ხიდის ქვეშ გამავალი კაბელებზე უფრო მოსახერხებელია. მათი გადაჭრა ადვილია, თუმცა მეტად სახიფათოა, რადგანაც, როგორც წესი, ხიდებს კარგად იცავენ.

საჰაერო კაბელების დაზიანება

საჰაერო კაბელების დასაზიანებლად, მოჭერით ან ააფეთქეთ ბოძები ისე, რომ მათი წაქცევით სადენებიც გაწყდეს. ასევე შეგიძლიათ მოჭრათ ან ააფეთქოთ მეზობლად მდგარი ხეები, რომლებიც წაქცევისას სადენებს გაწყვეტენ. ტერიტორიაზე მოათავსეთ ერთი-ორი სადგარიანი და რამდენიმე ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, რომლებიც მოწინააღმდეგეს სარემონტო სამუშაოებში შეუშლის ხელს.

სატელეფონო ქსელი

უპირველეს ყოვლისა, დააზიანეთ შტაბებამდე მიმავალი კაბელები მოკლე ჩართვით, სადენების ჩაჭრით და ა.შ. სატელეფონო სადენების დაზიანების მარტივი მეთოდებია: მაგარსა და გრძელ თოკს ბოლოში მოაბით ქვა ან ლითონის ნაჭერი და გადაისროლეთ ის სადენების ზემოთ, უმჯობესია – ორ ბოძს შორის ცენტრალურ წერტილში, სადაც სადენი უფრო ადვილად წყდება. თოკი შემოეხვევა სადენებს, რის შემდეგაც შეგიძლიათ თოკი ჩამოქაჩოთ და სადენები გაწყვიტოთ.

ელექტროგადამცემი ქსელი

თუ არ გაქვთ საკმაო რაოდენობის ასაფეთქებელი ნივთიერება, მაღალი ძაბვის სადენების დასაზიანებლად მიმართეთ შემდეგ მეთოდს:

აიღეთ ნებისმიერი ტიპის სადენი და ბოლოში სიმძიმისთვის მოაბით ქვა ან რკინის ნაჭერი. სადენის ერთი ბოლო ჩაფალით ნესტიან მიწაში, ხოლო მეორე ბოლო გადაისროლეთ სატელეფონო ხაზების ზემოთ. გადასროლის შემდეგ სადენს დაუყოვნებლივ გაუშვით ხელი.

რაიმე სახის უსიამოვნო მოულოდნელობა რომ თავიდან აიცილოთ, უნდა შეგეძლოთ სატელეფონო და მაღალი ძაბვის სადენების ერთმანეთისგან გარჩევა. სატელეფონო სადენები გადის ერთმანეთის პარალელურად; მაღალი ძაბვის სადენები კი გაყვანილია ზიგზაგურად (ჭადრაკისებურად)

15. თავდასხმა სარკინიგზო ქსელზე





ელექტროსადენების დაზიანება

ა. გადასასვლელი ხიდიდან:

მოაჯირი და ლიანდაგი დააკავშირეთ ერთმანეთთან 5-8 მმ სისქის ძლიერი სადენით, რომლის ერთ ბოლოს მიაბამთ გადასასვლელის მოაჯირს, ხოლო მეორე ბოლოზე დაამაგრებთ დაახლოებით 20 სმ სიგრძის ლითონის ნაჭერს. ისროლეთ დამძიმებული ბოლო მოაჯირიდან

ელექტროსადენზე. სროლის შემდეგ დაუყოვნებლივ გაუშვით ხელი სადენს, დენმა რომ არ დაგარტყათ. გადასასვლელის მოაჯირი და კედლები დამიწებულია, ამიტომ ეს ოპერაცია შედარებით უსაფრთხოა. გამოიყენეთ მხოლოდ ძლიერი სადენი, რადგანაც სუსტი სადენი მაშინვე დაზიანდება და მიზანს ვერ მიაღწევთ.

ბ. ღია უბანზე:

იმავე მეთოდით დამძიმებული კაბელი მიაბით ლიანდაგს. დამძიმებული ბოლო გადაისროლეთ სადენებზე. არ აქვს მნიშვნელობა თქვენი სადენი დამხმარე სადენს მოედება თუ ელექტროსადენს. სროლის შემდეგ სადენს ხელი დაუყოვნებლივ გაუშვით. როგორც წესი, ელექტროსადენები დიდ სიმაღლეზეა დამონტაჟებული, ამიტომ სადენის სროლა სახურავიდან ან დაქანებული ჯებირიდან უფრო მოსახერხებელია. თუ საშუალება გაქვთ, ოპერაცია გადასასვლელის გამოყენებით შეასრულეთ.

გ. იზოლატორების ჩამოგდება კარაბინის მეშვეობით:

თუ შესაძლებელია, ეს ოპერაცია განახორციელეთ სადგურებიდან მოშორებით მდებარე ღია უბნიდან. ამ მეთოდით სარგებლობისას იარაღი უნდა დააფიქსიროთ (კედელზე ან თანამებრძოლის მხარზე), რათა გასროლა სწრაფი და ზუსტი იყოს. უნდა განასხვავოთ დამხმარე და მთავარი ელექტროსადენები. ოპერაციის მიზანია, გაანადგუროთ დამხმარე იზოლატორი, რის შედეგადაც დამხმარე სადენი ჩამოვარდება დამხმარე კონსტრუქციაზე (კოშკურაზე), რაც გამოიწვევს მოკლე ჩართვას და დამხმარე სადენის გადნობას. გასროლა განახორციელეთ ობიექტიდან 30-50 მეტრით დაშორებული ადგილიდან, რათა არ მოხვდეთ სადენის ვარდნის არეში. ტყუპი სადენის შემთხვევაში, ორივე სადენი უნდა გაანადგუროთ.

რკინიგზის სალიანდაგო სისტემის საბოტაჟი

ხრახნებს თავები მოაძრეთ ურoს დარტყმით. ყინვაში თავები ადვილად ძვრება. ამ მეთოდის გამოყენება მატარებლის რელსიდან გადასვლას არ გამოიწვევს, თუმცა მტრის ინჟინრებს ბევრ დროს წაართმევს.

ლიანდაგების აფეთქება

ღია უბანზე მოსახვევში გაანადგურეთ ლიანდაგი და ააფეთქეთ განაპირა რელსი.

ლიანდაგის დაზიანება ღია უბანზე

ღია უბანზე მოსახვევში უნდა ააფეთქოთ ლიანდაგი ორი მიზეზის გამო:

მტერს მოღუნული რელსის შეცვლა უფრო გაუძნელდება, ვიდრე სწორი რელსისა, რომლის მარაგიც უხვად აქვს.

მატარებლის რელსიდან გადასვლა მოსახვევში უფრო ადვილია. ააფეთქეთ განაპირა რელსი. მოახლოებული მატარებლის ცენტრული ძალა მატარებელს ადვილად გადაიყვანს დაზიანებული რელსიდან, ამასთან, ნამსხვრევებს დააყრის მიმდებარე რელსებს.

თუ მემანქანე ვერ შენიშნავს დაზიანებას და მოსახვევში შევა სრული სიჩქარით, მატარებლის რელსიდან ასაცდენად 30 სმ სიგრძის დაზიანებაც საკმარისი იქნება. თუ რკინიგზის თანამშრომლებს წინასწარ ეცოდინებათ დაზიანების შესახებ, იმოძრავებენ დაბალი სიჩქარით და 50-60 სმ სიგრძის დაზიანებასაც კი ისე გაივლიან, რომ მატარებელი რელსებს არ ასცდება.

ლიანდაგის საბოტაჟი „გაპოხვით“

გაპოხეთ დაქანებული რელსები მაზუთით, ზეთით ან თხევადი საპნით. გაპოხეთ ორივე რელსი სულ მცირე 150 მეტრის სიგრძეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მატარებლის ბორბლები ავტომატურად გასრიალდება.



მატარებლის ხაფანგები ასაფეთქებელი ნივთიერებით

იმისათვის, რომ მატარებელი რელსებიდან გადავიდეს, უნდა დაამონტაჟოთ „მატარებლის ხაფანგი“, ანუ დამალული ნაღმი, რომელიც აფეთქდება, როგორც კი მატარებელი მასზე გადაივლის.

მატარებლის ხაფანგი რელსების მოშვებით

მოუშვით დამჭერები (ხრახნები, ლურსმნები) რვა ერთმანეთის მომდევნო შპალზე.

მოაცალეთ პირაპირი.

ბერკეტით (მაგ. ფეხკაპიანი ძალაყინით) ერთი რელსი შესწიეთ შიგნით და მასა და მეორე რელსს შორის მოათავსეთ მომძვრალი პირაპირი. ეს გამოიწვევს მატარებლის ლიანდაგიდან გადასვლას.

მოძრავი შემადგენლობის დაზიანება

ყველაზე ეფექტური მეთოდის გამოყენება დაახლოებით 3 წუთს მოითხოვს ვაგონის ერთ ღერძზე. 1 კგ მუხტი ღერძზე მჭიდროდ მიამაგრეთ ორი მავთულით. მუხტის სრულფასოვანი დამონტაჟება დიდ დროს მოითხოვს, სამაგიეროდ, უკეთეს შედეგს მიიღებთ მცირე რაოდენობის ასაფეთქებელი ნივთიერებით. თუ დროში ხართ შეზღუდული, თოკზე დაამაგრეთ ორი 600-გრამიანი მუხტი და გადაკიდეთ ღერძზე. ნაღმის დასამზადებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ორი ძველი ქილა, რომლებსაც აავსებთ პლასტიკური ან საყოფაცხოვრებო ასაფეთქებელი ნივთიერებით. ეს მეთოდი ერთ ღერძზე დაახლოებით წუთს-ნახევარს მოითხოვს. თოკი უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლე, რათა ნაღმი შეეხოს ღერძს. ნაჩქარევად დამონტაჟებული ნაღმი ნაკლებ დროსა და შედარებით მეტი რაოდენობის ასაფეთქებელ ნივთიერებას მოითხოვს და შედეგიც ნაკლებად ეფექტურია.

ელმავლის დაზიანება

კარაბინით ჩალეწეთ სახურავის იზოლატორები.

ურითი დაამტვრიეთ მემანქანის კაბინაში მოთავსებული სამართავი პანელი.

გაანადგურეთ ტრანსფორმატორის ზეთის კონტეინერები (გახვრიტეთ კონტეინერის თხელი კედელი და ცეცხლი წაუკიდეთ გადმოღვრილ ზეთს).

ორთქლმავლების დაზიანება

1-2 კილოიანი მუხტი შეაგდეთ ღუმელში;

ეროთი დაამტვრიეთ მოძრაობის მიმართულების სამართავი მექანიზმი;

საქვაბეს ესროლეთ ავტომატიდან ან მსუბუქი ტყვიამფრქვევიდან (ფოლადისბირთვიანი ტყვიებით).

მიზანი: ორთქლმავლის შუა მესამედი, კაბინის წინ დაახლოებით 1.5 მეტრი.

მოძრავი შემადგენლობის საბოტაჟი

ყოველ საზეთურში ჩაყარეთ ერთი მუჭა ქვიშა, ლითონის ნატეხები ან ფხვნილი.

საზეთურის თავსახურის მოხსნა, განსაკუთრებით სატვირთო ვაგონებში, არ არის რთული.

შედეგად, საკისრები თანდათან გაცვდება.

ამ ოპერაციის შესრულება ნებისმიერ ადამიანს, მაგ. მტვირთავს ან რკინიგზის თანამშრომელს შეუძლია.

თავდასხმა რკინიგზის სადგურზე

რკინიგზის სადგური მოიცავს შემდეგ სამიზნეებს:

სადგურის შენობა – პირველ სართულზე განლაგებულია ოფისი და მეისრის კაბინა, ხოლო მეორე სართულზე – სადგურის უფროსის აპარტამენტები (დიდ სადგურებში მეისრის კაბინა მოთავსებულია ცალკე მდგარ შენობაში ლიანდაგის გვერდით ან ზემოთ).

ლიანდაგები – რელსები, ისრები, ჯვარედები, განივე-

ბი და შემოსატრიალებელი პლატფორმები.

საჰაერო სადენი – მთავარი საყრდენი ბოძი ზეთის იზოლატორით.

შუქნიშნები შესავლელთან და გასასვლელთან.

კავშირგაბმულობის ცენტრი (სამსახურებრივი და კომერციული) – სამოქალაქო ტელეფონი, სარკინიგზო ტელეფონი, ტელეგრაფი ოფისში, ანუ მთავარ შენობაში.

ქვედანაყოფი დაყავით შემდეგ ნაწილებად:

მოიერიშე ნაწილი – აზიანებს სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობას, აკონტროლებს სადგურის პერსონალს და ხოცავს მცველებს.

ამფეთქებელთა ნაწილი – ანადგურებს ტექნიკას.

რეზერვი – იზოლირებას უკეთებს ობიექტს, აკავებს დასახმარებლად მოსულ სარეზერვო ძალებს და უკან დახევისას ზურგს უმაგრებს ქვედანაყოფს.

პრიორიტეტულ აფეთქებათა თანრიგი:

ა.თუ ცოტა დრო გაქვთ:

ააფეთქეთ ისრები 1 კგ მუხტით;

ააფეთქეთ მეისრის კაბინა კონცენტრირებული მუხტით (ხელის ყუმბარა 43 დამატებითი მუხტით).

ბ. თუ მეტი დრო გაქვთ:

ასევე ააფეთქეთ საყრდენი ბოძი, ჯვარედი და ლიანდაგის ცენტრალური ნაწილი;

თუ დროში არ ხართ შეზღუდული, ააფეთქეთ შუქნიშნები და გადაჭერით ისრის, შუქნიშნებისა და შლაგბაუმის სადენები.

გ. ისრების განადგურება:

საბოტაჟი – ისრით მინიშნებულ ადგილას მოათავსეთ

ხის ან ლითონის სოლი. ისარი ველარ იმუშავებს სათანადოდ, რაც მატარებლის რელსებიდან აცდენას გამოიწვევს.

დ. მთავარი საყრდენი ბოძის განადგურება:

ბოძი, როგორც წესი, სადგურის შენობის გასწვრივ დგას. თუ ცოტა დრო გაქვთ, კარაბინიდან ესროლეთ ზეთის იზოლატორს, თუ მეტი დრო გაქვთ, ააფეთქეთ ბოძი ისრით მინიშნებულ ადგილას.

ე. ჯვარედების განადგურება:

მოათავსეთ 1 კგ მუხტი ისრით მითითებულ ადგილას.

ვ. ისრების დაზიანება აფეთქების გარეშე:

თუ ხელთ არ გაქვთ ასაფეთქებელი მოწყობილობები, ისრის მექანიზმი დააზიანეთ ურითი ან მოღუნეთ ძალაყინით.

რკინიგზის ხაზების მიმართულების შეცვლა

პროცედურა:

ა. დაადგინეთ თავდასხმისათვის ყველაზე ხელსაყრელი პუნქტები.

ბ. განსაზღვრეთ საბოტაჟის პერსონალისთვის ამ პუნქტებთან მისასვლელი უსაფრთხო გზა.

ლიანდაგის უბრალო ხარვეზსაც კი შეუძლია მოძრაობის შეჩერება: 5-6 საათით მაგისტრალებზე (შეკეთება ხდება უცებ); 6-8 საათით მეორეულ ხაზებზე (შეფერხება მეტხანს გასტანს, რადგან დაზიანების შეკეთება უცებ არ ხერხდება); 12-13 საათით რელსებიდან აცდენის გამო მთავარ და მეორეულ ხაზებზე.

რკინიგზის დაცვა მხოლოდ მაშინაა ეფექტური, თუ მცველი ყოველ 100 მეტრში დგას.

საბოტაჟის საწინააღმდეგოდ მტერი შეამცირებს

მატარებლების მოძრაობის სიჩქარეს. ასეთ შემთხვევაში რელსებიდან მხოლოდ ლოკომოტივი და პირველი სამოოთხი ვაგონი გადავა.

თუმცა მტრის ეს ხერხიც თქვენს სასარგებლოდ მოქმედებს. სიჩქარის შემცირებით იზრდება მოძრაობის ხანგრძლივობა, რაც საკმაოდ დიდი თავსატეხია დაცვითი თუ შეტევის ოპერაციების კრიტიკულ მომენტებში.

პარტიზანული ქვედანაყოფებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, კავშირი იქონიონ ფრონტიდან ასობით და ათასობით კილომეტრით დაშორებულ ჯართან და მოკავშირეებთან, რათა გეგმის მიხედვით იმოქმედონ. რადიოსიხშირეების კონტროლით მოიპოვებთ ოპერაციების დაგეგმვისათვის საჭირო სასარგებლო ინფორმაციას.

ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაცია საშუალებას მოგცემთ, წამოიწყოთ უფრო დიდი ოპერაციები, რადგან მოწინააღმდეგეს თანდათან ხელიდან ეცლება თავდაცვის საშუალებები.

აუცილებელია სარკინიგზო სისტემაში დამაბნეველი სიტუაციის შექმნა მატარებლების მოძრაობის განრიგის არევით, რაც გამოიწვევს მოძრაობის დიდი ხნით შეფერხებას.

ამის გაკეთება შესაძლებელია სარემონტო ჯგუფის ყოველდღიური გამოძახებით. მოწინააღმდეგეს დიდ მორალურ ზიანს აყენებს ყოველდღე პატარ-პატარა დაზიანებების შეკეთება.

არ დააზიანოთ ლიანდაგები 4 სხვადასხვა ადგილას ერთსა და იმავე დღეს და ერთი და იმავე ოპერაციის დროს, რადგან სარემონტო ბრიგადა ერთ გამოძახებაზე შეძლებს ყველა ამ დაზიანების შეკეთებას.

უფრო ეფექტურია ერთი ლიანდაგის დაზიანება ზედი-

ზედ ოთხი დღის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში სარემონტო ჯგუფის გამოძახება ხდება ყოველ დაზიანებაზე. მოძრაობა ფერხდება 4 დღით. არეულობა მატულობს და შეფერხების საერთო ხანგრძლივობა ორჯერ იზრდება.

სამგზავრო და საბრძოლო მასალებითა და პერსონალით დატვირთული ვაგონების არევით მტერი მანიპულირებს და თავს იცავს საბოტაჟისგან. თქვენ შეგიძლიათ ცარიელი ან ქვიშით დატვირთული სატვირთო ვაგონები წინ დაუხვედროთ ასეთ „დაცულ" მატარებელს, მტერი კი ეცდება დაიცვას ლოკომოტივები ასეთი ხაფანგებისგან. ამას გარდა, მტერს შეუძლია ვაგონებზე დაამონტაჟოს საზენიტო ტყვიამფრქვევები და თავი დაიცვას პარტიზანების შემოტევებისგან.

ბრძოლა რკინიგზის პატრულთან

მტერი დაიცავს სარკინიგზო ხაზებს დაბალ სიმაღლეზე მფრინავი ვერტმფრენებით, ოთხთვალების გამოყენებით ან ლიანდაგებზე პატრულირებით.

სადეპორტაციო მატარებლების გაჩერება

არ გადაიყვანოთ მატარებელი რელსიდან, თუ მასში დეპორტირებული ხალხი იმყოფება. უნდა დაბლოკოთ რკინიგზა ისე, რომ დაცვამ ვერაფერი შეამჩნიოს.

დაბლოკვა უნდა მოხდეს უშუალოდ მატარებლის მოახლოების წინ. მემანქანე დროულად შენიშნავს გზაზე წინაღობას და შეაჩერებს მატარებელს. მეორე მხრივ, მოწინააღმდეგეს არ ექნება იმდენი დრო, რომ გააჩეროს მატარებელი დიდი მანძილის დაშორებით და თავი დააღწიოს საეჭვო ზონას. საუკეთესო ვარიანტია, მატარებლის მოახლოებისას ააფეთქოთ რელსების გასწვრივ მდგარი ხეები

ან ბოძები, რომლებიც წაქცევისას ლიანდაგს ჩახერგავენ. თუ არ გაქვთ ასაფეთქებელი საშუალებები, ლიანდაგზე გამოიყვანეთ ქვიშით ან ქვებით დატვირთული ერთი -ორი სატვირთო ვაგონი. მოიერიშე ნაწილს დაავალეთ მატარებლის მცველთა ლიკვიდაცია. ოპერაციის დაწყებამდე შეიმუშავეთ დეპორტირებული ხალხის გაქცევის გეგმა. განსაზღვრეთ, როგორ გადაიყვანთ და მოეპყრობით ავადმყოფებს და დაჭრილებს, მათ შორის ისეთებს, რომელთა გადაადგილებაც არ შეიძლება. განსაზღვრეთ უკან დახევის მარშრუტები და დაცვის მეთოდები.

დაყავით ქვედანაყოფი შემდეგ ნაწილებად:

შემაფერხებელი ნაწილი ჩახერგავს ლიანდაგს ხეებით ან სატვირთო მანქანებით, მოიერიშე ნაწილი უზრუნველყოფს მატარებლის მცველთა ლიკვიდაციას ტყვიამფრქვევებით, ავტომატებით ან ხელყუმბარებით, სპეცრაზმი მითითებებს მისცემს გათავისუფლებულ ხალხს და გაუწევს პირველად სამედიცინო დახმარებას დაჭრილებს, სახელდახელოდ დაამზადებს საკაცეებს.

ნადავლის შემგროვებელი რაზმი შეაგროვებს დახოცილი მცველების იარაღს, საბრძოლო მასალებს, ტანსაცმელსა და აღჭურვილობას, ასევე რამდენიმე პატარა ავტომანქანას. გათავისუფლებული ხალხიდან ბრძოლის მსურველები გაწევრიანდებიან თქვენს დანაყოფში. აღჭურვეთ ისინი მტრისგან ამოღებული იარაღით. დაჭრილები და ავადმყოფები მოსავლელად მიაბარეთ სანდო ხალხს.

ეს მეთოდი გამოიყენება მხოლოდ მასობრივი დეპორტაციის შემთხვევაში. დეპორტირებულთა პირველი კოლონის გათავისუფლება ვერ მოხერხდება, მაგრამ სისტემატური დაზვერვის საფუძველზე თქვენ დაადგენთ

მტრის მარშრუტს, რის შემდეგაც განახორციელებთ სამაშველო ოპერაციებს.

16. თავდასხმა ელექტროსისტემაზე



თავდასხმა სატრანსფორმატორო ქვესადგურზე

სატრანსფორმატორო ქვესადგური შედგება შემდეგი ნაგებობებისგან:

ა. ქვესადგურის მომსახურე პერსონალის სახლი: პირველ სართულზე განლაგებულია დიდი ოთახი სამართავი და საკომუტატორო მოწყობილობებით, ხოლო მეორე სართულზე – ქვესადგურის თანამშრომელთა საცხოვრებელი ოთახები.

ბ. ღობე ავარიებისგან დასაცავად: ქვესადგური შემოღობილია ორი ან ერთ-ნახევარი მეტრის სიმაღლის მავთულხლართით და მავთულის ბადით.

გ. პროჟექტორები: ქვესადგურის ტერიტორიაზე მდგარ ბოძებზე დამონტაჟებულია პროჟექტორები, რომლებიც ანათებს მთელ ტერიტორიას, რათა სამუშაოები ღამითაც შესრულდეს.

დ. მაღალი ძაბვის გადამცემი ბოძები: ელექტროენერგიის მიწოდება ხდება მაღალი ძაბვის გადამცემი ბოძების საშუალებით. ბოლო ბოძი მდებარეობს ქვესადგურის ტერიტორიის გარეთ, ღობესთან ძალიან ახლოს, დაახლოებით 100 მეტრში.

ე. ტრანსფორმატორები და აქსესუარები მოიცავს ტრანსფორმატორებს, მაცივრებს, ჩამრთველებს, იზოლატორებსა და ტელეფონს, რომლებიც განლაგებულია ღია ცის ქვეშ.

ქვედანაყოფის ორგანიზება რაზმებად

მოიერიშე რაზმი არღვევს ღობეს აფეთქებით ან მავთულის გადაჭრით, აზიანებს სატელეფონო კავშირს დაცვისა და პერსონალის სახლთან, ამსხვრევს ყველა პროჟექტორს, ხოცავს მცველებს და სდარაჯობს ქვესადგურის თანამშრომლებს.

ამფეთქებელთა რაზმი ანადგურებს ტექნიკას.

უსაფრთხოების რაზმი უზრუნველყოფს ობიექტის იზოლირებას და აკავებს დამხმარე ძალებს; ზურგს უმაგრებს უკანდახეულ ქვედანაყოფს.

თუ ცოტა დრო გაქვთ, გაანადგურეთ ტრანსფორმატორები, რადგან სწორედ ისინია ქვესადგურის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები. ტრანსფორმატორე-

ბი გარედან დაცულია 10 მმ სისქის ლითონის კედლით. ტრანსფორმატორის განადგურება შესაძლებელია მცირეკალიბრიანი სასროლი იარაღით, ჯავშანსაწინააღმდეგო იარაღით, ტანკსაწინააღმდეგო შაშხანით, რაკეტის გამშვებით ან 4 კგ ასაფეთქებელი ნივთიერების აფეთქებით.

თუ მეტი დრო გაქვთ, ტრანსფორმატორებთან ერთად გაანადგურეთ მაცივრები მცირეკალიბრიანი სასროლი იარაღით, ჯავშანსაწინააღმდეგო იარაღით, ტანკსაწინააღმდეგო შაშხანით, რაკეტის გამშვებით ან 2 კგ ასაფეთქებელი ნივთიერებით, რომელიც თოკით, მავთულით ან კაუჭებით უნდა მიემაგროს მაცივარს.

თუ საკმაო დრო გაქვთ, იზოლატორებიც გაანადგურეთ. რადგანაც ისინი საკმაოდ ბევრია, მათი განადგურება დიდ დროს წაგართმევთ. იზოლატორები დამზადებულია დაახლოებით 3 სმ სისქის ფაიფურისგან. გაანადგურეთ სასროლი იარაღით, ურეთი ან 200 გრ ასაფეთქებლით, რომელიც უნდა მოთავსდეს იზოლატორის თითოეულ დისკს შორის.

თუ დროში არ ხართ შეზღუდული, გაანადგურეთ ჩამრთველებიცა და მაღალი ძაბვის გადაცემის ბოძებიც, თითოეულ ჩამრთველზე 1 კილოგრამიანი სამი ნაღმით.

17. მოულოდნელი თავდასხმა საწვავის დეპოზე

ეს ოპერაცია ხორციელდება მხოლოდ მიწისზედა ობიექტებზე. ჩვეულებრივ, საწვავის დეპოები განლაგებულია რკინიგზის სადგურების სიახლოვეს და დაკავშირებულია მათთან სათადარიგო ლიანდაგით. დეპოს თანამშრომელთა სახლის პირველ სართულზე, პანდუსის უკან,

მდებარეობს ავტოცისტერნების საწვავით მომარაგების პუნქტი. მეორე სართულზე განლაგებულია თანამშრომელთა საცხოვრებელი ოთახები. დეპო მოიცავს მიწისზედა რეზერვუარებს, რომელთა მოცულობა რამდენიმე მილიონ ლიტრს აღწევს; მიწისქვეშა რეზერვუარებს, რომელში შესვლაც შესაძლებელია ლუქის გავლით; და საწვავით მომარაგების პუნქტს ლიანდაგთან ახლოს. გაყვანილია სატელეფონო კავშირი დაცვისა და თანამშრომელთა სახლებისაკენ. სატრანსფორმატორო ქვესადგურისგან განსხვავებით, დეპოს მარტივი კონსტრუქციის ღობე იცავს.

პარტიზანული ქვედანაყოფის მოვალეობები:

მოიერიშე რაზმი აზიანებს სატელეფონო ხაზებს და უზრუნველყოფს მცველების ლიკვიდაციას.

ამფეთქებელთა რაზმი ანადგურებს ტექნიკას სათადარიგო ლიანდაგზე მდგარი ვაგონ-ცისტერნების ჩათვლით.

უსაფრთხოების რაზმი იცავს ობიექტს აკავებს დამხმარე ძალებს და ზურგს უმაგრებს უკანდახეულ ქვედანაყოფს.

დაზიანებების პრიორიტეტული თანმიმდევრობა

თუ ცოტა დრო გაქვთ, გაანადგურეთ მხოლოდ მიწისზედა და მიწისქვეშა რეზერვუარები.

თუ მეტი დრო გაქვთ, გაანდგურეთ ავტოცისტერნებისა და ვაგონ-ცისტერნების გამართვის სისტემა.

რეზერვუარები ააფეთქეთ ტანკსაწინააღმდეგო ჭურვით ან 4 კილოგრამიანი ნაღმით, რომელსაც მიამაგრებთ რეზერვუარის ფსკერზე. თუ რეზერვუარი არ აფეთქდე-

ბა, მაშინ სასიგნალო რაკეტით, ხელყუმბარით ან ტანკსაწინააღმდეგო ჭურვით ცეცხლი უნდა წაუკიდოთ საწვავს.

მიწისქვეშა რეზერვუარები მოთავსებულია 1-3 მეტრის სიღრმეზე. ლუკში ჩაძვერით და ნაღმი მიამაგრეთ უშუალოდ რეზერვუარზე. თუ რეზერვუარი სავსეა, ნაღმი გახეთქავს რეზერვუარის კედლებს, რადგანაც მიწის ქვეშ საწვავი არ შეიკუმშება. თუ რეზერვუარი ნახევრად სავსეა, რეზერვუარის ცარიელ ადგილში გროვდება საწვავის ორთქლი, რაც ასევე გამოიწვევს აფეთქებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ნაღმი უნდა მოთავსდეს რეზერვუარის გარე ზედაპირზე.

ააფეთქეთ ტანკსაწინააღმდეგო ჭურვით ან რაკეტის გამშვებით. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ 500-გრამიანი მუხტი, რომელსაც მოათავსებთ ისრით მინიშნებულ ადგილას. თუ ვაგონ-ცისტერნა არ აფეთქდება, საწვავი მაინც გამოჟონავს. ვაგონ-ცისტერნის სარქველი მიწისქვეშა რეზერვუარის სახურავის მსგავსია. მის ასაფეთქებლად გამოიყენეთ 1 კგ მუხტი გასამართი სისტემის გვერდით.

18. თავდასხმა აეროდრომზე

ა. მოიერიშე რაზმი დააზიანებს სატელეფონო კავშირს, დახოცავს მცველებსა და ყაზარმებში მყოფ საჰაერო და ქვეით მეომრებს, გაანადგურებს აეროდრომის თავდაცვის სისტემის საზენიტო დანადგარებსა და პროჟექტორებს.

ბ. ამფეთქებელთა რაზმი გაანადგურებს თვითმფრინავებსა და ტექნიკურ აღჭურვილობას;

გ. უსაფრთხოების რაზმი უზრუნველყოფს აეროდრო-

მის იზოლაციას, შეაკავებს მტრის დასახმარებლად მოსულ ძალებს და ზურგს გაუმაგრებს უკანდახეულ ქვედანაყოფს.

და ზიანებების პრიორიტეტული თანმიმდევრობა:

თუ ცოტა დრო გაქვთ, გაანადგურეთ მხოლოდ აეროდრომზე არსებული თვითმფრინავები.

თუ მეტი დრო გაქვთ, გაანადგურეთ რადარი და რადიოდანადგარები.

თუ დროში არ ხართ შეზღუდული, გაანადგურეთ საწვავის დეპოები და სარემონტო კაბინებიც.

აეროდრომზე მდებარე აღჭურვილობისა და მასალების განადგურების მეთოდები

ა. თვითმფრინავები – ააფეთქეთ 1 კგ მუხტი კორპუსზე, მფრინავის კაბინის უკან.

ბ. რადარი – ააფეთქეთ 3 კგ მუხტი ანტენის მბრუნავ მექანიზმზე და 2 კგ მუხტი სამართავ პანელზე.

გ. სარემონტო კაბინები – ააფეთქეთ სულ მცირე 5 კგ კაბინის ცენტრში, ან წაუკიდეთ ცეცხლი იქვე ნაპოვნი ბენზინით, ზეთით ან ნავთით.

დ. საწვავის დეპოები – იხ. „საწვავის დეპოების განადგურება“.

ე. საზენიტო დანადგარები – ჩააგდეთ ხელყუმბარა დანადგარის მილში.

ვ. პროჟექტორები – ესროლეთ პროჟექტორს. მოათავსეთ 1 კგ მუხტი მბრუნავ მექანიზმზე; გაანადგურეთ გენერატორი 2-3 კგ კონცენტრირებული ნაღმით.

რეაქტიული თვითმფრინავის განადგურება

ა. ამფეთქებელს თვითმფრინავთან მიაქვს კარაბინი,

დაახლოებით 3 მ. სიგრძის კიბე, მავთული და ათავსებს ნაღმს თვითმფრინავში.

ბ. ავტომატით შეიარაღებულ მტვირთავს ზურგჩანთით მიაქვს მზა ნაღმები.

გ. გუნდის ხელმძღვანელი აღჭურვილია ავტომატით, ხელყუმბარით და იცავს თავისი რაზმის ორ წევრს, სანამ ისინი თვითმფრინავს ნაღმავენ.

განადგურების შესაძლო საშუალებები, ხელსაყრელი ადგილები:

ა. აალებადი ნივთიერებით სავსე ავზები მოათავსეთ მფრინავის სკამში. თუ არ იცნობთ ცალკეული თვითმფრინავის აგებულებას, მფრინავის კაბინის სახურავის ახდა ნაჯახით ან ძალაყინით მოგიწევთ. ხმაური გარდაუვალია.

ბ. ძრავის ჰაერშემკრებში ჩააგდეთ ხელყუმბარა 43 ან ნაღმი, რაც სერიოზულად დააზიანებს ფრთებს, ძრავასა და კორპუსს.

გ. მოათავსეთ 500 გ ასაფეთქებელი ნივთიერება თვითმფრინავის წინა და უკანა ბორბლებზე.

19. ხიდების განადგურება

მნიშვნელოვან ხიდებს ჩვენი ჯარები ააფეთქებენ, პარტიზანები კი დამატებით ხის ან ლითონის ხიდებს გაანადგურებენ.

ხის ხიდების ასაფეთქებლად მუხტები მიამაგრეთ ბოძებზე, ხოლო ბანგალორის ტორპედო – გზის გასწვრივ. თუ ხიდს დამაგრძელებელი კოჭიც აქვს, გამოიყენეთ ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერება. თუ

დროში არ ხართ შეზღუდული, შეგიძლიათ ააფეთქოთ ხიდის ბურჯებიც.

ლითონის ხიდების შემთხვევაში, თუ ცოტა დრო გაქვთ, ააფეთქეთ მხოლოდ კოჭები, ხოლო თუ საკმარისი დრო გაქვთ, იმოქმედეთ გეგმის თანახმად: გადაჭერით ხიდი დიაგონალზე. ააფეთქეთ ქვედა კოჭები და ერთი ზედა კოჭი, იმავე მხარეს ააფეთქეთ ერთი დიაგონალური საყრდენი ბურჯი და ნაპირა საყრდენები. თუ არ გადაჭრით ზედა კოჭს, ხიდი ჯერ გადაიხრება და მერე წაიქცევა. ტერიტორიის ხიდის ნანგრევებისგან გაწმენდა ძალიან ძნელია.

გაითვალისწინეთ, რომ ასეთი პატარა ხიდების აფეთქებით მტრის მოძრაობას დიდი ხნით შეაფერხებთ. უმრავლეს შემთხვევაში, მოწინააღმდეგე დანგრეული ხიდების აშენებას მშენებლობის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მოკლე დროში შეძლებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია არა ის, თუ როგორ ააფეთქებთ ხიდს, არამედ როდის. ტექნიკურად მარტივი აფეთქება გადამწყვეტი ოპერაციის წინ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფართომასშტაბიანი აფეთქება უმოქმედობის პერიოდში, როდესაც მტერი ნაკლებად იყენებს ხიდებს.

20. ქალაქების დროებითი ოკუპაცია პარტიზანების მიერ

საოკუპაციო ძალები ქალაქის დაკავების შემდეგ შეუდგებიან ქალაქის განადგურებას, კერძოდ, დაშლიან და ქვეყნიდან გაზიდავენ მნიშვნელოვან სამრეწველო ქარხნებს სამუშაო ძალასთან ერთად, მასიურად გადაასახლებენ მოქალაქეებს, გაანადგურებენ იმ საზოგა-

დოებრივ თუ სამრეწველო ობიექტებს, რომელთა დაშლაც შეუძლებელია, მაგალითად, ელექტროსადგურებს, ბუნებრივი აირის სადგურებს, რკინიგზას, ხიდებს და ა. შ.

მტერი ამ ზომებს განსაკუთრებით მაშინ მიმართავს, როცა მას უწევს ოკუპირებული ტერიტორიიდან გასვლა. თუ სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობა და პარტიზანები ხელს შეუშლიან მოწინააღმდეგეს ქალაქის განადგურებაში, ისინი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევენ სამშობლოს, რადგან გადაარჩენენ ქვეყნის მრეწველობისა და საზოგადოებრივი შენობების მცირე ნაწილს მაინც ომისშემდგომი რეკონსტრუქციისთვის.

ამიტომაც უნდა ეცადოთ და მოახერხოთ ქალაქების სწრაფად და ეფექტურად დაკავება. იმოქმედეთ შემდეგი გეგმის მიხედვით:

პირველი ეტაპი:

შეუთანხმეთ ერთმანეთს პარტიზანებისა და სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობის ქმედებები. სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობა პარტიზანების დასახმარებლად დაზვერავს მტრის ყაზარმებს, საწყობებსა და ქალაქში განლაგებულ ძლიერ პოსტებს; ასევე დაზვერავს მოიერიშე რაზმისათვის ხელსაყრელი შეხვედრის ადგილებს (საცხოვრებელი კორპუსები, საკანალიზაციო სისტემა), დაადგენს ამ შეკრების ადგილებამდე მისასვლელ საუკეთესო გზებს, იქნება ეს საკანალიზაციო სისტემა, უკანა ეზოები თუ სკვერები, ტრანსპორტი თუ ელექტროენერგიის გათიშვა ან კომენდანტის საათი. სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული მოიერიშე რაზმების მეთაურები დაზვერავენ თავიანთ სამიზნეებს. ამ ოპერაციის დროს მათ უხელმძღვანელებენ სამოქალაქო მოძრაობის ის წევრები, რომლებიც კარგად იცნობენ სამოქმედო ტერიტორიას.

მეორე ეტაპი:

დაძარით ქვედანაყოფი. სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები მიგასწავლიან გზებს და უზრუნველყოფენ თქვენს უსაფრთხოებას.

მესამე ეტაპი:

მოიერიშე რაზმები შევლენ ქალაქში და გაემართებიან შეკრების ადგილებისკენ სამიზნესთან ახლოს მდებარე საკანალიზაციო სისტემების, ბინებისა თუ მაღაზიების გავლით.

მეოთხე ეტაპი:

ყველაზე მნიშვნელოვან სამიზნეებს თავს დაესხმებით მოულოდნელად. ქალაქის ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქვედანაყოფის ძირითადი ნაწილი ქალაქში შემოვა ტრანსპორტით და მოიგერიებს მტრის იერიშს.

დაყავით ქვედანაყოფი შემდეგ ნაწილებად:

დაავალეთ რაზმებს დაიკავონ ქალაქის მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო პუნქტები (ხიდები, გასასვლელები), სუსტი ან დაუცველი სამიზნეები, მოიერიშე რაზმებს დაავალეთ აიღონ ყაზარმები, დაცვის პუნქტები და ძლიერი პოსტები. უსაფრთხოების რაზმი მტრის ძლიერი წინააღმდეგობის დროს დაიცავს მოიერიშე რაზმს. აუცილებლად დაგჭირდებათ რაზმების მოტორიზება, ამიტომ სამიზნეთა სიაში შეიტანეთ მოწინააღმდეგის ავტოპარკები. უსაფრთხოების რაზმებში გაანაწილეთ მძღოლები.

სამიზნეები:

დაიკავეთ ხიდები, რაც მოგცემთ მათზე თავისუფალი გადაადგილების საშუალებას და ამასთან, დაბლოკავს მტრის საკომუნიკაციო ხაზს. დაიკავეთ რადიოსადგურე-

ბი, საიდანაც შეძლებთ გადასცეთ შეტყობინებები მოსახლეობას და დაუკავშირდეთ მეგობარ ქვეყნებს. დაიკავეთ ადმინისტრაციული და სამთავრობო შენობები. ეს გააადვილებს მოსახლეობის კონტროლს. დაიცავით არქივები და საბუთები, დააპატიმრეთ მნიშვნელოვანი თანამდებობის პირები. ციხეების ოკუპაციით სიკვდილისგან იხსნით პოლიტიკურ პატიმრებს. აიღეთ სატელეფონო სადგურები და ადმინისტრაციული შენობები. დაიკავეთ სარკინიგზო სადგურები, რათა არ მისცეთ მტერს მძიმე ტექნიკის გაზიდვის საშუალება და შეაფერხოთ გარეშე სამხედრო ძალის შემოსვლა. თუ არ გეყოლებათ ბევრი მეომარი, მხოლოდ მთავარი საკომუნიკაციო მარშრუტების ჩაკეტვას დასჯერდებით.

IV. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მტრის ქმედებები პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ

პარტიზანთა წინააღმდეგ ბრძოლისას მტერს ერთდროულად უწევს მნიშვნელოვანი ობიექტების დაკავება და ტერიტორიების სისტემატური გაწმენდა პარტიზანებისგან. გზების გასაკონტროლებლად მტრის ჯარები გამოიყენებენ მოტორიზებულ, მექანიზებულ ან დაჯავშნულ მოიერიშე რაზმებს. შუალედური ტერიტორია გაკონტროლდება ვერტმფრენებით. მტერი განახორციელებს ტერიტორიების დეტალურ დაზვერვას.

ქვეითი ჯარის დიდი ოდენობა აუცილებელია და სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ მექანიზებულ არმიას, სადაც ქვეითთა პროცენტულობა დაბალია, უძნელდება პარტიზანთა ოპერაციების ჩახშობა.

ოპერაციებში საჰაერო ძალების ჩართვა ძალიან ძვირი ჯდება.

ადგილობრივი წინააღმდეგობის დროს 10-10 კმ-ის დაშორებით ასეულებით გამაგრებული პოსტი იდგმება.

აუცილებელია, ჯარს ჰქონდეს თანამედროვე რადიომოწყობილობა. ამის უზრუნველსაყოფად შეიძლება გაცვლა გაკეთდეს: ოცეულს დასჭირდება ასეულის რადიომოწყობილობა, ასეულს კი – ბატალიონისა და ა. შ.

საომარი მასალების მომარაგება მტერს არ დასჭირდება, რადგან მხოლოდ მცირე შეტაკებები იქნება.

ყაზარმები განლაგდება დიდ, ერთმანეთთან დაკავშირებულ შენობებში, რომლებიც გარშემორტყმული იქნება მავთულხლართით და გამაგრდება ტყვიამფრქვევებით, ნაღმმტყორცნებითა და პროჟექტორებით. ასეთი ფორტიფიკაციების დასაცავად მტერს აღარ დასჭირდება ბევრი მცველის დაყენება და მდევართა რაზმებში მეტი ჯარისკაცს გადაიყვანს.

საგზაო მოძრაობა მხოლოდ დღის განმავლობაში იქნება ნებადართული. გზაჯვარედინებზე გააჩერებენ ავტომანქანებს და ესკორტით გააცილებენ პარტიზანების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. 25 ავტომანქანას ესკორტირებას გაუწევს ორი სატრანსპორტო საშუალება (მსუბუქი ტანკები, ჯავშნიანი სადაზვერვო მანქანები).

მდევართა რაზმების ორგანიზება და ამოქმედება

მდევართა რაზმები შედგება მცირეკალიბრიანი იარაღით, ავტომატებით, მსუბუქი ტყვიამფრქვევებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული 20-25 მეომრისაგან. თითოეულ რაზმს ევალება კვალში ჩაუდგეს რომელიმე პარტიზანულ ქვედანაყოფს რამდენიმე დღის და, თუ საჭიროა, კვირის განმავლობაშიც. ამის მისაღწევად მადევრები იძულებულნი არიან იმოძრაონ უჩუმრად და იმოქმედონ პარტიზანების ანალოგიურად. რაციებით აღჭურვილი მტრის აგენტები ლოკალიზებას უკეთებენ პარტიზანთა სამოქმედო ტერიტორიას. თუ სადაზვერვო ვერტმფრენი შეგნიშნავთ, ის დაუყოვნებლივ გადასცემს ინფორმაციას მდევართა რაზმს და საჰაერო რეზერვიც ადგილზე გაჩნდება.

დაკავებული ტერიტორიების გაწმენდა მოწინააღმდეგეებისგან

პარტიზანების მიერ დაკავებული ტერიტორიის გასაწმენდად მტრის ასეული დაეწყობა მწყობრში 3 კმ სიგრძეზე და დაუყვება ტერიტორიას. ასეულს უკან ჩაუდგება მოტორიზებული რეზერვი, რომელიც მოიცავს არტილერიასა და ჯავშანტრანსპორტიორებს (ამ უკანასკნელთა არსებობის შემთხვევაში). თუ ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდება, ქვეითი ასეული რაციით გამოიძახებს სარეზერვო ძალას.

ასეთი ოპერაციები პარტიზანებს მხოლოდ დახევას აიძულებს და დანაკარგიც მცირეა. ამიტომ, უმჯობესია, ოპერაციის დაწყებამდე შეიქმნას დამაბრკოლებელი კედელი, რომელთანაც მტერი მიამწყვდევს პარტიზანებს. როგორც წესი, ასეთი კედელი აღიმართება რომელიმე გაუვალ რელიეფთან, მაგ. მდინარესთან ან მთის ქედთან.

კარგი დაზვერვა და ბრძოლის ველები „ქსელის“ განლაგების წინაპირობებს წარმოადგენს:

ძალები უნდა განლაგდეს დაახლოებით შემდეგნაირად:

„ქსელი“: ქვეითი ჯარის ერთი მეოთხედი და მსხვილკალიბრიანი იარაღის ორი მესამედი;

„დამრტყმელები“: ქვეითი ჯარის სამი მეოთხედი და მსხვილკალიბრიანი იარაღის ერთი მესამედი.

გაქცევის მეთოდები

არ დააპიროთ გაქცევა გაწმენდის ოპერაციის დასაწყისში, რადგანაც ამ დროს მტერი ჯერ კიდევ მტკიცედ დგას. მოგვიანებით მტერი ყურადღებას მოადუნებს.

ჯარისკაცები თავს აარიდებენ ძნელად მისასვლელი ადგილების გაჩხრეკას. მწყობრი დაირღვევა. განსაკუთრებით ღამით, სიზარმაცის გამო ჯარისკაცები ამჯობინებენ მიჰყვნენ ბილიკებსა და ადვილად მისადგომ ტერიტორიებს. შესაბამისად, ღამე ყველაზე ხელსაყრელი დროა გაქცევისათვის.

დროდადრო მდევართა რაზმი საჭმელად ან რეორგანიზაციის მიზნით ერთ ადგილას შეგროვდება. ასეთ დროს მტერი დააყენებს გუშაგებს, რაც გაქცევის მეტ შესაძლებლობას მოგცემთ.

ასკაციანი პარტიზანული ქვედანაყოფის დევნისას მტერს ათჯერ და ოცჯერ მეტი შემადგენლობის ქვედანაყოფები – ერთი ან ორი ბატალიონი დასჭირდება.

გაქცევის შემდეგ პარტიზანები შეიკრიბებიან წინასწარ დათქმულ ადგილას და სწრაფად გაეცლებიან სახიფათო ტერიტორიას.

როგორ დავაღწიოთ თავი გაწმენდის ოპერაციებს:

თუ ვერ შეძლებთ მტრის ალყიდან გაძრომას, დაიმალეთ საიმედო სამალავებში.

დაყავით 3-4-კაციან ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი დაიმალება მათთვის გამოყოფილ სამალავში. მტერმა რომელიმე ჯგუფი რომც შენიშნოს, საფრთხე არ შეექმნება დანარჩენ ჯგუფებს.

ჯგუფის ხელმძღვანელი შენიღბავს მისი ჯგუფის წევრების მიწაში ამოთხრილ სამალავებს და შემდეგ თვითონაც დაიმალება, სავარაუდოდ – ხეზე.

როდესაც საფრთხე გაივლის, ის სიგნალს მისცემს ჯგუფის წევრებს.

სამალავს დააფარეთ ხის ტოტები, რომლებზეც გადა-

ფარებული იქნება ტომარა და შესანიღბი მასალა.

სამალავები ამოთხარეთ ბუჩქების ან ხის ქვეშ. ასეთ ადგილებს მტერი ნაკლებად დადგამს ფეხს და თქვენც გადარჩენის მეტი შანსი გაქვთ.

თუ მტერს ძაღლები არ ჰყავს, ეს გადარჩენის ალბათობას ზრდის. თუ მტერი ერთ-ერთ სამალავს მიაგნებს, ჯგუფის დანარჩენი წევრებიც გამოდიან სამალავებიდან და ბრძოლაში ერთვებიან, რადგანაც მტერი უკვე გულდასმით გაჩხრეკს მთელ ტერიტორიას. ეცადეთ ესროლოთ ძაღლებსა და მათ თანხმლებ ჯარისკაცებს.

II ნაწილი. სამოქალაქო წინააღმდეგობის ორგანიზება და მართვა

I. ორგანიზება

1. სამოქალაქო წინააღმდეგობის მისია

ა. გჯეროდეთ საბოლოო გამარჯვებისა;

ბ. ასწავლეთ მოსახლეობას მტერთან ურთიერთობა.

გ. შეაგროვეთ და გადაინახეთ იარაღი და საბრძოლო მასალები იმ დროისათვის, როდესაც პარტიზანებთან ერთად გაერთიანებული ძალებით წამოიწყებთ ღია აჯანყებას. ეს მომენტი შესაძლოა დაემთხვეს მტრის მოახლოებულ მარცხს ან მოკავშირეთა ჯარების შემოსვლას.

დ. ჩამოაყალიბეთ სადაზვერვო სამსახური, რითაც დაეხმარებით პარტიზანებს, სახელმწიფო ჯარის ნაწილებსა და მოკავშირე ქვეყნებს.

ე. ჩაინიშნეთ ოკუპანტთა მიერ ჩადენილი ყველა სისატიკე მათთან მომავალი ანგარიშსწორების მიზნით (ხმების, პლაკატების და ბროშურების გავრცელებით ყველას, მათ შორის მტერსაც, უნდა აცნობოთ ამის შესახებ. ეს ხერხი ზოგ ოკუპანტს აიძულებს თავი შეიკავოს დანაშაულის ჩადენისაგან).

ვ. გამოეცით უფასო იატაკქვეშა გაზეთი;

ზ. გაუშვით რადიოგადაცემები;

თ. ჩამოაყალიბეთ ორგანიზაცია, რომელსაც თავს შეაფარებენ საოკუპაციო პოლიციის (სახელმწიფო უშიშროების სამსახურის) მიერ ძებნილი პირები;

ი. შექმენით მოკავშირე ქვეყნების ჩამოგდებული თვითმფრინავების ან გაქცეული პატიმრების გადარჩენის ქსელი (გაგზავნეთ ეს ხალხი პარტიზანთა ქვედანაყოფებში);

კ. გააყალბეთ სასურსათო ბარათები, ე.წ. „სახელმწიფო მტრებისთვის", ანუ საზოგადოებიდან გარიყული ხალხისთვის, რომელთაც „ნელი სიკვდილი" აქვთ მისჯილი.

ლ. გააყალბეთ ფული და საიდენტიფიკაციო საბუთები ზემოთ ხსენებული ხალხისთვის, ასევე იმ პირთათვის, რომლებიც უნდა „გაქრნენ" სახელმწიფო უშიშროების სამსახურის გადაწყვეტილებით.

მ. ხელი შეუშალეთ მტერთან თანამშრომლობას;

ნ. მოაწყვეთ საბოტაჟი. განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეულ ჩინოვნიკებსა და მოღალატეებს მოუწყვეთ ტერაქტები.

ო. ჩამოაყალიბეთ საბრძოლო რაზმები და მოამზადეთ ისინი ღია აჯანყებისთვის.

მტერთან თანამშრომლობის შკალა

თავდაპირველად მტერთან ითანამშრომლებს მოსახლეობის მცირე ნაწილი. ტერორისტული ზომების გატარების შემდეგ მოღალატეთა რიცხვი გაიზრდება, გარკვეულ პერიოდში ასევე შენარჩუნდება და მერე ისევ დაიკლებს.





საოკუპაციო ძალების სისასტიკითა და მოღალატე მთავრობის ქმედებებით იმედგაცრუებული მოსახლეობა მზადაა ითანამშრომლოს წინააღმდეგობის მოძრაობასთან. მტრის სისასტიკე გულისხმობს: სამუშაო ძალის იძულებითი გადაყვანას საზღვარგარეთ, გახანგრძლივებულ

სამუშაო გრაფიკს, მიცემული პირობების დარღვევას, შანტაჟს, დაპატიმრებებს, მძევლად აყვანას, წამებას, დეპორტაციას, დახვრეტას, ქარხნების იძულებითი წესით დემონტაჟს, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას.

2. მოხალისეთა აყვანა

მიუხედავად მათი დიდი სურვილისა, ყველა ადამიანი არ გამოდგება წინააღმდეგობის მოძრაობის წევრად. ყურადღებით უნდა აირჩეს მოძრაობის აქტიური წევრები. სწორედ არჩევაზეა დამოკიდებული მოძრაობის წარმატება და მარცხი. მოძრაობაში არ უნდა გააწევრიანოთ ისეთი პირები, რომლებსაც მშვიდობიანობის დროს მაღალი სამხედრო თანამდებობები ეკავათ, რადგან ადვილი შესაძლებელია ისინი მტერმა აიყვანოს და გადაიბიროს. უფრო მეტიც, ასეთმა პირებმა საერთოდ არ უნდა იცოდნენ მოძრაობის არსებობის შესახებ.

მოხალისეთა აყვანის ეს ძირითადი პრინციპი ყველასთვის უნდა იყოს ცნობილი, მტრისთვისაც კი. ასე თქვენ რამდენადმე დაიცავთ ყოფილ სამხედრო პირებს, რადგან მტერი არ შეეხება მათ, ეცოდინება რა, რომ ისინი მოძრაობაში არ მონაწილეობენ.

მოძრაობის წევრები არ შეიძლება გახდნენ გადამდგარი პოლიტიკოსები, მთავარი ეკონომისტები, გამომცემლები, პროფესორები, ადმინისტრაციული თანამდებობის პირები, რადგან ისინი ცნობილი ადამიანები არიან. მათ ადრე თუ გვიან მაინც მიაგნებენ და დააპატიმრებენ ან სიკვდილით დასჯიან. ამიტომ, უკეთესია, თუ ისინი პარტიზანებს შეუერთდებიან.

ყველა, ვისაც მოძრაობასთან თანამშრომლობა სურს,

უნდა იყოს რაც შეიძლება შეუმჩნეველი. ცნობილი პიროვნებები კიდევ ერთი საფრთხის წინაშე დგანან – ოკუპაციის საწყის ეტაპზე ისინი შესაძლოა იძულებულნი გახდნენ, მხარი დაუჭირონ მტერს.

3. პარტიზანულ რაზმებში ან სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობაში გაწევრიანება

იდეოლოგიების ბრძოლაში პირადი საფრთხე უკვე აღარ იზომება იმ კრიტერიუმით, ხართ თუ არა წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი. თუ თქვენ ეკუთვნით მოსახლეობის იმ ფენას, რომელსაც მტერი არ სწყალობს, დეპორტაცია ან სიკვდილი გელით. მასიური დეპორტაცია და დაპატიმრებები ყველა ფენის ადამიანს ეხება. ის, რომ წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი არ ხართ, ალიბად არ გამოდგება.

დაძაბულ სიტუაციაში არავინ დაეხმარება „არამებრძოლს". მოძრაობის წევრობა ერთგვარი დაცვაცაა, რადგან მოძრაობის წევრები გაფრთხილებენ მოსალოდნელი საშიშროების შესახებ და გაქცევაში გეხმარებიან.

ყველა ის პირი, ვინც თავისი პროფესიის, იდეოლოგიის ან ხასიათის გამო პოტენციურ მტრად აღიქმება და ამავე დროს დეპორტაცია ან სიკვდილით დასჯა ემუქრება, აუცილებლად უნდა შეუერთდეს პარტიზანებს ან წინააღმდეგობის მოძრაობას.

იქონიეთ კავშირი მსგავსი შეხედულებების მქონე ხალხთან. მოძრაობიდან გარიყული ან მის გარეთ დარჩენილი ადამიანი იმავე საფრთხესა და შიშს გრძნობს, რასაც სამართლებრივი ომის დროს ქვედანაყოფიდან იზოლირებული ჯარისკაცი.

ქსელის ორგანიზება

(იდეალური მდგომარეობა, ძირითადი ნახაზი)



ძირითადი უჯრედის წევრები წარმოადგენენ ახალი უჯრედების ბირთვს

3-დან 10 კაცამდე, რომლებიც იცნობენ და პატივს სცემენ ერთმანეთს, ქმნიან ახალ უჯრედს.

ხშირად წარმოქმნის ახალ უჯრედს, რომლის ხელმძღვანელი არის ძირითადი უჯრედის წარმომადგენელი.

4. სხვადასხვა განყოფილების საქმიანობა

საინფორმაციო და პროპაგანდის განყოფილება

მოსახლეობას ასწავლის თუ როგორ მოიქცნენ საზოგადოდ, დაკითხვის დროს ან დაკითხვის შემდეგ, ციხეში, დეპორტაციის დროს ან საკონცენტრაციო ბანაკებში.

საინფორმაციო სამსახური

ავრცელებს სწორ ინფორმაციას ომის მიმდინარეობის შესახებ.

გაქცევის განყოფილება (20-30 კაცი)

დევნილების გადაადგილება ხდება შემდეგნაირად: 1. იყოლიეთ რამდენიმე მძღოლი საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიებიდან; 2. რკინიგზის დისპეტჩერები და გამყოლები, რომლებიც ნებას დართავენ დევნილებს იმგზავრონ ბილეთის გარეშე; 3. სანდო მაცხოვრებლები, რომლებთანაც დევნილები დაისვენებენ და ისადილებენ მგზავრობამდე ან მგზავრობის შემდეგ.

ფინანსური განყოფილება

ფინანსები გროვდება შემდეგი მეთოდებით:

1. მოკავშირე ქვეყნებში იბეჭდება ყალბი ფული; 2. ოკუპირებულ ტერიტორიაზე იბეჭდება ყალბი ფული; 3. დიდი კომპანიებისგან ვითომ სხვა მიზნით გამოიყოფა თანხები; 4. გადაიბირებენ საბანკო და საფოსტო პერსონალს, რომლებიც ხელსაყრელ მომენტში უერთდებიან წინააღმდეგობის მოძრაობას და თან მიაქვთ დიდი რაოდენობით ფული; 5. ესხმიან მტრის ფინანსურ განყოფილებებს.

საბრძოლო რაზმები მოგვიანებით ჩამოყალიბდება. იყავით ჩუმად და დაუცადეთ ღია აჯანყებას.

საინფორმაციო და პროპაგანდის განყოფილება

საიდუმლო რადიოსადგური

ავრცელებს ინფორმაციას ომის მიმდინარეობის შესახებ

პლაკატების განყოფილება კედლებზე წერს ლოზუნგებს.

ფინანსური განყოფილება

წინააღმდეგობის მოძრაობისთვის ფულის მოპოვება; სხვადასხვა განშტოებისთვის სახსრების მიწოდება

საიდუმლო პრესა

პროკლამაციები, სარეკლამო ბროშურები, იატაკქვეშა გაზეთი, პლაკატები

სარედაქციო ჯგუფი

პროპაგანდა

მონიტორინგის განყოფილება

აკონტროლებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამხედრო ინფორმაციას

გადასცემს ინფორმაციას

ეროვნული არმიის ნაწილებს;

პარტიზანებს;

მოკავშირე ქვეყნებს

საინფორმაციო ჯგუფი

(ასწავლის მოსახლეობას სათანადო მოქცევის წესებს)

პოლიცია

კონტრშპიონაჟი

უცხოელი დიქტატორების მიერ ჩადენილი სასტიკი დანაშაულების სია

არქივი

უცხოელი დიქტატორების მიერ ჩადენილი სასტიკი დანაშაულების სია

შეფასების ჯგუფი

ატარებს მტრის მიერ დაპატიმრებული, დაკითხული ან დეპორტირებული ხალხის გამოკითხვას. ადგენს მტერთან ურთიერთობის ახალ წესებს.

მკვლელობათა განყოფილება

მტრის განსაკუთრებით სასტიკი ჩინოვნიკებისა და მოღალატეების დასჯა

დაუმორჩილებლობის მოძრაობის ორგანიზება

მოხალისეთა აყვანის განყოფილება

ნინაალმდეგობის მოძრაობის გაფართოება; სპეციალისტების აყვანა; დანაკარგის შევსება

საწვრთნელი განყოფილება

სპეციალისტებისა და ხელმძღვანელების მომზადება, გამოცდილებების შეფასება

საბოტაჟის განყოფილება

- რკინიგზის საბოტაჟი
- გზატკეცილების საბოტაჟი
- სამრენველო საბოტაჟი
- ფოსტების, ტელეგრაფებისა და სატელეფონო სადგურების საბოტაჟი
- ელექტროქსელის საბოტაჟი
  - კავშირი პარტიზანებთან, რომლებიც მოგამარაგებენ საბრძოლო და ასაფეთქებელი მასალებით.

კავშირგაბმულობის განყოფილება

ამყარებს კავშირს ქვემოთჩამოთვლილ ნანილებთან საიდუმლო რადიოსადგურების, მტრედების ან შიკრიკების მეშვეობით.

- ეროვნული ჯარის დარჩენილი ნანილები
- პარტიზანები
- მოკავშირე ქვეყნები, თუ ერონული ჯარი ალარ არსებობს.

გაქცევის განყოფილება

- საავარიო დაშვების პერსონალის, გაქცეული პატიმრების და სამოქალაქო ლტოლვილების მდგომარეობის შეფასება
  - **გაყალბების განყოფილება**
    - საიდენტიფიკაციო საბუთები, სასურსათო ბარათები, ფული
  - **სატრანსპორტო ჯგუფი**
    - რკინიგზის პერსონალი, მძღოლები, პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ განთავსებას
    - კავშირი პარტიზანულ დანაყოფებთან, რომლებიც მიილებენ ამ ხალხს.

დაგეგმილი დანაწევრება ძალიან მცირე ჯგუფებად. არანაირი ცენტრალიზაცია.

თითოეული წევრისთვის ცნობილია მხოლოდ აუცილებელი ინფორმაცია. თუ ერთი ან რამდენიმე წევრი ჩაეარდება მტრის ხელში, ეს საფრთხეს არ შეუქმნის მთლიან ორგანიზაციას. დატყვევებული ნევრებისგან მიღებული ინფორმაცია ამხელს მოძრაობის მხოლოდ მცირე ნანილს.

თანხების გამოყენება:

შეგროვებული ფული გამოიყენება შპიონაჟისთვის, ჩინოვნიკების მოსაქრთამად, იატაკქვეშა ორგანიზაციების წევრებისა და წინააღმდეგობის მოძრაობის პრესის დასახმარებლად.

კარგი იქნება, თუ დააარსებთ საკომპენსაციო ფონდს. ადამიანი, რომელიც იატაკქვეშა საზოგადოებას შეუერთდება, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მის ოჯახს ექნება მინიმალური შემოსავალი. ასეთ ოჯახებს, ისევე როგორც დეპორტირებული, დაპატიმრებული ან სიკვდილით დასჯილი პირების ოჯახებს, წინააღმდეგობის მოძრაობა დაეხმარება პროდუქტითა და ფულით.

გაყალბების ჯგუფის ორგანიზება (8-10 სპეციალისტი)

გააყალბეთ პირადობის დამადასტურებელი საბუთები (პასპორტები, პირადობის მოწმობები, სასურსათო ბარათები, ფული, საწვავის კუპონები, ოფიციალური ბეჭდები, ბილეთები და სხვ.).

ეს ჯგუფი აერთიანებს საბეჭდი მაღაზიის მეპატრონეს, რომლის ინვენტარიც გამოიყენება გაყალბების დროს, ბეჭდების გამყალბებლებს, მიმეოგრაფის სპეციალისტებს და შუამავალს წინააღმდეგობის მოძრაობასთან.

საიდუმლო ბეჭდვითი მედიის ორგანიზება (5-6 კაცი)

ეს განყოფილება ბეჭდავს პროკლამაციებს, პლაკატებსა და იატაკქვეშა გაზეთს. განყოფილება აერთიანებს გამომცემლობის მეპატრონეს, მინიმუმ ორ ამწყობს, ორ მბეჭდავს, რედაქტორს, ილუსტრატორსა და შუამავალს, რომელიც წინააღმდეგობის მოძრაობას აკავშირებს გამყალბებელ ჯგუფთან.


ბეჭდის ნიმუშის ამომჭრელი
რეტუშორი
რეტუშორი
ბეჭდის ნიმუშის ამომჭრელი
რეპროდუქციული ფოტოგრაფი
გრავიორი
გრავიორი
გალვანური დაფარვის სპეციალისტი
მოსპილენძების სპეციალისტი
მბეჭდავი
ბეჭდების გამყალბებლები
მიმეოგრაფიის განყოფილება
ისინი მხოლოდ მალაზიის მეპატრონეს იცნობენ, მაგრამ არა მიმეოგრაფის განყოფილების წევრებს ან შუამავალს.
ამ განყოფილების წევრები მხოლოდ მალაზიის მეპატრონეს იცნობენ და წარმოდგენა არ აქვთ, ვინ არიან ბეჭდის გამყალბებლები ან შუამავალი.
შუამავალი აძლევს შეკვეთას და იღებს მზა საქონელს. ის მხოლოდ მალაზიის მეპატრონესა და გაქცევის განყოფილების ხელმძღვანელს იცნობს.
დაუმორჩილებლობის მოძრაობა
გაქცევის განყოფილების ხელმძღვანელი მხოლოდ შუამავალს იცნობს და მისი საშუალებით აძლევს შეკვეთებს



კედლებზე ლოზუნგების დაწერაზე პასუხისმგებელი განყოფილება

საჭირო მასალებია: საღებავიანი ვედროები, დიდი ზომის ფუნჯები, სპორტული ფეხსაცმელი, ველოსიპედები (უხმაურო და სწრაფი ტრანსპორტი) და პისტოლეტები მცველებისათვის.


დაცვა
დაცვა
სამუშაო ჯგუფი (იცნობს მხოლოდ ხელმძღვანელს)
სამუშაო ჯგუფი (იცნობს მხოლოდ ხელმძღვანელს)
საღებავის მიმწოდებელი (საღებავების მაღაზიის მეპატრონე ან ბითუმად მოვაჭრე) იცნობს მხოლოდ ლოზუნგების წერის განყოფილების ხელმძღვანელს.
ლოზუნგების წერის განყოფილების ხელმძღვანელი იცნობს მხოლოდ თავისი განყოფილების ნევრებს, საღებავების მიმწოდებელსა და შუამავალს.
შუამავალი იღებს ლოზუნგებს წინააღმდეგობის მოძრაობისგან და გადასცემს მათ განყოფილების ხელმძღვანელს. იცნობს მხოლოდ ამ უკანასკნელს და საინფორმაციო განყოფილების უფროსს.
დაუმორჩილებლობის მოძრაობა
საინფორმაციო და პროპაგანდის განყოფილების უფროსი იცნობს მხოლოდ შუამავალს.

II. მტრის ოპერაციები

1. ტერორის ძირითადი წესები

თუ ეწინააღმდეგებით მტრის პოლიტიკას და მტერიც ხვდება, რომ არ შეუძლია მოგაქციოთ თავისი გავლენის ქვეშ, ის შეეცდება თქვენს დამორჩილებას დაშინებით. მტერი ფლობს ტერორის საკმაოდ ეფექტურ მეთოდებს, ამიტომ მზად უნდა იყოთ. თუ გეცოდინებათ ეს მეთოდები, წინააღმდეგობასაც უფრო ადვილად გაუწევთ.

ტერორის მეთოდებია:

ა. სატელეფონო საუბრებისა და მიმოწერის კონტროლი;

ბ. აგენტურისა და ინფორმატორების ქსელი;

გ. უსაფუძვლო დაპატიმრება;

დ. დახურული სასამართლო პროცესები;

ე. უსაფუძვლოდ დასჯა;

ვ. ჩადენილ დანაშაულთან შეუსაბამო პატიმრობის ვადა.

სატელეფონო საუბრებისა და მიმოწერის კონტროლი

სატელეფონო საუბრებისა და მიმოწერის გაკონტროლება მტერს ნაკლებად შეუძლია ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც ბერნია, სადაც ყოველდღიურად 160 000 სატელეფონო საუბარი ხორციელდება და 200 000 წერილი იგზავნება.

მტრისთვის არახელსაყრელია გრძელი საუბრების მოსმენა, რადგან ასეთ შემთხვევაში დღის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე საუბრის მოსმენას შეძლებს, ხოლო თუ მოსმენას შეწყვეტს, შესაძლოა, რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოეპაროს.

წერილებსა და სატელეფონო საუბრებში გამოიყენეთ კოდური სიტყვები და პერიფრაზები, რითაც შეამცირებთ მტრის ცენზურის ეფექტურობას.

უსაფუძვლო დაპატიმრება

მტერი უსაფუძვლოდ დაიჭერს სრულიად უდანაშაულო ხალხს, რათა გაავრცელოს ხმა, რომ ეს ხალხი დაზვერვის ქსელმა გამოააშკარავა. მტერს სურს შექმნას შთაბეჭდილება, რომ მისი სადაზვერვო ქსელი ძალიან მჭიდრო და ეფექტურია. არ წამოეგოთ ამ ხრიკს და რეალურად შეაფასეთ მოწინააღმდეგის შესაძლებლოები.

უსაფუძვლოდ დასჯა

მტერი ხალხს დასჯის არა კანონების, არამედ პოლიტიკური მოთხოვნების შესაბამისად. ამიტომ, სრულიად შესაძლებელია კონკრეტული დანაშაულისთვის შეუფერებელი სასჯელი მოგისაჯონ. თუმცა უარესისთვისაც უნდა იყოთ მზად. შესაძლოა, საკონცენტრაციო ბანაკში გიკრან თავი განუსაზღვრელი ვადით ან სიკვდილითაც კი დაგსაჯონ უმნიშვნელო დანაშაულისათვის, თუკი არ გაგიმართლებთ და პოლიტიკურად არახელსაყრელ მომენტში დაგიჭერენ.

სისასტიკე დაკითხვებისა და დაპატიმრების დროს

ღამით დაპატიმრება შიშს ამძაფრებს და ხალხსაც

აღარ ეძლევა მშვიდად ძილის საშუალება. სახელმწიფო უშიშროების სამსახური და მისი დაწესებულებები (დაკითხვის საკნები, ციხეები) შიშის მომგვრელია სწორედ სასტიკი დაკითხვებისა და ციხეებში არსებული საშინელი პირობების გამო.

დანაშაულისთვის შეუფერებელი სასჯელი

სასჯელის ზომა უმეტეს შემთხვევაში საერთოდ არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. მაგ: ურანის საბადოში სამუშაოდ შეიძლება გაგზავნონ ის ადამიანიც, რომელმაც კედელზე ლოზუნგი მიაწერა, და საიდუმლო რადიოსადგურის ოპერატორიც; ან სიკვდილით დასაჯონ ის, რომელმაც მნიშვნელოვანი სადგური ააფეთქა და ისიც, ვინც ერთი მუჭა ქვიშა ჩაყარა სარკინიგზო ლოკომოტივის საზეთურში.

თუმცა, ტერორს დადებითი მხარეც აქვს. თუ მტრის ტერორს მოხერხებულად გამოიყენებთ, შეძლებთ სიძულვილით სავსე და სასოწარკვეთილი, თუმცა, მანამდე პასიური მოსახლეობის მობილიზებას. აღიჭურვეთ მოთმინებით და არ სცადოთ ასეთი ხალხის კონტრტერორით გადმობირება. ადრე თუ გვიან მტრის საქციელი მათ ავტომატურად აიძულებს შემოგიერთდნენ. ძალით შემოერთებული ხალხი მაინც არასანდოა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, მათი გამოყენება შეიძლება რეგულარულ არმიაში, სადაც მუდმივი კონტროლის ქვეშ იქნებიან. წინააღმდეგობის მოძრაობის ბრძოლებში ისინი გამოუსადეგარნი და საშიშნიც კი არიან, რადგან ასეთი ბრძოლების წარმატება საიდუმლოობასა და მდგრადობაზეა დამოკიდებული.

2. სახელმწიფო უშიშროების სამსახური (პოლიტიკური პოლიცია „ოხრანკა“, „გესტაპო“, „ჩეკა“, „გპუ“, „სდ“, „ავო“)

თუ გსურთ მტერს წინააღმდეგობა გაუწიოთ და ზარალი მინიმალური იყოს, კარგად უნდა იცნობდეთ მოწინააღმდეგეს. რადგანაც სახელმწიფო უშიშროების სამსახურზე ბევრი არაფერი იცით და ვერც მის სავარაუდო ქმედებებს განსაზღვრავთ, ის საოკუპაციო ჯარებზე მეტად საშიშია. სინამდვილეში, სახელმწიფო უშიშროების სამსახური ტერორის ორგანიზაცია უფროა, ვიდრე პოლიცია. ჩვეულებრივი პოლიციის ან კრიმინალური სამსახურისგან განსხვავებით, მათ არ იციან პოლიციის სამოქმედო მეთოდოლიგია, ამიტომაც მოქმედებენ დაუნდობლად და ტექნიკური შესაძლებლობების არქონას სისასტიკით ანაზღაურებენ.

პოლიტიკურ პოლიციას არ გააჩნია მჭიდრო სტრუქტურა და ჩვეულებრივი, კრიმინალური და სამხედრო პოლიციის ნარევს წარმოადგენს.

სახელმწიფო უშიშროება უფრო ტერორით შექმნილი რეპუტაციით საზრდოობს, ვიდრე ეფექტური შედეგებით.

როგორც წესი, მტერმა არც კი იცის, სად იწყება და სად მთავრდება სახელმწიფო უშიშროების კომპეტეციის სფერო. თუმცა, სურს და გამოსდის კიდეც, შექმნას სახელმწიფო სახელმწიფოს შიგნით. ხშირად ის ატერორებს საკუთარ არმიას და თანამდებობის პირებს. აქედან გამომდინარე, ამ სამ სამსახურს შორის არ არსებობს ნამდვილი მჭიდრო თანამშრომლობა. მათ შორის მხოლოდ მეტოქეობა და შეფარული დაძაბულობა შეიძლება იყოს, რაც ასუსტებს ერთიან ძალას.

სახელმწიფო უშიშროების წევრები სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულები მოქმედებენ, უნიფორმებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ატარებენ.

უშიშროებაში არ მოქმედებს რაიმე მტკიცე კანონი და წესი. ჩვეულებრივი პოლიციისგან განსხვავებით, ის არ მოქმედებს პრევენციის მეთოდით, ანუ იგი დაუყოვნებლივ ანადგურებს პოტენციურ მტერს მაშინაც კი, თუ ამ პირს (ჯგუფს) ჯერ არ ჩაუდენია დანაშაული.

ერთმანეთისადმი უნდობლობა უშიშროების სისტემის განუყოფელი ნაწილია. აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან სისასტიკეში, სისტემის ერთგულებასა და მტრის სიძულვილში. შედეგი კი ისაა, რომ უშიშროების ყველა წევრი ერთმანეთს უთვალთვალებს.

3. ბრძოლა ახალგაზრდებისათვის

ზოგადი ინფორმაცია

ოკუპაციამ შესაძლოა წლები გასტანოს. მტერი და მოღალატე მთავრობა, რა თქმა უნდა, ეცდებიან შეარყიონ ახალგაზრდების ცნობიერება. მტერს დაპყრობილი ტერიტორიის მარტო ეკონომიკური და სამხედრო კუთხით გამოყენება კი არ სურს, არამედ ცდილობს ქვეყანა თავის იდეოლოგიას დაუქვემდებაროს. ამით ის არამარტო სამუშაო ძალას მოიპოვებს, არამედ მიმდევრებსაც გაიჩენს.

მტერი გამორიცხავს უფროსი ასაკის ხალხს, რადგან მათი აზროვნების გარდაქმნა შეუძლებელია. სამაგიეროდ, იოლია დაშინება, ხოლო თუ საჭირო გახდება, გადაასახლებს ან ამოხოცავს მათ.

სამაგიეროდ, შეეცდება გადაიბიროს ახალგაზრდობა მრავალი მეთოდით, დაპირებით დაწყებული და მუქარით დამთავრებული.

ახალგაზრდებთან ბრძოლა ორ ნაწილად იყოფა:

ტრადიციული ახალგაზრდული ორგანიზაციების გაუქმება და მათი შეცვლა სახელმწიფო ახალგაზრდული მოძრაობით.

ოჯახის, ეკლესიისა და სკოლის გავლენის შემცირება ახალგაზრდებზე და მისი შეცვლა პარტიებისა და პარტიული ახალგაზრდული ორგანიზაციების გავლენით.

თავისუფალი ახალგაზრდული ორგანიზაციების შევიწროება

მტერს ეშინია თავისუფალი ახალგაზრდული მოძრაობის გაძლიერების, ამიტომ მას ახალგაზრდების თავისუფლების შეკვეცა სურს. მტერი ახალგაზრდულ ორგანიზაციებს აუკრძალავს შემდეგი სახის აქტივობებს:

უნიფორმების ტარებას;

დროშებისა და ორდენების გამოფენას;

მარშირებას, ბანაკების მოწყობას;

ნებისმიერი სახის სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობას.

ამის გარდა, განხორციელდება მუდმივი ზეწოლა, რათა რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა შეუერთდეს სახელმწიფო ახალგაზრდულ ორგანიზაციებს. მაგალითად, გამოცხადდება, რომ მომავალში მაღალ ან წამყვან თანამდებობაზე მხოლოდ ის ახალგაზრდა დაინიშნება, რომელიც ასეთი ორგანიზაციის წევრი იყო წარსულში.

იმ ფაქტორების მოსპობა, რომლებიც ახალგაზრდობაზე ზეგავლენას ახდენს



მტერი მანიპულირებს იმით, რაც ახალგაზრდებს იზიდავს:

1. ახალგაზრდებს უყვართ აქტიურობა და თავგადასავლები;

2. არიან ენთუზიასტები (მტერი გაავრცელებს ყალბ იდეებს);

3. ბავშვებზე ადვილად ახდენს გავლენას დროშები, უნიფორმები, მუსიკა და ნახატები;

4. ბავშვებს არ აქვთ განვითარებული კრიტიკული აზროვნების უნარი;

5. შეუძლიათ ადვილად დაივიწყონ მომხდარი;

6. თაობათა კონფლიქტი;

7. მომავლის იმედები და ცრუ დაპირებები;

8. უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენება შეფარული არაპირდაპირი იძულება.

ამ მეთოდებით მტერი ახერხებს ახალგაზრდობის გადაბირებას.

ახალგაზრდების გადაბირების პირველი ეტაპი

უპირველეს ყოვლისა, გადაიბირებენ ახალგაზრდებს მათთვის საინტერესო რამეებით: ავტომანქანებითა და სანახაობრივი წარმოდგენებით, ფილმებით, ექსკურსიებით, მხიარული შეხვედრებით.

მეორე ეტაპი

პოლიტიკური გაკვეთილების შემოღება. საწყის ეტაპზე ეს გაკვეთილები იქნება იშვიათი და შენიღბულიც. მათ შეუმჩნევლად შეაპარებენ ჭკვიანურ, საინტერესო და ტექნიკურ პროგრამებში. შემდეგ გაკვეთილების რაოდენობა თანდათან გაიზრდება მანამ, სანამ ის მთავარი საგანი არ გახდება.

ეს ყველაფერი იწვევს ნელ და შეუმჩნეველ გარდაქმნას და ახალგაზრდობა სპორტიდან სამხედრო წვრთნაზე გადადის.

რადგან ოკუპაცია მრავალი წელი შეიძლება გაგრძელდეს, რეალურად დგას ახალგაზრდობის მენტალიტეტის ძირეული შეცვლის საფრთხე. ოკუპანტი დიდ ყურადღებას უთმობს პოლიტიკურ საკითხებს საომარ ვითარებაშიც კი.

4. ბრძოლა ეკლესიასთან

ეკლესიის წინააღმდეგ მტრის მიერ განხორციელებული ოპერაციები

ტოტალიტარული ქვეყანა ეკლესიას ყოველთვის საშიშ მოწინააღმდეგედ აღიქვამს. ამიტომ, მტერი ეტაპობრივად და შეუმჩნევლად შეეცდება მოსახლეობის გაუცხოებას რელიგიისადმი. მტერი არ გაანადგურებს ეკლესიას ერთი ხელის მოსმით, რადგან საზოგადოებისგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდება, არამედ თანდათან გამოუთხრის ძირს წლების განმავლობაში.

ცნება „ეკლესია“ გულისხმობს კათოლიკურ ეკლესიას, პროტესტანტულ ეკლესიას და დამოუკიდებელ რელიგიურ მოძრაობებს (იეჰოვას მოწმეები, ქრისტიანულ მეცნიერებას, მეთოდისტთა ეკლესიას და სხვ.).

მტერი ბოროტ ხმებს გაავრცელებს ეკლესიის შესახებ, საეკლესიო პირებს კრიმინალებს უწოდებს, მღვდლებს ფულის მოპარვას დააბრალებს, ეკლესიას საყოველთაო დაცინვის საგნად აქცევს.

განსაკუთრებული ზომები

მტერი ყველაფერს იღონებს ეკლესიის შესავიწროვებლად, გაიტანს ეკლესიებიდან ნახშირის მარაგს ან შეუზღუდავს ელექტროენერგიას. სკოლებში რელიგიის სწავლება ჩანაცვლდება სახელმწიფო „ახალგაზრდული ინიციატივით“ ან მსგავსი აქტივობებით.

მტერი დევნას დაუწყებს რელიგიურ სასწავლებლებს, დაშლის რელიგიურ ასოციაციებს, საზოგადოების თავშეყრის ადგილებიდან (სკოლებიდან, საავადმყოფოებიდან) ამოიღებს ქრისტიანულ სიმბოლოებს (ჯვრებს, ხატებს), აკრძალავს რელიგიური ჟურნალებსა და წიგნებს, შეზღუდავს და საბოლოოდ აკრძალავს საეკლესიო მსახურებას. მშობლები მოექცევიან დიდი წნეხის ქვეშ და აეკრძალებათ შვილების ტარება ეკლესიასა და რელიგიურ სწავლებებზე. დროთა განმავლობაში წირვების ჩატარება საერთოდ შეწყდება იმ ქვეტექსტით, რომ ისინი აღარ არის საჭირო, რადგან მათ მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილი ან საერთოდ არავინ არ ესწრება.

იგივე მეთოდები გამოიყენება ეკლესიის მრევლის მიმართ. ხალხს დაემუქრებიან შავ სიაში შეტანით და მიიჩნევენ შეუფერებლად გარკვეულ სამსახურებში დანიშვნისათვის.

დევნის პირველი ტალღის შემდეგ ხშირად ეკლესიასთან იდება ზავი და ცხადდება ე.წ. „საზოგადოებრივი მშვიდობა“ აღშფოთებული ხალხის დასაწყნარებლად. ასეთი ზავი საჭირო ხდება მაშინ, როდესაც მტერი ეკლესიის წინააღმდეგ დაუფარავად იბრძვის. ეკლესია, თავის მხრივ, მკაცრად დაიცავს ამ შეთანხმებას, რათა თავიდან აიცილოს დევნის ახალი ტალღის აგორება, თუმცა ამით საბოლოოდ მაინც ეკლესია ზარალდება.

ეკლესიის პოზიცია მის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში

ეკლესიასთან ბრძოლას დადებითი მხარეებიც აქვს. ამ დროს გამოჩნდება, ვინ არის ნამდვილი მორწმუნე და ვინ – არა. ეკლესია მჭიდროდ დაუკავშირდება იმ ხალხს, ვინც ბოლომდე ინდიფერენტული დარჩა მტრის ძალისხმევისა და მიზნების მიმართ. როცა დევნიან, ეკლესიას შეუძლია ნამდვილი მისია შეასრულოს, რაც დიდ სირთულეებსა და, ამავე დროს, დიდ წარმატებასთანაა დაკავშირებული.

ეკლესიამ უნდა ებრძოლოს მოუთმენლობასა და პიროვნულობის კულტს. მან ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ ათი მცნების ყველა დამრღვევი დაისჯება ადრე თუ გვიან. ყურადღება უნდა გაამახვილოს ქრისტიანის მოვალეობებზე, როგორიცაა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, დაუმორჩილებლობა იმ კანონებისადმი, რომლებიც რწმენას კრძალავს და უნდა შეახსენოს ხალხს, რომ შვილების აღზრდა მშობლის უპირველესი მოვალეობაა.

5. მოსახლეობაში უთანხმოების ჩამოგდება

ძალაუფლების განსამტკიცებლად, მტერი შეეცდება მოსახლეობის სხვადასხვა ფენა ერთმანეთს დაუპირისპიროს.

მაგალითად:

ქალაქელებს ჩაუნერგავს უნდობლობას სოფლის მცხოვრებლების მიმართ. ჩამოაგდებს უთანხმოებას მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის. ქალაქელები აითვალწუნებენ ფერმერებს, ხოლო ეს უკანასკნელნი უნდობლობას გამოუცხადებენ ქალაქელებს და მუშათა

კლასს. მტერი გაამწვავებს ფერმერების უთანხმოებას დიდ მიწათმფლობელებთან. მუშათა კლასს ანტაგონისტურად განაწყობს საშუალო კლასისა და ფერმერების მიმართ. გაამწვავებს უთანხმოებას ეკლესიასთან და ინტელიგენციასთან. წვრილ მეწარმეებს ურთიერთობას გაუმწვავებს მუშათა კლასთან. ვაჭრებისა და დიდი კომპანიების მიმართ უნდობლობას ჩაუნერგავს.

დაყოფა და დაპყრობა მტრის საყვარელი ტაქტიკაა. მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებთან დათმობაზე წასვლით, ის თანდათან მოიპოვებს მათ ნდობასა და კეთილგანწყობას.

არ მოტყუვდეთ – როგორც კი თავის მიზანს მიაღწევს, მტერი ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე მოგიშორებთ.

6. კლუბებისა და ასოციაციების განადგურების ტაქტიკა

მტერი ერთბაშად არ დახურავს მისთვის არასასიამოვნო კლუბებსა და ასოციაციებს. თუ ასე მოიქცევა, ორგანიზაციის წევრების სრულ სიას ველარ ჩაიგდებს ხელში და მხოლოდ ხელმძღვანელების დაპატიმრებას შეძლებს, უმრავლესობა კი მიიმალება. ამიტომ მტერი დააკვირდება ამა თუ იმ ორგანიზაციას, ჩაინიშნავს მონაცემებს. მოერიდება ორგანიზაციების ადგილობრივი ფილიალების განადგურებასაც, რადგან ეს ნიშანს მისცემს სხვა ფილიალებს. ორგანიზაციის წევრების სრული სიის ხელში ჩაგდების შემდეგ, მტერი დაიწყებს მოქმედებას. სახელმწიფო უშიშროების სამსახური თვალყურს ადევნებს ყოფილ წევრებს, რათა არ მისცენ მათ ორგანიზაციის აღდგენის საშუალება.

მტერი არ გაანადგურებს ყველა კლუბს ერთდროულად, რადგან ამისთვის საკმარისი ძალა არ გააჩნია. ის ეტაპობრივად შეავიწროვებს კლუბებს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. პოლიტიკური პარტიები – სოციალ-დემოკრატთა პარტია; საშუალო კლასის პარტიები;

2. პროფკავშირები;

3. ახალგაზრდული ორგანიზაციები – პოლიტიკური, საეკლესიო;

4. ეკლესია – კათოლიკური ეკლესია, პროტესტანტული ეკლესია, დამოუკიდებელი რელიგიური ჯგუფები.

7. მოსახლეობის გარკვეული ფენების ლიკვიდაცია

მტერი გაანადგურებს მისთვის არასასურველ ადამიანებს, ჯგუფებს. თანდათან გაამკაცრებს რეპრესიებს.

რეპრესიები განვითარდება შემდეგი მიმდევრობით:

უპირველეს ყოვლისა, მტერი გაათავისუფლებს მაღალი თანამდებობის პირებს, აიძულებს მათ სამუშაოს მიღების სანაცვლოდ გადაიხადონ ქრთამი. შემდეგ საერთოდ აუკრძალავს მათ ნებისმიერ პოსტზე მუშაობას. ასეთ ადამიანებს მოგვიანებით აეკრძალებათ გარკვეულ ადგილებში გამოჩენა და შესაძლოა რაიმე განმასხვავებელი ტანსაცმლის ტარებაც კი მოსთხოვონ. ჩამოერთმევათ ავტომანქანის, რადიომიმღების, ტელეფონის საკუთრების უფლება და აეკრძალებათ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ყიდვა. საბოლოოდ, მათ გადაასახლებენ ან საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნიან.

III. წინააღმდეგობის მოძრაობის ოპერაციები

1. წინააღმდეგობის მოძრაობის მიმდინარეობა

პირველი ეტაპი: დაკვირვებისა და შეფასების პერიოდი

აღიჭურვეთ მოთმინებით, დააცადეთ მოსახლეობას ძალების მოკრება. დრო თქვენს სასარგებლოდ მუშაობს.

უთვალთვალეთ მტერს და შეისწავლეთ მათი თვისებები.

დაადგინეთ, მოსახლეობიდან ვინ მოიაზრება აქტიურ თანამშრომლად, ვინ ყოყმანობს, ვინ არის პასიური და ვინ გადავიდა მტრის მხარეს.

მეორე ეტაპი: პასიური წინააღმდეგობის ორგანიზება

ჩამოაყალიბეთ ჯგუფები, დააკომპლექტეთ იმ ხალხით, რომლებიც იცნობენ და პატივს სცემენ ერთმანეთს. დააკავშირეთ ეს ჯგუფები ერთმანეთთან. თუ ჯგუფში ათ წევრზე მეტია, გაყავით.

რამდენიმე ჯგუფს დაუნიშნეთ ერთი ხელმძღვანელი. ასე შეიქმნება ჯგუფების წრეები. როდესაც შეიქმნება რამდენიმე ასეთი წრე და იატაკქვეშა ორგანიზაცია განვითარების გარკვეულ ეტაპს მიაღწევს, უკვე შეგეძლებათ სპეციალური განყოფილებების ჩამოყალიბება.

მესამე ეტაპი: წინააღმდეგობის ოპერაციების დაწყება

ასწავლეთ მოსახლეობას, როგორ მოიქცეს მტერთან. პოლიციისგან დევნილ ხალხს დაეხმარეთ გაქცევაში ან გადამალეთ. ჩამოაყალიბეთ პროპაგანდის მანქანა. იზოლაციაში მოაქციეთ აგენტები და ინფორმატორები. განახორციელეთ საბოტაჟი.

კონტრტერორის საშუალებით აკონტროლეთ მოღალატეები და ინფორმატორები.

განაგრძეთ პასიური და აქტიური წინააღმდეგობა მანამ, სანამ საოკუპაციო ძალები ისე არ შესუსტდება, რომ შესაძლებელი გახდეს ღია აჯანყების მოწყობა.

2. იარაღისა და საბრძოლო მასალების დამალვა

თითქმის ყველა შვეიცარიულ ოჯახს აქვს იარაღი. ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ იარაღი უნდა გადამალოთ. შეაგროვეთ მცირეკალიბრიანი იარაღი, რომელიც ბრძოლის ველზე დარჩა ჩვენს ჯარებს ან მოწინააღმდეგეს და შეინახეთ პარტიზანებისა და წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებისთვის. იარაღი კარგად გადამალეთ, რადგან მათი არაკანონიერი ფლობისთვის სიკვდილით დაგსჯიან. დამალვის საუკეთესო მეთოდი მიწაში დამარხვაა. იარაღი რომ ნესტისგან არ დაზიანდეს, დაიცავით შემდეგი პირობები: სანამ იარაღს გაპოხავთ, საგულდაგულოდ გაამშრალეთ (გასაპოხად გამოიყენეთ მხოლოდ იარაღისთვის განკუთვნილი საპოხი მასალა). ლულა დალუქეთ მაზუთით ან სანთლით. ჩახმახის ნაწილს შემოახვიეთ ზეთით გაჟღენთილი ხალიჩა. იარაღი მთლიანად გაახვიეთ ქსოვილის დიდ ნაჭერში და შეკარით თასმებით. ჩადეთ ხის ყუთში, ყუთის ღრიჭოები ამოქოლეთ პარაფინით.

ყუთს გარედან შემოახვიეთ ტოლი და დამარხეთ მშრალ ადგილას, თუ შესაძლებელი იქნება შენობაში (მაგ. ქვიშის იატაკიან სარდაფში, ბელელში, ფარდულში და ა.შ.). ყოველ ორ-სამ თვეში შეამოწმეთ იარაღი, გაასუფთავეთ და გაპოხეთ.

საბრძოლო მასალები შეფუთეთ შემდეგნაირად: მასალის ყუთები გაახვიეთ გაზეთის დაახლოებით ათ ფენაში და ჩადეთ ხის ყუთში. ყუთის ფსკერზე 5 სმ. სიმაღლეზე მოაყარეთ ნახერხი. ყუთი დახურეთ და შეფუთეთ იარაღის კონტეინერის მსგავსად. ნახერხი შეიწოვს ნესტს. საბრძოლო მასალა ძალიან მგრძნობიარეა ნესტის მიმართ, ამიტომ ყოველ ორ თვეში ერთხელ აუცილებლად უნდა ცვალოთ გაზეთები და ცოტა ხნით გაანიავოთ ყუთები.

3. რადიომიმღებების დამალვა

როგორც კი მტერი ქვეყანას დაიკავებს, მაშინვე გადამალეთ რადიომიმღებები, რადგან მტერი ეცდება ყველა რადიომიმღები ამოიღოს მოსახლეობიდან მათი სრული იზოლაციის მიზნით.

4. არალეგალური ბეჭდური მასალის დამზადება

კერძო პირების მიერ დამზადებული ბეჭდური მასალა

უნდა შეგეძლოთ კერძო პირების მიერ და სტამბებში დამზადებული მასალის ერთმანეთისგან გარჩევა.

კერძო პირებს შეუძლიათ დაამზადონ ბროშურების ასეულობით ასლი საბეჭდი მანქანის ან სხვადასხვა

შტამპის გამოყენებით. ასეთი მოწყობილობების დამალვა ადვილია. ამ ოპერაციისთვის ხელშემწყობი პირობები არსებობს, კერძოდ, ქაღალდისა და საღებავის შოვნა ადვილია და ბეჭდვაც უხმაუროდ მიმდინარეობს. მარტო მუშაობისას შედარებით დაცული ხართ. ტირაჟი მცირე იქნება, მაგრამ სამაგიეროდ ასეთი მწარმოებელი ბევრია და ეს დანაკლისს ავსებს. ერთეულების დაპატიმრება კი საფრთხეს არ უქმნის მთლიან ოპერაციას.

პატარა სახელოსნო

ბროშურების ათასობით ეგზემპლარის დაბეჭდვაა შესაძლებელი პატარა სახელოსნოში, სადაც მიმეოგრაფი და ტრაფარეტული დაზგები დგას. მოწყობილობები შედარებით მცირე ზომისაა და მათი დამალვა ადვილია.

თუ ჩხრეკისას ვინმეს სახლში საბეჭდ მასალებს აღმოუჩენენ, მას აუცილებლად დააპატიმრებენ. თუ შესაძლებელია, გამოიყენეთ ისეთი დაზგები, რომლებიც ყველასათვის ცნობილ კანონიერ ოპერაციებში იხმარება.

ფართომასშტაბიანი ოპერაცია

გამომცემლობებში შეგიძლიათ სასურველი მასალის 10-დან 10000-მდე ეგზემპლარი დაბეჭდოთ. ასეთ ფართომასშტაბიან ოპერაციებს აქვს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები: მცირე დროში მიიღებთ დიდ ტირაჟს. დადებითი მხარეა ის, რომ დაბეჭდავთ ყველა სახის მასალას, სარეკლამო ბუკლეტსაც და პლაკატსაც. თუმცა არსებობს რისკი, რადგან მოგიწევთ გარედან მოიყვანოთ ხალხი პრესასთან სამუშაოდ. დაზგებიც შედარებით ხმაურიანია. საჭირო იქნება დიდი რაოდენობით ქაღალდი და საღებავი და შეიძლება მათი შოვნა გაძნელდეს.

უსაფრთხოების ზომები

დაწვით მუყაოს ყუთები და გაფუჭებული ეგზემპლარები, ასევე, შაბლონები და ხელნაწერები. ნაცარს შეურიეთ წებო, რადგან მტერს შეუძლია სპეციალური ტექნიკური საშუალებებით ამოიკითხოს ტექსტი დამწვარი ფურცლებიდან. დაადნეთ საბეჭდი ფირები და დაშალეთ ხელის დაზგები. ხმაურის ჩასახშობად შენობის წინ ნებისმიერი ხერხით გამოიწვიეთ ხმაური.

არალეგალური საბეჭდი მასალის პროექტირება

პლაკატების, რადიოგადაცემების სცენარებისა და საგაზეთო სტატიების მომზადებაში ჩართული იქნება სხვადასხვა პროფესიის ხალხი.



ისეთი ადამიანი, რომლის ხატვის ან წერის სტილს ყველა იცნობს, მხოლოდ იატაკქვეშეთში უნდა მუშაობდეს. ზოგ შემთხვევაში ეს პირი მხოლოდ იდეებსა და პირველად ვარიანტებს დაამუშავებს, ხოლო საზოგადოებისთვის უცნობი პირი დახვეწავს გამოსაქვეყნებელ მასალას. დაპატიმრება არ ასცდება იმას, ვის სტილსაც მტერი ამოიცნობს.

საზღვარგარეთული რადიოგადაცემების აკრძალვა, რადიომიმღებების კონფისკაცია და პრესის ცენზურა

კიდევ უფრო ამძაფრებს ობიექტური ინფორმაციის საჭიროებას და იატაკქვეშა გაზეთების მნიშვნელობას.

5. პროპაგანდა

პროკლამაციების გავრცელება

არ დაურიგოთ პროკლამაციები ქუჩაში შემხვედრ უცნობებს, რადგან ერთ-ერთი მათგანი შესაძლოა ინფორმატორი აღმოჩნდეს. ჩააგდეთ პროკლამაციები საცხოვრებელი სახლების საფოსტი ყუთებში. ეს გააკეთებინეთ საფოსტო პერსონალის ფორმაში გადაცმულ პირებს. ბუკლეტის მიმღებმა კი არ უნდა შეინახოს ბუკლეტი, არამედ გადასცეს ის სანდო ნაცნობს. ასე გაფართოვდება კონტაქტის რადიუსი და ყველაზე მცირემასშტაბიანი იატაკქვეშა მოძრაობაც კი უდიდეს შედეგებს მიაღწევს.

იატაკქვეშა გაზეთების გავრცელება

გაზეთები გადაეცით მხოლოდ თქვენთვის კარგად ნაცნობ ხალხს, რომლებიც წაკითხვის შემდეგ მას გადასცემენ ნაცნობებს, ხოლო ეს უკანასკნელნი – თავიანთ ნაცნობებს. თითოეული გაზეთის ბოლოს მიამაგრეთ შენიშვნა, რითაც მოსახლეობას სთხოვთ გაამრავლონ გაზეთის ასლები.

კედლებზე ლოზუნგების დაწერა

ეს კარგი მეთოდია მოსახლეობის ასაჯანყებლად. ლოზუნგები უნდა იყოს რაც შეიძლება მარტივი. მაგ. მეორე მსოფლიო ომის დროს დასავლეთის წინააღმდე-

გობის მოძრაობა იყენებდა სიტყვა „გ“-ს გამარჯვების აღსანიშნავად.

ლოზუნგები დაწერეთ ზეთის საღებავებით და დიდი ზომის ფუნჯებით. ასევე შესაძლებელია ცარცის გამოყენებაც, ოღონდ დაწერეთ განივი მხრით, რათა წარწერა რაც შეიძლება თვალშისაცემი იყოს. ცარცის წაშლა შესაძლებელია, ზეთის საღებავი კი კარგად ჯდება კედელში და მისი მოშორება მხოლოდ გადაღებვითაა შესაძლებელი.

ყოველ ღამით გაჩენილი ახალ-ახალი ლოზუნგები აანერვიულებს მტერს. მოსახლეობას კი თავდაჯერებულობა ემატება, რადგან ასეთი ქმედებები აჩვენებს ოკუპანტების მუშაობის არაეფექტურობას და წინააღმდეგობის მოძრაობის ძლიერებას.

მტრის პლაკატების განადგურება

მტრის ოფიციალური შეტყობინებები ან განცხადებები და მტრის იდეოლოგიის მხარდამჭერი პროპაგანდისტული პლაკატები აუცილებლად უნდა განადგურდეს, თორემ ხალხი ნელ-ნელა მოექცევა მტრის გავლენის ქვეშ.

უნდა შეიქმნას სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ჩამოხევენ, ჩამოფხეკენ, გადაღებავენ ან ზედ გადააკრავენ წინააღმდეგობის მოძრაობის პლაკატებს.

თუ ქუჩები კარგად არ კონტროლდება, ჩამოხიეთ მტრის პლაკატები ან ზედ გადააკარით თქვენი პლაკატები. თუ ქუჩები კარგად კონტროლდება, მტრის პლაკატებს მიაკარით პატარა წარწერა „ტყუილია“. ამის გაკეთება ძალიან სწრაფად და ჩუმად შეიძლება.

ოპერაციისათვის საჭირო აღჭურვილობა: საღება-

ვის ვედრო, პატარა ნიჩაბი პლაკატების ჩამოსაფხეკად, რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი და ველოსიპედი.

გახსოვდეთ, რომ საბეჭდი მანქანა ხშირად იარაღზე მნიშვნელოვანია და სახელმწიფო უშიშროებას იატაკქვეშა გაზეთების უფრო ეშინია, ვიდრე ასაფეთქებელი ნივთიერებებისა.

6. წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერებისა და წევრების მომზადება

როგორც პარტიზანები ემზადებიან ოპერაციებისთვის და უმცირეს დეტალებსაც ითვალისწინებენ, თქვენც მოგეთხოვებათ მოამზადოთ მოძრაობის მნიშვნელოვანი წევრები და ასწავლოთ, როგორ მოიქცნენ სახლის ჩხრეკისას ან დაკითხვისას.

როგორ მოვიქცეთ სახლის ჩხრეკის დროს

ყოფილი პოლიციელები, რომლებიც ფლობენ სახლის ჩხრეკის ტექნიკას, ასევე წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები, რომლებიც იცნობენ სახელმწიფო უშიშროების მიერ სახლის ჩხრეკის მეთოდებს, შეასწავლიან წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებს, როგორ მოიქცნენ ასეთ სიტუაციაში. სასწავლო ჩხრეკები უნდა ჩატარდეს უშიშროების მიერ განხორციელებული ჩხრეკების ანალოგიურად. ამ სწავლების მიზანია, გამორიცხოთ ჩხრეკის დროს მოსალოდნელი შეცდომები, მოამზადოთ ადამიანები დაძაბულ სიტუაციებში სამოქმედოდ და აჩვენოთ ის შეცდომები, რომლებიც შესაძლოა დაუშვან კონტრაბანდის შენახვისას.

როგორ მოვიქცეთ დაკითხვის დროს

ამ სწავლების დროსაც გამოიყენეთ ყოფილი პოლიციელები, რომლებიც დაკითხვის ხელოვნებას სრულყოფილად ფლობენ. სასარგებლო რჩევებს მიიღებთ იმ ხალხისგან, ვინც უშიშროების გამომძიებლებს დაუკითხავთ.

7. სამალავების შერჩევა და გამოყენება

წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელებმა და აქტიურმა წევრებმა თავი უნდა შეაფარონ ერთსა და იმავე ქალაქში ან უბანში არსებულ სამალავებს, რათა შეეძლოთ კონფერენციების ჩატარება. სამალავად გამოდგება ბინები, საწყობები, მეგობრის სახლები ან საზაფხულო კოტეჯები. ზოგჯერ შეიძლება აუცილებელი გახდეს მუდმივად მეტროთი ან მატარებლით მოძრაობა.

8. უსაფრთხო ტერიტორიების დაცვა

ის ადგილები, სადაც ხშირად გიწევთ მისვლა, ანუ სამალავები, მეგობრების სახლები და ა. შ. განსაკუთრებულად უნდა იყოს დაცული, რისთვისაც უნდა შეიმუშაოთ მარტივი მინიშნებების სისტემა. მაგ. ყვავილის ქოთნების დადგმა წინასწარდათქმულ ადგილას, ფარდების გადაწევა, ფანჯრების გაღება ან დაკეტვა, ტანსაცმლის გაკიდება სარეცხის თოკებზე და სხვ.

დაუშვებელია სამალავში წერილობითი მასალის შენახვა.

სამალავების ადგილმდებარეობა ცნობილია სპეციალურად შერჩეული ადამიანების მცირე ჯგუფისათვის.

არავინ იცის ყველა სამალავის ადგილმდებარეო-

ბა. მოძრაობის ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ ისეთი სამალავი, რომელიც მათ გარდა არავის ეცოდინება, ოჯახის წევრებსაც კი.

სამალავში მოათავსეთ წყლისა და საკვების მარაგი, რადგან შესაძლოა იქ რამდენიმე დღით ყოფნა მოგიწიოთ,

შესაძლებელი უნდა იყოს ამ ნიშნების შორი მანძილიდან დანახვა, რათა საფრთხის შემთხვევაში ჩუმად აუაროთ გვერდი სახლს.

უსაფრთხოების ამ სისტემის გამოყენება გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. მაგალითად, თუ სახლის მობინადრეებს მოულოდნელად დააპატიმრებს უშიშროება, ისე რომ ვერ მოასწრებენ გამაფრთხილებელი ნიშნების დადებას. ამიტომ, უნდა შეიმუშავოთ უსაფრთხოების დამატებითი სისტემა, რომელსაც გამოიყენებთ მაშინაც კი, როცა ხელბორკილებს დაგადებენ.

მაგალითად, წინასწარ დადეთ ყვავილის ქოთანი შესასვლელში და როდესაც დაგაპატიმრებენ, შემთხვევით წამოედეთ და წააქციეთ ის.

9. იატაკქვეშა კონფერენციების უსაფრთხოება

შეხვედრის ადგილის არჩევა:

შეხვედრაც ისევე ფრთხილად უნდა მომზადდეს, როგორც თავდასხმა, რადგანაც შეხვედრაც სპეცოპერაციის სახეებს მიეკუთვნება.

შეხვედრები ჩაატარეთ ისეთ ადგილას, სადაც ბევრი სახლია, რადგან ასეთი ტერიტორიის გაჩხრეკა და ალყაში მოქცევა ძნელია და ბევრ დროს მოითხოვს. შესაბამისად, გასაქცევად საკმარისი დრო გექნებათ.

როგორ უნდა მოიქცეს შეხვედრის მონაწილე შეხვედრის ადგილას მისვლისას და წამოსვლისას

სახლიდან გამოსვლის წუთიდან მზად უნდა იყოთ სახელმწიფო უშიშროებასთან შესაბრძოლებლად და თქვენ უფრო მეტი სიფრთხილე გმართებთ, ვიდრე, ვთქვათ, სადაზვერვო პატრულის ჯარისკაცს. თქვენი ბრძოლა უფრო მეტ ფიზიკურ და სულიერ ძალებს მოითხოვს, უფრო ხანგრძლივი და სასტიკია, ვიდრე სამართლებრივი ომის ფრონტზე ბრძოლა.

სახლიდან გამოსვლამდე კარგად დაზვერეთ მიდამო, შეიძლება გითვალთვალებენ. ქუჩაში იმოძრავეთ რაც შეიძლება ჩუმად. ყურადღება გაამახვილეთ იმ პირებზე, რომლებიც რამდენჯერმე შეგხვდნენ, ისინი შეიძლება ინფორმატორები ან უშიშროების თანამშრომლები იყვნენ. სახეების დამახსოვრება ძნელია, ამიტომ ყურადღება გაამახვილეთ ტანსაცმელზე.

იმის დასადგენად, გითვალთვალებენ თუ არა, უკან მალულად არ მოიხედოთ, ეს შეუმჩნევლად გააკეთეთ. მაგალითად: ქუჩის გადაკვეთისას, სიგარეტის მოკიდებისას, გაზეთის გადაშლისას, მაღაზიაში შევლისას ან გამოსვლისას.

ისარგებლეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ოღონდ მხოლოდ პიკის საათის დროს. რაც მეტი ხალხია ტრანსპორტში, მით ნაკლებად მოსახერხებელია თვალთვალი.

შეხვედრის ადგილის უსაფრთხოება

უსაფრთხოება უზრუნველყავით შიდა და გარე დაცვის რგოლით. გარეთა რგოლი შედგება მზვერავებისგან და განლაგებულია შეხვედრის ადგილიდან მოშორებით,

ხოლო შიდა რგოლი თვითონ შეხვედრის ადგილას მდებარეობს.

გარეთა რგოლის მზვერავები ზვერავენ შეხვედრის ადგილთან მისასვლელ გზებს და შეხვედრის წევრებს მოახლოებული პოლიციელების შესახებ აცნობებენ. უთვალთვალეთ შენობებსა და ავტოსადგომს, რათა არ გამოგეპაროთ მანქანებით მოძრაობა. გაფრთხილება გადაიცემა საქალაქო ტელეფონით და კოდური სიტყვებით.

შიდა რგოლი შედგება ავტომატით შეიარაღებული ერთი მცველისგან, რომელიც პირველ სართულზე დგას და ერთი მზვერავისგან, რომელიც ზედა სართულებზე პატრულირებს.

რა მოვიმოქმედოთ მტრის გამოჩენის დროს

სანამ კრება დაიწყება, წინასწარ განსაზღვრეთ, მტრის გამოჩენის შემთხვევაში ბრძოლას იწყებთ თუ გარბიხართ. თუ ბრძოლას არჩევთ, განსაზღვრეთ ვინ გაგიმაგრებთ ზურგს და გაქცევისას რა მასალას წაიღებს. წინასწარ განსაზღვრეთ გასაქცევი გზები.

თუ თავის მოკატუნებას გადაწყვეტთ, მოიფიქრეთ რამე ისტორია, რითაც თავს დაიძვრენთ. განსაზღვრეთ ვინ და სად უნდა დაიმალოს.

10. საკურიერო მომსახურება

აუცილებელია საკომუნიკაციო ქსელის შექმნა ბრძანებების, მითითებებისა და გაფრთხილებების გადასაცემად. კომუნიკაციის საშუალებებად გამოიყენებთ შიკრიკებს, საქალაქო სატელეფონო და საფოსტო სისტემას და საიდუმლო გადამცემებს.

არსებობს კურიერთა ორი ტიპი:

ტაქტიკური კურიერი მუშაობს მცირე ტერიტორიის შიდა საკომუნიკაციო ქსელში, ხოლო საოპერაციო კურიერი – საერთაშორისო საკომუნიკაციო ქსელში. მათ შესაძლოა კავშირი დაამყარონ გადასახლებაში მყოფ მთავრობასთან.

შიკრიკად მუშაობა შეუძლიათ:



შეტყობინებების გადაცემა რადიოს საშუალებით

წინააღმდეგობის მოძრაობის შტაბებთან, ეროვნული ჯარის ნაწილებთან და გახიზნულ მთავრობასთან დასაკავშირებლად მხოლოდ რადიო გამოიყენეთ. ძალიან დიდი ყურადღება დაუთმეთ რადიოსადგურის უსაფრთხოების დაცვას. შეტყიბინებები უნდა გაიგზავნოს

კოდური ფორმით. რადიოსადგური უნდა იყოს შენიღბული და კარგად დაცული. ტაქტიკური ოპერაციებისთვის რადიოს ნუ გამოიყენებთ, რადგან ამ დროს შეტყობინებების გადაცემა ყოველდღიურად გიხდებათ და შესაბამისად, სადგურის ყოველდღიურად დაცვა სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

გახსოვდეთ, რომ მტრისთვის რადიოგადაცემების კონტროლი და რადიოპელენგატორული აპარატებით რადიოსადგურების პოვნა უფრო ადვილია, ვიდრე შიკრიკების ამოცნობა, რომლებიც ბრბოში უჩინარდებიან. თქვენი რადიოკომუნიკაციის დასაზვერად მას მხოლოდ რამდენიმე ჭკვიანი, ტექნიკური ცოდნის მქონე და კარგად აღჭურვილი ექსპერტი სჭირდება, ხოლო შიკრიკების დასაჭერად – უამრავი პოლიციელი.

11. მატარებლების გამოყენება

თუ შესაძლებელია, ისარგებლეთ სათადარიგო ხაზებით. ყოველთვის იმგზავრეთ ადგილობრივი მატარებლებით. მატარებელზე ასვლა-ჩამოსვლისათვის გამოიყენეთ სათადარიგო სადგური. მტერს მთავარი სარკინიგზო მაგისტრალებისა და დიდი მატარებლების (ექსპრესი, საერთაშორისო) დაზვერვა უფრო ეადვილება. მოგზაურობის დროს ვაგონებში მგზავრებს უფრო დიდ მატარებლებში ამოწმებენ.

მაგალითი: გსურთ იმგზავროთ ბერნიდან ლუცერნამდე. ოსტერმუნდიგენის სადგურამდე მიდით ავტობუსით. იქ ჩაჯექით ლანგნაუმდე მიმავალ ადგილობრივ მატარებელში. ლანგნაუში გადაჯექით ლუცერნის მიმართულებით მიმავალ მატარებელში. ჩამოდით ლუცერნამდე 4

კმ მოშორებით მდებარე ლიტაუს პატარა სადგურზე და ლუცერნამდე ფეხით იარეთ.

12. ინფორმატორები

მტრის მიზნები

ინფორმატორების მეშვეობით მტერს სურს შეაგროვოს ინფორმაცია თქვენს ქმედებებზე, დათესოს უნდობლობა და გაართულოს კავშირი წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებს შორის. აღარავინ ენდობა თავის მეზობელს. ამიტომ წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზება, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, ძალიან რთულდება.

ინფორმატორების გამოყენების მეთოდები მოყვანილია დიაგრამის სახით:




ინფორმატორთა სამოქმედო ტერიტორია
1. საეჭვო პირებთან დაკავშირებული საკითხები
მოულოდნელი პრობლემები
მუდმივი პრობლემები
მნიშვნელოვანი პირების თვალთვალი
ყოველთვის მნიშვნელოვანი პირების თვალთვალი
განსაზღვრავს, ვის უნდა ჩაუდგეს კვალში და ვის წინააღმდეგ უნდა შეგროვდეს მასალა.
არასასურველი პირები ან ის ხალხი, ვინც მომავალში უნდა გამოიყენონ საკუთარი მიზნებისთვის.
მტრები; პოტენციური მტრები, ანუ ყოფილი პოლიტიკოსები, პროფკავშირების თანამდებობის პირები, რედაქტორები, ყოფილი ოფიცრები, ყოფილი პოლიციელები, მასწავლებლები, სასულიერო პირები
„მეგობრები"; ოკუპანტთა მომხრეების პოლიტიკური სანდოობის შეფასება. მაგ: თანამდებობის პირები, პარტიის ლიდერები, პოლიციის თანამშრომლები, საოკუპაციო ძალების ორგანოები
ინფორმატორთა სამოქმედო ტერიტორია
2. საზოგადოების აზრის გაგება და ტექნიკური პრობლემების გადაჭრა
სპეციფიკური ელემენტები
ზოგადი
რას ფიქრობს თვითონ ოკუპანტი პოლიცია, საოკუპაციო ჯარები, ადმინისტრაცია. როგორია სამუშაო ენთუზიაზმი (წარმოება) ქარხნებში (მუშათა კლასი), მოსახლეობის მხრიდან საბოტაჟი და პასიური წინააღმდეგობა.
რა აზრისაა მოსახლეობა სისტემის შესახებ, რა რეაქცია აქვთ მასებს ოკუპანტების სხვადასხვა ქმედებაზე (ტერორი, შენობების დაშლა და სხვ.).

ინფორმატორების აყვანა

სახელმწიფო უშიშროების სამსახური ყურადღებით გამოიძიებს პოტენციური ინფორმატორების წარსულსა და აწმყოს. ყველაფერთან ერთად აუცილებელია იმ ინფორმაციის მოგროვება, რომელიც მას საშუალებას მისცემს შანტაჟი მოუწყოს მსხვერპლს. ამიტომ გასათვალისწინებელია არა მხოლოდ პიროვნების პოლიტიკური შეხედულებები, არამედ პირადი ცხოვრებაც.

სახელმწიფო უშიშროების სამსახურისთვის განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი საკითხები:

აქვს თუ არა პოტენციურ ინფორმატორს ვალები, ფინანსური სირთულეები, ყველაფერი კარგად აქვს თუ არა ოჯახურ ცხოვრებაში, თუ არსებობს შანტაჟის საფუძველი; ჰყავს თუ არა მეგობარი ქალი, ჩაუდენია თუ არა რაიმე სისულელე წარსულში, რომელსაც ახლა მალავს, არის თუ არა ზედმეტად ამბიციური, როგორი ურთიერთობა აქვს საზოგადოებასთან.

ინფორმატორობის კანდიდატები არიან:

1. პოლიტიკური დამნაშავენი, რომლებიც დგანან არჩევანის წინაშე: ან ითანამშრომლებენ სახელმწიფო უშიშროების სამსახურთან, ან სიკვდილით დაისჯებიან. 2. დაპატიმრებული ან საკონცენტრაციო ბანაკებში მყოფი პოლიტიკური ოპონენტების ოჯახები. ამ შემთხვევაში წარმატებით გამოიყენება მუქარაც და ცდუნებაც (სიკვდილით დასჯის ან ნამების მუქარა თანამშრომლობაზე უარის თქმის შემთხვევაში; პირობების შემსუბუქება ან საერთოდაც გათავისუფლება თანხმობის შემთხვევაში).	**მანტაჟის მსხვერპლები** (დაახ. 20%)
3. ხალხი, ვინც თავს არიდებს გადასახადების გადახდას, შავ ბაზართან დაკავშირებული პირები და ა.შ. 4. კრიმინალური პატიმრები ციხიდან გათავისუფლების პირობით. 5. სექსუალური უმცირესობები. 6. ალკოჰოლიკები; 7. ნარკომანები;	**მეტ-ნაკლებად მოსურნეები** (დაახ. 60%)
8. ადამიანები, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ ფულისთვის. 9. იდეალისტები, რომლებიც სისტემის იდეოლოგიით მოიხიბლნენ და მზად არიან ბინძურ საქმესაც კი მოჰკიდონ ხელი.	**მიხალისტები** (დაახ. 20%)

როგორ დავიცვათ თავი ინფორმატორებისგან

ინფორმატორების წინააღმდეგ განსახორციელებელი პასიური ზომები:

კონფიდენციალური თემები უნდა განიხილოთ მხოლოდ დახურულ კარს მიღმა. ესაუბრეთ მხოლოდ იმ ხალხს, ვისაც ენდობით და დიდი ხანია იცნობთ. მესამე პირის შემოსვლის შემთხვევაში საუბრის თემა შეცვალეთ ისე, რომ ეჭვი არ გამოიწვიოთ. საზოგადოებაში დუმილის შენარჩუნებით ინფორმატორს უხშობთ ინფორმაციის წყაროს. მათთვის უფრო ადვილია ინფორმაციის მოპოვება საზოგადოებაში, ვიდრე რამდენიმე ადამიანის კერძო საუბრებიდან, რადგან მოსაუბრეებმა იციან ერთმანეთის აზროვნება და წარსული.

აქტიური ზომები:

ინფორმატორების შეხვედრის ადგილი არის არა უშიშროების სამსახურის შტაბბინა, არამედ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები. აქ ისინი ყურადღებას ნაკლებად იქცევენ. სადაზღვევო და ტურისტული სააგენტოები იდეალური ადგილია შეხვედრებისთვის, რადგან უამრავ ხალხში ინფორმატორს ყურადღებას არავინ მიაქცევს.

აღმოაჩინეთ და დაზვერეთ მსგავსი ადგილები. სცადეთ ამოიცნოთ ინფორმატორები. მათი ვინაობა გააცანით ხალხს კედლის პოსტერების, პროკლამაციებისა და ჭორების საშუალებით.

13. როგორ ავირიდოთ თავიდან მოსმენა

თანამედროვე არქიტექტურაში კედლები ძალიან თხელია, რაც ზრდის მოსმენის შესაძლებლობას. სანამ საუბარს დაიწყებდეთ, დახურეთ ყველა კარ-ფანჯარა.

მოლაპარაკებებს ნუ გამართავთ ისეთ ოთახებში, რომლებსაც საერთო კედელი აქვთ მეზობელ ბინებთან ან კიბეებთან. ასე თავიდან აიცილებთ მოსმენის საფრთხეს. თუ გაქვთ ეჭვი, რომ ოთახში მოსასმენი აპარატია დამონტაჟებული, ჩართეთ რადიო ბოლო ხმაზე და მომართეთ იმ არხზე, რომელიც არ იკრძალება. ნებისმიერი მიკროფონი გადასცემს მხოლოდ რადიოს ხმას. გარდა ამისა, ნუ შეგეშინდებათ მოსასმენი აპარატების. ისინი იშვიათად გამოიყენება.

14. როგორ მოვიქცეთ დაკითხვაზე

თუ უშიშროების რამდენიმე თანამშრომელი დაკითხვის დროს იატაკზე დაგაგდებთ, საკნის შუაში ნუ გაუჩერდებით. ეცადეთ კუთხისკენ გადაინაცვლოთ. ამ შემთხვევაში მხოლოდ ორი ან სამი შეძლებს დარტყმას, დანარჩენები უბრალოდ ერთმანეთს შეუშლიან ხელს.

ცემის დროს მოიმკვდარუნეთ თავი ან მოაჩვენეთ, რომ მძიმედ დაშავდით. დაწექით მუცელზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან ორგანოებს დაიცავთ. ჯოხითა და ფეხით ცემა ნაკლებ ზიანს მოგაყენებთ.

გაეცით ბუნდოვანი და არაზუსტი პასუხები. გახსოვდეთ, რომ პოლიცია ვერ წაიკითხავს თქვენს აზრებს, ამიტომ ილაპარაკეთ რაც შეიძლება ნაკლები. თვალებში მოგანათებენ კაშკაშა შუქს, ხოლო დამკითხველი იჯდება სიბნელეში.

უარყავით ყველაფერი მაშინაც კი, როდესაც დანაშაულს დაგიმტკიცებენ.

თავი აარიდეთ სახელების ხსენებას. ვინაიდან თქვენ ითვლებით სახელმწიფოს მტრად, ყველა, ვისაც თქვენ

იცნობთ, ჩაითვლება პოტენციურ მოწინააღმდეგედ.

ნუ ენდობით „მეგობრულ" მოპყრობას. ეს მხოლოდ მეთოდია იმისთვის, რომ მოადუნონ თქვენი ყურადღება. უშიშროების თანამშრომლები მალე გამოაჩენენ ნამდვილ სახეს.

მოსალოდნელია შემდეგი: მარტოობაში პატიმრობა, ბნელ საკანში პატიმრობა და მცირე საკანში პატიმრობა – ასეთ საკნებს ეძახიან ვერტიკალურ საკნებს, რადგან ისეთი პატარაა, რომ დაჯდომას ან დაწოლას ვერ მოახერხებთ.

არ მოგცემენ დაძინების საშუალებას, ყოველთვის, როდესაც ჩაგეძინებათ, ბადრაგი გამოგაფხიზლებთ. მოსალოდნელია წამების ისეთი ფორმები, როგორებიცაა: ცემა, კბილების, ხელებისა და ფეხების ფრჩხილების დაძრობა, სიგარეტით დაწვა და ა.შ. მწყობრიდან გამოყვანას ეცდებიან შიმშილით, სიცივით ან წყურვილით.

15. როგორ მოვიქცეთ საკონცენტრაციო ბანაკებში

ორგანიზაცია

ბანაკების განაწესის მიხედვით, ყველა ყაზარმისთვის უნდა შეირჩეს „ყაზარმის მამასახლისი", ხანდახან ბანაკის მამასახლისიც. თუ ბანაკის მამასახლისი არ არის არჩეული, ეს უნდა გააკეთოთ თქვენ, რადგან პატიმრებში წესრიგის დამყარებით გაიუმჯობესებთ საარსებო პირობებს.

ქსელები, რომლებსაც ქმნის ბანაკის ადმინისტრაცია, უნდა გამოიყენოთ პირადი მიზნებისთვის.

უნდა გაარჩიოთ შემდეგი: ბანაკის ქსელი (მოიცავს მთელ ბანაკს) და ყაზარმული ქსელი (მოიცავს ერთ ან რამდენიმე ყაზარმას).

ნაკლებად კონტროლირებად ბანაკებში შეგიძლიათ შექმნათ ორივე სახის ქსელი, ხოლო მკაცრი დისციპლინის პირობებში მხოლოდ ყაზარმული ქსელების აგება შესაძლებელი. ყაზარმულ ქსელებში ბელადი არის „ყაზარმის მამასახლისი", მისი ასისტენტები კი – ნდობით აღჭურვილი პატიმრები. ბანაკის ქსელში ბელადი არის „ბანაკის მამასახლისი", ხოლო მისი ასისტენტები – ყაზარმების ბელადები.

ყაზარმის ან ბანაკის მამასახლისები პასუხისმგებლები არიან პატიმართა ურთიერთობაზე ბანაკის ადმინისტრაციასთან (ბრძანების მიღება, თხოვნის გადაცემა – მაგ. ნებართვის მიღება წერილების გასაგზავნად, ფოსტის მიღება, მნახველების მიღება, თამბაქოს მოწევის ნებართვა და ა.შ. პრეტენზიების წაყენება პატიმრებთან მოქცევასთან, კვებასთან, გათბობასთან, ჰიგიენასთან და მსგავს საკითხებთან დაკავშირებით).

მიეცით რაც შეიძლება მეტი დავალება საიდუმლო ქსელის წევრებს. ის ფაქტი, რომ მათ სხვების დახმარება ევალებათ, უკანა პლანზე სწევს მათ პირად პრობლემებს. რაც მეტი დასაქმებული ხალხია ყაზარმაში, მით უფრო იზრდება წინააღმდეგობის სურვილი.

ზოგადი ინფორმაცია

ყურადღება მიაქციეთ ახალ პატიმრებს. ბუნებრივია, ისინი დემორალიზებული არიან. აირჩიეთ ერთი ადამიანი, რომელიც გააცნობს ახალმოსულებს ბანაკის განაწესსა და ქცევის ძირითად წესებს. თუ მიატოვებთ მათ, წინა-

აღმდეგობის სურვილი გაუქრებათ, რაც მტერს ხელს აძლევს. თქვენ, როგორც გამოცდილმა პატიმარმა, უნდა მიიღოთ აღმკვეთი ზომები.

შეგიძლიათ, პატიმრებს გაულვივოთ წინააღმდეგობის სურვილი შემდეგი მეთოდებით: შექმენით ზემოთ ხსენებული ორგანიზაცია, რათა განამტკიცოთ სოლიდარობის შეგრძნება და გააუმჯობესოთ საარსებო პირობები. გაავრცელეთ სწორი ინფორმაცია მსოფლიოში არსებულ მდგომარეობაზე, რათა გააღრმავოთ გამარჯვების რწმენა. ჩამოაყალიბეთ სიმღერისა და დებატების წრეები. შექმენით „ამანათების ჯგუფები", რათა ერთმანეთს თავიანთი ამანათები გაუზიარონ. ამ გზით ყველაზე მარტოსული პატიმრებიც კი მიიღებენ თამბაქოს, საჭმელსა და ტანსაცმელს.

სანდო პირები გააცნობენ პატიმრებს საერთო პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობას (თუმცა ინფორმაცია მაინც გაფილტრული უნდა იყოს); გასცემენ ახლო მომავალში მოქცევის წესებს და დაასახელებენ შემდეგ დღეს ბადრაგთან საუბრის თემას.

ხშირად პოლიტიკურ პატიმრებთან ერთად ბანაკებში კრიმინალებიც არიან. ამას ადმინისტრაცია იყენებს იმისთვის, რომ ბანაკში სოლიდარობა დაარღვიოს. თქვენ დროულად უნდა აღმოაჩინოთ და დაიმორჩილოთ ეს კრიმინალები, რადგან ისინი ხშირად ინფორმატორები არიან.

ბანაკის ან ყაზარმის ქსელებთან დაკავშირებული დეტალები

სამედიცინო უზრუნველყოფა:

ხშირად ავადმყოფი და დაშავებული პატიმრები ლაზარეთში არ მიჰყავთ, ხშირად კი სამუშაოზე აბრუნებენ

დროზე ადრე, რადგან ციხეში ადგილი არ არის. ასეთი შემთხვევები უმეტესად პატიმრის სიკვდილით მთავრდება.

მოაწყვეთ ყაზარმის მედპუნქტი. რა თქმა უნდა, არ გექნებათ წამლები, პირველადი დახმარებისთვის საჭირო ხელსაწყოები და მასალები, მაგრამ ეს არც ისე მნიშვნელოვანია. მთავარი ფსიქოლოგიური პრობლემის აღმოფხვრაა. თუ ავადმყოფი გრძნობს, რომ მასზე ზრუნავენ, ის შინაგანად ძლიერდება.

როდესაც პირველადი დახმარების საშუალებები არა გაქვთ, დაშავებულის დახმარება შემდეგნაირად შეიძლება:

ზაფხულში მიუჩინეთ ყაზარმაში ყველაზე გრილი ადგილი, ხოლო ზამთარში – ყველაზე თბილი. იზრუნეთ, რომ არ იშიმშილოს და არ მოსწყურდეს. მიეცით დამატებითი საკვები, სიგარეტი. გააგრილეთ ნამიანი ტანსაცმლით, ხოლო თუ სცივა, მიეცით დამატებითი გადასაფარებლები, რომლებსაც გამოართმევთ სხვა, უფრო ძლიერ და ჯანმრთელ პატიმრებს. თუ დაშავებულს მუშაობა უწევს, მიეცით მსუბუქი სამუშაო. ყველა ყაზარმულ სისტემაშია ყოფილი ექიმი, ფარმაცევტი, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი, პირველადი დახმარების ექთანი ან სხვა ადამიანი, ვისაც შეუძლია იკისროს მომვლელის როლი.

სულიერი დახმარება

დადგება მომენტი, როდესაც მომავლის ყველანაირი იმედი ქრება და ადამიანი სულიერ სიმტკიცეს ვეღარ ინარჩუნებს. ამ პრობლემის გადასაჭრელად, ციხის საზოგადოება ჩამოაყალიბებს ჯგუფს, რომელიც ამ კუთხით დაეხმარება პატიმრებს. ჯგუფში გაწევრიანდებიან ექი-

მები, მღვდლები, ხსნის არმიის წევრები და ა. შ. რომელთა მოძიება ნამდვილად არ იქნება რთული, რადგან ისინი, როგორც წესი, განსაკუთრებულად სძულს მტერს და პირველებს მათ უკრავს თავს ციხეში.

ბანაკის გუშაგებთან ურთიერთობა

გუშაგები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ: სადისტი და კეთილსინდისიერი გუშაგები.

კეთილსინდისიერი გუშაგები ყველანაირ სიტუაციას შეეწყობიან, რადგანაც მათ სწორედ ეს ევალებათ; ისინი უმეტესად სიმშვიდეს ინარჩუნებენ. თქვენ ეს თქვენს სასარგებლოდ უნდა გამოიყენოთ.

ტაქტიკა: ესაუბრეთ გუშაგებს, გაარკვიეთ, რომელია მათ შორის კეთილსინდისიერი.

გუშაგებს შთაგონებული აქვთ, რომ პატიმრები საზოგადოების დაბალ ფენას მიეკუთვნებიან. სამაგალითო საქციელით უნდა დაუმტკიცოთ თქვენი კეთილსინდისიერება და წესიერება. თუ ამას შეძლებთ, პირველ ეტაპს გადალახავთ, მოიპოვებთ გუშაგთა კეთილგანწყობასა და ნდობას. ისინი დარწმუნდებიან, რომ თქვენ ეჭვი აღარ გეპარებათ რეჟიმის ძლიერებაში.

არასოდეს არ ესაუბროთ გუშაგს მაშინ, როდესაც ის გუშაგების ჯგუფთან ერთადაა, რადგან ასეთ დროს ისინი ყოველთვის მეტი აგრესიულობით გამოირჩევიან. დაჯგუფებაში ცალკეული პირი უპირველეს ყოვლისა არის „ორგანიზაციის წევრი“ და მხოლოდ შემდგომ – „ადამიანი“. თუმცა, როგორც ინდივიდი, ის პირველ რიგში ადამიანია და მხოლოდ შემდგომ – ორგანიზაციის წევრი. აქედან გამომდინარე, ყოველთვის მიმართეთ ცალკეულ პირებს.

პასიური წინააღმდეგობა:

პასიური წინააღმდეგობის გაწევა და საპროტესტო აქციები რთული განსახორციელებელია. მიუხედავად ამისა, ამის შესაძლებლობაც არსებობს. ქვემოთ მოყვანილია მაგალითი:

თუ პატიმარი დაიღუპა დაკითხვისას, გაქცევის მცდელობისას ან ოფიციალურად სიკვდილით დასაჯეს, რამდენიმე დღის განმავლობაში ხშირად და დემონსტრაციულად იმღერეთ რომელიმე ცნობილი სიმღერა დაკარგული მეგობრის შესახებ.

16. პასიური წინააღმდეგობა:

ზოგადი ქცევა:

არსებობს პასიური წინააღმდეგობის რამდენიმე ტიპი.

საოკუპაციო ძალების წარმომადგენლების ან კოლაბორაციონისტების გამოჩენისას შეწყვეტეთ ნებისმიერი, უწყინარი საუბარიც კი. თუ პირდაპირ მოგმართეს, პასუხი აუღელვებლად, ცივად და რაც შეიძლება მოკლედ გაეცით. გარდა ამისა, თავი მოაჩვენეთ, თითქოს დაგეგმილი გაქვთ შეხვედრა ან გადაუდებელი დავალება გაქვთ შესასრულებელი. ასე თავს აარიდებთ ხანგრძლივ საუბარს და მალევე დატოვებთ იმ ადგილს.

მოწინააღმდეგეს არასოდეს მიესალმოთ, არ მიაქციოთ ყურადღება არც მათ მისალმებას.

არ იმგზავროთ მტერთან ერთად მატარებლის ერთი და იმავე კუპეთი. თუ გამოუვალი მდგომარეობაა, გასასვლელში დადექით ან, თუ საჭიროა, შეიცვალეთ ტრანსპორტი.

თუ ქუჩაში მხოლოდ რამდენიმე ფეხით მოსიარულეა, საოკუპაციო ძალების მოახლოებისას საპირისპირო მხარეს გადადით. შეგიძლიათ მცირე ხნით შეყოვნდეთ შენობის შიდა კიბესთან. ეს ტექნიკა, რასაკვირველია, პრაქტიკული თვალსაზრისითაა გამართლებული მხოლოდ მაშინ, როდესაც ქუჩაში არ არის ბევრი ხალხი და თქვენი მოქმედება შეუმჩნეველი არ დარჩება.

თუ მოწინააღმდეგე შეგხვდათ რკინიგზის სადგურში ან ტრამვაის გაჩერებაზე, კინოთეატრის ან თეატრის წინ, უკან დაიხიეთ, რათა მომლოდინე ბრბოს შუაგულში დიდი წრე წარმოიქმნას. ეს ქმედება მტერს აიძულებს გააცნობიეროს მორალური იზოლაცია, რომელშიც ის აღმოჩნდება.

არასოდეს დათანხმდეთ საოკუპაციო ძალების ან კოლაბორაციონისტების წევრების საცეკვაოდ მიპატიჟებას. მოიმიზეზეთ, რომ დაღლილი ხართ, ცუდად გრძნობთ თავს ან უბრალოდ არ გაქვთ ცეკვის სურვილი.

ყველგან, სადაც გაქვთ დენის საერთო მრიცხველები (და არა თქვენი საკუთარი მრიცხველი), ყოველთვის აანთეთ რაც შეიძლება მეტი ნათურა (მაგ.: შიდა კიბეებთან, სარდაფებში). თქვენ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გაზრდა გამოიწვევს საერთო დეფიციტს, რაც თავის მხრივ წარმოშობს შეფერხებას ინდუსტრიასა და ტრანსპორტირებაში. ღამით ნათურის ანთება სიბნელის გამო ყურადღებას მიიპყრობს, ამიტომ ნათურები დღისით აანთეთ, რასაც კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს – ეს დაემთხვევა ელექტროენერგიის პიკის საათებში მოხმარებას და განსაკუთრებით ეფექტური იქნება (ეცადეთ ნებისმიერი გზით შეუქმნათ მოწინააღმდეგეს პრობლემები, რათა გამოიწვიოთ არეულობა და შექმნათ განწყობა,

რომ დამპყრობელი სიტუაციას ვერ აკონტროლებს).

როგორ უნდა მოიქცეთ ბინის რეკვიზიციის დროს

ნაკლებად შესაძლებელია, რომ მტერმა სამხედრო პერსონალი ოჯახებში დააბინაოს. გარკვეული მიზეზების გამო, ის შეეცდება მათ თავმოყრას, რათა მათი მართვა და დაცვა მარტივად მოახერხოს.

მიუხედავად ამისა, თუ მტერი სამხედრო პერსონალს ოჯახებში დააბინავებს (შეიძლება ეს თქვენი ოჯახიც იყოს), შემდეგნაირად მოიქეცით:

ა. თუ მას თქვენს ბინაში ერთი ოთახი უკავია, ეცადეთ დაურღვიოთ მყუდროება. მაგალითად: ჩართეთ რადიო მაღალ ხმაზე, მიეცით ბავშვებს უფლება, იხმაურონ და ა. შ.

ბ. თუ ის ცალკე ცხოვრობს, დააჭირეთ თითი ზარის ღილაკს მისი საცხოვრებლის კარზე, დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში. ეს მას მყუდროებას დაურღვევს.

მის საფოსტო ყუთში ხშირად დატოვეთ ფურცლის ნაგლეჯზე დაწერილი მუქარები. ხშირად დაურეკეთ. სატელეფონო საუბრისას გააკრიტიკეთ და ეცადეთ მოახდინოთ მასზე პოლიტიკური ზემოქმედება. ის იძულებული იქნება უპასუხოს ყველა ზარს (სურვილის მიუხედავად), რადგან მისთვის უცნობია, საიდან და ვინ ურეკავს. გამუდმებით არასასიამოვნო ამბების მოსმენა გაანადგურებს ყველაზე ძლიერი ნერვული სისტემის მქონე მოღალატესაც კი.

გ. სხვა რა გზით შეიძლება გავხადოთ მისი ცხოვრება გაუსაძლისი:

ფოსტალიონმა განზრახ უნდა დააზიანოს მისი საფოსტო გზავნილები (წერილები და გაზეთები დაასველოს, ნაწილობრივ დახიოს ან შეკვრა ტალახში ჩააგდოს).

მრეცხავებმა სრულყოფილად არ უნდა გარეცხონ ან გააუთოონ მისი ტანსაცმელი. წყალში ჩაასხან ქიმიური გამათეთრებელი, რათა ტანსაცმელი დაზიანდეს. თუ არ გაქვთ ამის საშუალება, ჩატოვეთ მისი ტანსაცმელი სარეცხ მანქანაში სამჯერ ან ოთხჯერ, იმდენი ხნით, რამდენიც მის გასაფუჭებლად არის საჭირო.

თუ არ გაგიმართლათ და მის ერთ-ერთ სამრეცხაოში იძულებით მუშაობთ, გამოიყენეთ საპნისა თუ სარეცხი ფხვნილის დიდი რაოდენობა. ეს ის აუცილებელი საშუალებებია, რომლებიც ყოველთვის გამოზომილია და მუდამ არსებობს მარაგის ნაკლებობა. არასაკმარისი გავლება გამოიწვევს ქიმიურ დაზიანებას. ძალიან ცხელი უთოთი დაუთოება გააფუჭებს თეთრეულს. თუმცა, მაინც გმართებთ სიფრთხილე! ზედმეტი სიმხურვალე ნაჭერს დაწვავს, რაც თქვენს განზრახვებს გამოააშკარავებს. უნდა გაითვალისწინოთ, რომ აუცილებელია სიფრთხილე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოაშკარავდეს თქვენი განზრახვა. ეს საზიანო იქნება პირადად თქვენთვისაც და საქმისთვისაც.

ექიმები, ფარმაცევტები, მეაფთიაქეები, ექთნები და ა.შ.

ზემოხსენებული პერსონალი უზრუნველყოფს იმ პირთა მკურნალობასა და მედიკამენტების მიწოდებას, რომლებიც იატაკქვეშეთში გადავიდნენ.

შექმნილ გარემოებას ყოველთვის მიეცით ისეთი სახე, რომ თითქოს იყენებთ იმაზე მეტ მედიკამენტსა თუ სამედიცინო მარაგს, რაც რეალურად არის საჭირო. მორჩენილი მარაგი გადაიტანეთ და შეინახეთ პარტიზანულ განყოფილებაში. ამაში წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები დაგეხმარებიან.

საწყობების თანამშრომლები (სურსათის საწყობი, საწვავის დეპო და სხვა)

მთავარ საწყობებში მოთავსებული საქონელი დაარიგეთ. საოკუპაციო ჯარების შემოსვლამდე სურსათი და საწვავი სამოქალაქო პირებზე გაეცით. წინააღმდეგ შემთხვევაში მტერი დაიკავებს დეპოებს და მათ თავის სასარგებლოდ გამოიყენებს.

ადმინისტრაციის წარმომადგენელი ოფიციალური პირები:

ყოველი დავალებული საქმის შესრულებას რაც შეიძლება მეტი დრო მოანდომეთ და მაქსიმალურად გაართულეთ, გაზარდეთ საოფისე ნივთების გამოყენება. პერსონალის ჩანაწერებს ადგილი შეუცვალეთ, გადამალეთ ან გაანადგურეთ. ხშირად შეაფერხეთ საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებთან სატელეფონო საუბრები ყურმილის დაკიდების გზით. დაურეკეთ ხუთი ან ათი წუთის შემდეგ და გულწრფელად მოუბოდიშეთ მომხდარის გამო. ეს ფაქტი ახსენით კავშირის გაწყვეტის მომიზეზებით.

დირექტივები და ბრძანებები რთულად გასაგებად ჩამოაყალიბეთ. შექმენით დავის, კამათის სიტუაციები თანამშრომელთა კომპეტენტურობასთან დაკავშირებით.

პერსონალის ოფიციალური პირები:

იმოქმედეთ ისე, რომ პერსონალის სია გაუჩინარდეს, რაც მტრისთვის რთულად ხელმისაწვდომს გახდის იმ პირთა სიის შედგენას, რომელთაც იძულებითი შრომა ან დეპორტაცია ემუქრებათ, ან იმის დადასტურებას, რომ კავშირი აქვთ კლანებთან თუ მძევალთა დაპატიმრებებთან (გაქცეულ თავდამსხმელთა ნაცვლად ოჯახის

წევრების, ნათესავებისა თუ ნაცნობების დეპორტაცია ან სიკვდილით დასჯა).

ქალაქის ოფიციალური პირები

ქალაქის ოფიციალურ პირებს შეუძლიათ მოიპარონ შეუვსებელი საიდენტიფიკაციო მოწმობები. დაუშვებელია მტრის მიერ დამზადებული და გამოცემული საიდენტიფიკაციო მოწმობების დიდი რაოდენობით მოპარვა, რაც გამოიწვევს ეჭვს და საოკუპაციო ძალებმა შესაძლოა გააუქმონ მთლიანი პარტია. ამგვარად, თქვენს მცდელობას არ ექნება არანაირი შედეგი. პოლიციისა და ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დროთა განმავლობაში უნდა გადადონ ხოლმე მცირე რაოდენობით შეუვსებელი ბლანკები (თითო ჯერზე სამი ან ოთხი ცალი), რათა დანაკლისი არ იქნას შემჩნეული. შუამავალ პირთა მეშვეობით ეს ბლანკები გადაეცემა წინააღმდეგობის მოძრაობას, რომელიც თავისი მხრივ გადასცემს მათ ყალბი დოკუმენტაციის განყოფილებას დამუშავების მიზნით.

გარდაცვლილ პირთა პასპორტები, პირადობის დამადასტურებელი ნებისმიერი სახის მოწმობები თუ დოკუმენტები არავითარ შემთხვევაში არ დაუბრუნდება დოკუმენტის გამცემ ორგანოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამას წესდება მოითხოვს. საჭიროებისამებრ უნდა შეძლოთ გასამართლებელი საბაბის პოვნა. მაგ.: თქვენ პირადად არასოდეს გინახავთ, ან გარდაცვლილს არასდროს უხსენებია ამგვარი დოკუმენტის არსებობა. მოწინააღმდეგე ვერ შეძლებს ამ ინფორმაციის შემოწმებას მოწმობის მფლობელის გარდაცვალების გამო.

ყველა ეს დოკუმენტი გადაეცით წინააღმდეგობის მოძრაობას, რომელიც შეძლებს მათ საფუძველზე ახა-

ლი დოკუმენტების შედგენას (სახელის, თარიღების, ბეჭ-დების, ფოტოებისა და აღწერის შეცვლას გაყალბების განყოფილების მიერ).

ყალბი დოკუმენტები ძალზე მნიშვნელოვანია იმისათ-ვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას იატაკქვეშეთში მოღ-ვაწე პირების უსაფრთხოება.

რკინიგზის ფორმიანი თანამშრომლები:

თქვენი ერთი ფორმა გადაეცით წინააღმდეგობის მოძრაობას. ეს მათ საშუალებას მისცემს, სარკინიგზო საბოტაჟი შეუმჩნევლად მოაწყონ. სატვირთო ვაგონე-ბი არასწორად დანომრეთ და მცდარი მიმართულებით გაგზავნეთ. ვაგონები ნელა დატვირთეთ და ჩამოტვირ-თეთ. თავი მოაჩვენეთ, თითქოს დაგავიწყდათ, სად დგას ვაგონები.

საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო განყოფილებე-ბის ფორმიანი თანამშრომლები:

თქვენი ერთი ფორმა გადაეცით წინააღმდეგობის მოძ-რაობას. ფოსტალიონის ფორმაში გადაცმულებს შესაძ-ლებლობა მიეცემათ კლიენტურის საფოსტო ყუთებში დაარიგონ იატაკქვეშა გაზეთები, პროკლამაციები და სხვა, ისე, რომ თავიდან აიცილონ საეჭვო გარემოებების წარმოქმნა.

გარდა ამისა, ფორმაში გადაცმული პირები დაბრკო-ლებების გარეშე მიუახლოვდებიან სატელეფონო კომუ-ტატორს ან სხვა მოწყობილობებს საბოტაჟის მოწყობის მიზნით.

ფოსტის თანამშრომლები:

ფოსტის თანამშრომლებმა შესაძლოა „დაკარგონ“ ოფიციალური წერილი (გზავნილი), გაგზავნონ ის მცდარ მისამართზე ან განზრახ გამოიწვიონ ოფიციალური გზავნილის ადგილზე დაგვიანებით მიტანა ან გადამისამართება.

ბანკის თანამშრომლები:

ბანკის თანამშრომლებს შეუძლიათ გაავრცელონ ჭორები იმის შესახებ, რომ სავალუტო რეფორმა გარდაუვალია. შემდგომი შესყიდვებისა და თანმხლები მღელვარების პერიოდი მოწინააღმდეგისთვის არასასიამოვნო იქნება.

სატელეფონო კომუტატორის ოპერატორი:

არ მიიღოთ ზარები საოკუპაციო ჯარების შტაბებიდან. გამოიწვიეთ ცუდი სატელეფონო კავშირი, რომლის აღდგენაც შესაძლებელი გახდება მხოლოდ დიდი ძალისხმევის შედეგად, რაც თავისთავად საერთო გაღიზიანებას გამოიწვევს. გაწყვიტეთ კავშირი შუა საუბრისას. საჭიროებისამებრ, ყოველთვის შეძლებთ რაიმე საბაბის მოფიქრებას და მომიზეზებას (მაგ. ტექნიკური დაზიანება).

პოლიციის თანამშრომლები (მჩხრეკავთა პერსონალი და ფორმიანი პოლიციელები)

ზოგადი ინფორმაცია:

მოწინააღმდეგე შეეცდება ადგილობრივი პოლიციის დაწესებულებების კონტროლქვეშ აყვანას და საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას. უპირველეს ყოვლისა,

ადგილობრივი პოლიცია განაგრძობს საგზაო მოძრაობის რეგულირებას, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას (კრიმინალები ზოგადად, და არა კრიმინალები პოლიტიკური ნიშნით), კრიმინალების სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების მართვას.

ადგილობრივი პოლიციისგან დამოუკიდებლად, საოკუპაციო ძალები პოლიტიკური განყოფილებისთვის დააარსებენ პოლიციის საკუთარ აპარატს, სახელმწიფო უშიშროების სამსახურს და აგრეთვე სამაუწყებლო ქსელს.

მოწინააღმდეგე პოლიტიკური პატიმრებისთვის („სახელმწიფოს მტერი," „ტერორისტები," „ხალხის მტრები," „ გამოუსწორებელი უკმაყოფილოები" – მტრის ტერმინოლოგიით) გახსნის ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოწინააღმდეგის პოლიციის მთავარი შტაბი ყოველთვის გამოიყენებს ადგილობრივ პოლიციას მხარდაჭერისა და გარკვეული მისიების შესასრულებლად – იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ენდობა ადგილობრივი პოლიციის ძალებს. ზემოხსენებული განხორციელდება კრიმინალისტიკურ სფეროში, რადგან სახელმწიფო უშიშროების სამსახური მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობებითაა აღჭურვილი და მის შემადგენლობაში უფრო მეტად სადისტები არიან, ვიდრე კრიმინალისტები.

ჩვენი ყოფილი უშიშროებისა და სისხლის სამართლის საგამოძიებო პოლიციის ძალების მოწინააღმდეგესთან იძულებითი და ხშირი თანამშრომლობის პირობებში, არსებობს საბოტაჟის მოწყობის რამდენიმე შესაძლებლობა.

საბოტაჟის მოწყობის შესაძლებლობები:

ფორმიანი პოლიციელები:

როგორც რჩეული ჯარების წევრი, რომელიც ფიზიკურად კარგი მომზადებულია და სათანადოდ ერკვევა იარაღში, თქვენ უნდა მიეკუთვნებოდეთ პარტიზანული დაჯგუფების ნაწილს, სადაც დაკისრებულ საქმეს შესაბამისად შეასრულებთ. თუ კონკრეტულ მიზეზთა გამო ვერ შეძელით რომელიმე ასეთ დაჯუფებაში გაერთიანება, მოიქეცით შემდეგნაირად:

შეატყობინეთ ხალხს თქვენი მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ ან გააფრთხილეთ ისინი მათი გარდაუვალი დაპატიმრების შესახებ იმის საფუძველზე, რომ თქვენ ფლობთ ამგვარ ინფორმაციას.

თქვენი ფორმა (ერთი ცალი) გადაეცით წინააღმდეგობის მოძრაობას.

ფორმებში გადაცმულ პოლიციელებს შეუძლიათ მოიპოვონ ციხეში შესვლის ნებართვა და „კანონიერად" ჩაიგდონ ხელში წინააღმდეგობის მოძრაობის დაპატიმრებული მებრძოლები.

დივერსანტებთან და გაქცეულ პოლიტიკურ პატიმრებთან ბრძოლის დროს თქვენი იარაღი გაიჭედება ან მიზანს ააცილებთ, რისი ახსნაც შეგიძლიათ იმით, რომ ყოველთვის ცუდი მსროლელი იყავით.

შეიძლება გამოგელიოთ საბრძოლო მასალა. გადამალეთ საბრძოლო მასალის უმეტესი ნაწილი, რომელსაც თან ატარებთ.

ცეცხლსასროლი იარაღით ბრძოლისას, ხელსაყრელ დროს, ცეცხლი გახსენით მოწინააღმდეგის პოლიციის თუ სამხედრო დანაყოფის ზურგში, რომელთანაც თანამ-

შრომლობთ. მოწინააღმდეგისთვის რთული იქნება იმის გაგება, თუ ვინ გაუხსნა ცეცხლი მის მებრძოლებს. მოწინააღმდეგის სისასტიკის გათვალისწინებით, არ არსებობს იმის ვარაუდი, რომ თავისი ხალხი ფასეული იქნება მისთვის.

ამ ოპერაციის დროს ცეცხლი გაუხსენით საკუთარ მანქანებს, რაზმებს, ციხეს და რადიოკავშირის მანქანებს. შეუძლებელია იმის დადასტურება, რომ ცეცხლი თქვენ გახსენით და არა მტერმა.

მოუწყვეთ საბოტაჟი, მაგალითად, კორდონებს, და თავი მოაჩვენეთ, თითქოს ყურადღება მოადუნეთ, რითაც ხელს შეუწყობთ ალყაშემორტყმული წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლების გაქცევას.

ნებისმიერ ხელსაყრელ დროს შეაგროვეთ საბრძოლო მასალა, რათა იქონიოთ საკუთარი მარაგი. ეს გამოგადგებათ, როდესაც პარტიზანულ დანაყოფს შეუერთდებით.

ვარიანტები:

პატრულირების დროს ცეცხლი გაუხსენით სიმულირებულ დივერსანტებს, მაგრამ დაცალეთ მხოლოდ ორი ან სამი ვაზნა, რათა იარაღი დაბინძურდეს; შემდგომ შეგიძლიათ ის პოლიციის განყოფილებაში გაწმინდოთ და თან უკმაყოფილება გამოთქვათ. დაიტოვეთ და გადამალეთ ხუთი ან ექვსი ვაზნა, რომელიც თითქოს უკვე დაიხარჯა. თქვენი პატრულირებისას თქვენი მეწყვილე დაადასტურებს მომხდარ საბრძოლო ინციდენტს. გარდა ამისა, ინციდენტის დადასტურება გასროლის ხმის ფონზე უფრო მარტივი იქნება.

უფრო სერიოზულ შეტაკებებში მონაწილეობისას ეცადეთ საერთოდ არ გამოიყენოთ საბრძოლო მასალა, აგრეთვე ეცადეთ გადამალოთ იარაღი.

ითანამშრომლეთ ექიმებთან, რომლებიც დაგეხმარებიან უბედური შემთხვევის შესახებ ყალბი ცნობების გაცემაში, რათა წინააღმდეგობის მოძრაობის დაჭრილი მებრძოლები ლეგალურად დაუშვან და მიიღონ ჰოსპიტალში, უმკურნალონ მათ, როგორც „საგზაო შემთხვევის მსხვერპლს."

პოლიციის მანქანის მძღოლები:

თქვენ, როგორც პოლიციის მანქანის მძღოლი, დროებით დაუთმობთ თქვენს მანქანას წინააღმდეგობის მოძრაობას. პოლიციის მანქანა იდეალური საშუალებაა იარაღის, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, პროკლამაციების, იატაკქვეშეთის გაზეთების, რადიოს და ა.შ. ტრანსპორტირებისთვის. პოლიციის მანქანა ზემოხსენებული ქმედების განსახორციელებლად საუკეთესო საშუალებაა.

პირები, რომლებიც საფრთხეში იმყოფებიან და არ შეუძლიათ საზოგადოებაში გამოჩენა, შეიძლება შეუმჩნევლად გადაიყვანონ უსაფრთხო ადგილას. ისინი შედარებით უსაფრთხოდ იქნებიან, თუ პატიმრებად მოაჩვენებენ თავს.

ხშირად იქნება ისეთი შემთხვევა, როდესაც მანქანაში მარტო აღმოჩნდებით და, შესაბამისად, შეძლებთ ამ მდგომარეობის გამოყენებას წინააღმდეგობის მოძრაობის სასარგებლოდ. თქვენს მცდელობებს ხელს შეუწყობენ თქვენივე კოლეგები თუ ზემდგომები იმით, რომ თქვენს ქმედებებს „ვერ შეამჩნევენ".

თუ იატაკქვეშეთის წინააღმდეგ ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად უნდა მართოთ მანქანა, რომელშიც პოლიციის ერთი დანაყოფია, განახორციელეთ დივერ-

სიული ოპერაცია სხვადასხვა გზით. თავი მოაჩვენეთ, თითქოს მანქანის ძრავას ვერ ქოქავთ. დანიშნულების ადგილამდე შემოვლითი გზებით იარეთ; ეცადეთ გზა აგებნეთ ან დაიკარგოთ. ამის ახსნა შეგიძლიათ იმის საბაბით, რომ სიბნელის გამო გზაში საკმარისი ხილვადობა არ იყო. მოაწყვეთ მცირე საგზაო შემთხვევების ინსცენირება – მანქანით შეეჯახეთ ელექტრო-გაყვანილობის, სატელეფონო ბოძს ან სახანძრო ონკანს. კვლავ გაიმართლეთ თავი იმით, რომ გზაზე არ იყო საჭირო ხილვადობა.

ციხის უფროსები:

ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ეს ყურადღებას არ მიიპყრობს, ნება დართეთ პოლიტიკურ პატიმრებს გაიქცნენ ციხიდან.

თუ შეამჩნევთ, რომ ადამიანები, რომლებიც ფლობენ ყალბ საშვებს, პირადობის მოწმობებს ან ბრძანებებს, პოლიტპატიმრების წასაყვანად არიან მოსული, არ მიაქციოთ ყურადღება და გაიხედეთ სხვა მიმართულებით.

მოგვიანებით შესაძლოა საჭიროდ ჩათვალოთ პარტიზანულ დანაყოფში ან იატაკქვეშა გაერთიანებაში – წინააღმდეგობის მოძრაობაში გაერთიანება, რათა თავი დააღწიოთ დაპატიმრებას. სანამ ამას განახორციელებთ, პოლიტპატიმრებს გაქცევის ნება დართეთ.

გააკეთეთ გასაღებების ცვილის ანაბეჭდები. მაგრამ გასაღებები თან არ ატაროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოწინააღმდეგე საკეტებს შეცვლის. წინააღმდეგობის მოძრაობა მადლიერი იქნება გასაღებების ანაბეჭდებისთვის. თან იქონიეთ რაც შეიძლება მეტი იარაღი, საბრძოლო მასალა და ფორმა.

პოლიციის რადიოოპერატორები:

წინააღმდეგობის მოძრაობას მიაწოდეთ ცნობები მათთვის საჭირო და საინტერესო საკითხების შესახებ, რომელთა განხილვის მოწმეც გახდებით.

თუ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში თქვენც იატაკქვეშეთს შეუერთდებით, ეცადეთ, აღჭურვილობა თან იქონიოთ. საჭიროებისამებრ დაეხმარეთ წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებს, პოლიციის ფორმაში გადაცმულებმა მოაწყონ რეიდის ინსცენირება.

სისხლის სამართლის საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები:

გაანადგურეთ გამოძიების სამხილი საბოტაჟის აქტების თუ მკვლელობის მცდელობების ადგილიდან.

შეცდომაში შეიყვანეთ მოწინააღმდეგის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები. მაგალითად, ინციდენტის მოწყობა გადააბრალეთ მოღალატეს, რომლის ნეიტრალიზება მოგვიანებით მოხდება. ადგილი შეუცვალეთ, მოიპარეთ ან გაანადგურეთ სამხილი. გააფრთხილეთ პირები, რომლებზეც შემდგომ აიღებენ ეჭვს.

საეკლესიო პირები:

გაანადგურეთ ან გადამალეთ რელიგიური ჯგუფებისა თუ გაერთიანებების თქვენს ხელთ არსებული სიები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ გამოიყენებს მოწინააღმდეგე იმ პირთა სიების შესადგენად, რომლებიც მძევლად უნდა აიყვანონ ან გადაასახლონ.

თუ ახალი დიქტატორების მიერ აიკრძალება ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა წირვა, ნათლობის რიტუალი, ზიარება, მირონცხება (რაც ადრე თუ გვიან მაინც

მოხდება) – მიიღეთ „ფიქტიური პროფესია.“ ყველაზე შესაფერისი და სასურველი იქნება ისეთი პროფესია, რომელიც საშუალებას მოგცემთ ბევრი იმოგზაუროთ. მაგ.: გაზისა თუ ენერგოკომპანიების მრიცხველის შემმოწმებელი, ორგანიზაციის ფინანსების მოძიების სპეციალისტი, სადაზღვევო აგენტი და ა.შ.

ამ გზით თქვენ შეძლებთ საქმიანობის „საიდუმლოდ“ გაგრძელებას, კერძოდ, ადამიანებს ესტუმრებით ინდივიდუალურად, ისინი კი აღარ მოვლენ თქვენს ეკლესიაში. ისინი უზრუნველყოფენ თქვენს კვებას და დაეხმარებიან თქვენს ოჯახს, რათა თქვენ შეძლოთ ფიქტიური პროფესიის შერჩევა ზემოხსენებული წესების თანახმად.

საბავშვო ბაღის მომვლელები, მასწავლებლები:

თქვენ საკმაოდ რთული დავალება დაგეკისრებათ. ერთი მხრივ, სახელმძღვანელო მასალა, როგორებიცაა ახალი სასკოლო წიგნები და სასწავლო გეგმები, მკაცრად კონტროლდება ოკუპაციური ძალების მიერ; მეორე მხრივ, თქვენ მთავარი და განსაკუთრებული როლი გაქვთ მტრის წინააღმდეგ საბოტაჟის მოწყობაში. ამ ბრძოლის მიზნობრივი ჯგუფი ახალგაზრდობა და მათი ცნობიერებაა. ამასთან დაკავშირებით შემიძლია შემდეგი რჩევა მოგცეთ:

მოწინააღმდეგის მცდელობები ფოკუსირებული იქნება ძირითადად შემდეგ სფეროებზე:

1. ბავშვებს დაევალებათ განაცხადონ, დააბეზღონ რეჟიმის თაობაზე უარყოფითი შენიშვნის ავტორები. მთავარი მიზანია ყოველ ოჯახში ინფორმატორის (ბავშვის) არსებობა, რომელიც თვალყურს ადევნებს მშობლებს, დებსა და ძმებს.

შესაძლო საწინააღმდეგო ზომები: ხაზი გაუსვით და განავითარეთ ერთმანეთის მიმართ ოჯახური ერთგულების გრძნობის აუცილებლობა.

2. იქნება ისტორიის შეცვლისა და არასწორი ინტერპრეტაციის მცდელობები.

3. იქნება ყველა ყოფილი დემოკრატიული ინსტიტუტისა და პრინციპის დეგრადირებისა თუ განეიტრალების მცდელობები.

4. საკუთარი იდეოლოგიისა და პარტიის წესდების საფუძველზე მოწინააღმდეგე გამოიმუშავებს მოქალაქეობრივ ინსტრუქტაჟს.

5. ყველა დავალება, როგორიცაა კითხვა, წერა, არითმეტიკა, ისტორია, გეოგრაფია და ა.შ. სისტემატურად იქნება გაჯერებული პოლიტიკით. მოსწავლის მიერ წარმოთქმული ან დაწერილი პირველი სიტყვები იქნება მტრის პარტიის ლოზუნგები.

6. ისეთი სიტყვები, როგორებიცაა მშვიდობა, თავისუფლება, დემოკრატია, იქნება დამახინჯებული და ახალგაზრდა თაობას აღარ ეცოდინება მათი რეალური მნიშვნელობა.

7. საოკუპაციო ძალები აიძულებენ მოსწავლეებს დაეუფლონ მოწინააღმდეგის ენას.

8. რელიგია გახდება დაცინვის საგანი. იქნება რელიგიური მრწამსის მეცნიერული ფაქტით უარყოფის მცდელობები.

9. მოხდება პიროვნების კულტის აღზევება და განვითარება.

ამ ზომებს დაუპირისპირეთ შემდეგი შესაძლებლობების განვითარება: კრიტიკული მსჯელობა, ისეთი ადამიანური ღირებულებების ხაზგასმა, როგორებიცაა: ერთგუ-

ლება, მეგობრობა, დახმარებისთვის მზადყოფნა.

სრულად ვაცნობიერებ, რომ ვერ შემოგთავაზეთ ბევრი კონკრეტული გამოსავალი. თუმცა მარტივად რომ ჩამოვაყალიბოთ, დიდად ვერავინ დაგეხმარებათ. როგორც უკვე აღინიშნა, ეს ყველაზე რთული და თითქმის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაზეც საფუძვლიანად უნდა დაფიქრდეთ და კოლეგებთანაც განიხილოთ. შეიძლება მიაგნოთ პრობლემების გადაჭრის იმ გზებს, რომლებიც მე აქ ვერ შემოგთავაზეთ. ზოგადად, ადამიანთა ჯგუფი ბევრად უფრო მარტივად პოულობს გამოსავალს, ვიდრე ნებისმიერი ცალკეული პირი.

ინჟინრები და ტექნიკოსები სამრეწველო საწარმოებში:

მშენებლობის დროს დაუშვით შეცდომები. მასიური წარმოების დაწყებისას შეიტანეთ ცვლილებები. დამატებითი მასალის მომარაგების მენეჯმენტი არასწორად განახორციელეთ.

საწარმოებისა და მაღაზიების თანამშრომლები:

სამუშაო პროცესი წარმართეთ ნელი ტემპით. აწარმოეთ დაბალი ხარისხის პროდუქცია და შედეგად მიიღეთ ჩამოფასებული საქონელი. ხშირად შეისვენეთ. დანადგარებს, გაყვანილობასა და ძრავებს მოექეცით დაუდევრად. მუშაობისას გამოიწვიეთ ზარალის გაჩენა. გამოიყენეთ ჭარბი რაოდენობის წყალი, ელექტროენერგია, საწვავი და ზეთი; ხშირად აიღეთ ბიულეტენი.

არქიტექტორები და მშენებლები:

შეადგინეთ დეფიციტური საჭირო მასალის – მაგალითად: ცემენტის, სამაგრი ლარტყის – გაზრდილი

ხარჯთაღრიცხვა. დააწესეთ რაც შეიძლება მაღალი ფასები. მაქსიმალურად გაახანგრძლივეთ მშენებლობის პერიოდი. ამ მიმართულებით ითანამშრომლეთ კოლეგებთან.

მშენებლები:

მოწინააღმდეგის ფორტიფიკაციების – დამაბრკოლებელი ჯებირების, ბანაკებისა თუ გზების – მშენებლობისას თქვენ შეძლებთ წინასწარ გათვლილზე ბევრად მეტი ცემენტის გამოყენებას, ცემენტის ნაკლებობა კი ხშირია და მისი სისტემატურად დიდი რაოდენობით გამოყენება გარდაუვალ დეფიციტს გამოიწვევს. მეორე მხრივ, შეგიძლიათ გააუარესოთ პროდუქციის ხარისხი მცირე რაოდენობის ცემენტის დამატებით.

სტრუქტურის შესუსტების მიზნით ცემენტის არასაკმარისი რაოდენობით ბეტონში დამატებისას მორჩენილი ცემენტი გადაყარეთ, რათა შექმნათ ისეთი სურათი, თითქოს წინასწარ გათვლილი ოდენობის ცემენტი გამოიყენეთ; ეს თავიდან აგაცილებთ პროექტისთვის გამოყოფილი განსაზღვრული ოდენობის ცემენტის შემცირებას.

იმუშავეთ რაც შეიძლება დაუდევრად, ნელი ტემპით და არაპროდუქტიულად.

ტაქსის მძღოლები:

დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად ყოველთვის იარეთ შემოვლითი გზებით, რათა მოწინააღმდეგეს რაც შეიძლება დიდი დრო დააკარგვინოთ. შეგიძლიათ გზების არცოდნა მოიმიზეზოთ. როდესაც მოწინააღმდეგე აცხადებს, რომ მატარებელზე ან შეხვედრაზე ეჩქარება, მოაწყვეთ მანქანის მწყობრიდან გამოსვლის სიმულაცია,

რის შედეგადაც მას დანიშნულების ადგილზე მისვლა დააგვიანდება.

ვატმანები და ავტობუსის მძღოლები:

საოკუპაციო ძალების ან მათი მიმდევრების ტრანსპორტში შესვლისას მათ თვალწინ დახურეთ კარები. მოახდინეთ ავტობუსის გაჩერებებზე მომლოდინე მოწინააღმდეგის იგნორირება, გააგრძელეთ მანქანის მართვა. არ მიაქციოთ ყურადღება მტრის მცდელობას, გააჩეროს ტრამვაი ან ავტობუსი. თქვენი თანამოქალაქეები სიამოვნებით დაიხევენ უკან, ან დაელოდებიან მომდევნო ავტობუსს ან ტრამვაის, თუკი ამის შედეგი მოწინააღმდეგის გაღიზიანება იქნება.

მანქანის ხელოსნები:

არსებობს არაერთი საშუალება, რომლებიც დაგეხმარებათ მტრის მანქანების გამართულად მუშაობის შეფერხებაში. მიანიჭეთ მანქანის ძრავას ისეთი ფუნქცია, რომელიც მანქანას ბევრ საწვავს დაახარჯვინებს. ზეთის გამოცვლისას მალულად აავსეთ ავზი ძველი ზეთით. რადიატორი აავსეთ არასაკმარისი ოდენობის ანტიფრიზით. შეცდომით შეარჩიეთ ზეთისა და საპოხი მასალის ბარათები, რათა ამან გამოიწვიოს ზეთის დამატებით გამოყენება; მანქანა ცუდად დაზეთეთ ან საერთოთ არ დაზეთოთ.

ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომლები:

ჩაყარეთ შაქარი ბენზინის ავზში, რაც მის გაფუჭებას, მომხდარის მიზეზების ძიებას და არასასურველ სარემონტო სამუშაოებს გამოიწვევს. ცალკეული კანისტრე-

ბით ბენზინის ავზის შევსებისას ჩაასხით დიზელის ზეთი ბენზინზე მომუშავე მანქანაში და პირიქით. ყოველივე ამის შედეგი იქნება მანქანის გაფუჭება და არასასურველი სარემონტო სამუშაოები. თავის გამართლებისას შეგიძლიათ განაცხადოთ, რომ შეცდომით აგერიათ ავზები. საბურავების შემოწმებისას შეუშვით მათში საკმარისზე მეტი ან ნაკლები ჰაერი. ერთ შემთხვევაში გაიზრდება საბურავის ცვეთის შესაძლებლობა, მეორეში კი მანქანას ხშირად შეჩერება მოუწევს.

ხელოსნები:

თავიდან აიცილეთ სარემონტო სამუშაოების შესრულება, მოიმიზეზეთ, რომ ძალიან დაკავებული ხართ. თუ მაინც მოგიწევთ მუშაობა, გამოიყენეთ მხოლოდ დაბალი ხარისხის მასალა და მოითხოვეთ ძალიან მაღალი ანაზღაურება.

რადიომალაზიების მფლობელები:

ადრე თუ გვიან მოწინააღმდეგე ყველა რადიომალაზიის კონფისკაციას განახორციელებს. ამიტომ უნდა მოიტოვოთ და გადაინახოთ საჭირო ნაწილები, რომლებიც წინააღმდეგობის მოძრაობას და პარტიზანთა დანაყოფებს დასჭირდებათ.

გადამალეთ ყველა პორტატული რადიო, რაც არ არის რთული მათი მცირე ზომის გამო. აგრეთვე შემოინახეთ მათი ელემენტები.

სურსათის მაღაზიის გამყიდველი გოგონები:

განზრახ არ მიაქციოთ ყურადღება საოკუპაციო ძალების წევრებსა და კოლაბორაციონისტებს, რის შედე-

გადაც ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ და მოითხოვენ სათანადო მომსახურებას. თუ საკუთარ საქციელზე პასუხის გაცემა მოგიწევთ, რაც შეიძლება გულწრფელად მოიხადეთ ბოდიში, რათა შემდგომ იმავე ტაქტიკას მიმართოთ სხვებთანაც.

წინასწარ დაიჭირეთ თადარიგი, რომ მათზე ყველაზე ცუდი პროდუქცია გაასაღოთ, მაგალითად, სიდამპლეშაპარული ხილი, ბოსტნეული; ხორცის ან პურის ყველაზე პატარა ნაჭრები და სხვა. წინასწარ და განზრახ გააფუჭეთ ნებისმიერი საქონელი, რომელსაც მოწინააღმდეგე მოითხოვს. დაჭყლიტეთ ხილი, სანამ დააფასოებთ. ქაღალდის პარკი უხეშად დადეთ დახლზე, რათა ხილი დაიჟეჟოს და მერე ადვილად გაფუჭდეს.

სუერმარკეტების გამყიდველი გოგონები:

მიჰყიდეთ მტერს არაპრაქტიკული საქონელი – სუვენირები, მაჯის საათები, სამკაულები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. შეატყუეთ დაზიანებული ნივთები. შეფუთვამდე წინასწარ დააზიანეთ ნაყიდი საქონელი. მაგალითად, ქსოვილი გაჭერით ან გააჭუჭყიანეთ. დაუმტკიცეთ, რომ მტრის მიერ მოთხოვნილი საქონელი გამოილია. თუ მომხმარებელი საწინააღმდეგოს დაამტკიცებს, შეცდომისთვის ბოდიში მოუხადეთ.

საკვები პუნქტების თანამშრომლები:

1. მიმტანები სასტუმროებსა და რესტორნებში

არ მიაქციოთ ყურადღება მტერს, რათა მას მოუწიოს ხმამაღლა მოითხოვოს, რომ მოემსახურონ. რაც შეიძლება ნელა და უყურადღებოდ მიიღეთ მისი შეკვეთა. მიართვით ყველაზე დაბალი ხარისხის პროდუქცია, მაგალი-

თად, ყველაზე ცუდი ღვინო ყველაზე მაღალ ფასად და ა.შ.

2. მეპატრონეები

უბიძგეთ თქვენს პერსონალს იმისკენ, რომ ყურადღება არ მიაქციონ მტრის შეკვეთებს და მოთხოვნებს. მტრები და მოღალატეები დააბინავეთ ყველაზე ცუდ ოთახებში.

გახსოვდეთ: ზემოთ ხსენებული მეთოდიკა ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მაღაზიის მეპატრონე და ხელოსანი შეთანხმებულად მოქმედებს ისე, რომ მტერი არ წავიდეს სხვა მაღაზიაში ან სხვა ხელოსანთან.

ყველანი ერთ ფრონტად უნდა გაერთიანდეთ. ის, ვინც მოძრაობას გვერდში არ დაუდგება, მტრის ხელშემწყობად ჩაითვლება და ქვეყნის გათავისუფლების შემდეგ მისი საქციელი გათვალისწინებული იქნება.

ერთეულების ცდუნება, აიწყონ წარმატებული ბიზნესი კონკურენციის ნებაყოფლობითი აღმოფხვრით, ძალიან დიდია.

მეამბოხე მოძრაობამ ნათლად უნდა აუხსნას ამ ხალხს, რომ მსგავსი საქციელი ღალატია და რომ ყველა მიიღებს კუთვნილ სასჯელს მტრის დამარცხების შემდეგ.

ფერმერები:

„ოკუპირებულ" ტერიტორიაზე მოხდება კარტოფილის, ხილის, რძის ნაწარმის, ღორების და მსხვილფეხა საქონლის პროდუქციის დათვლა და შეფასება, რის გამოც ვეღარ შეძლებთ ამ ყველაფრის გადამალვას. ამიტომ ეცადეთ გაზარდოთ ბოსტნეულის, ცხვრის, თხების, ქათმებისა და კურდღლების პროდუქციის წარმოება.

ნამატი პროდუქტი კი გამოიყენეთ პარტიზანული

დაჯგუფებებისთვის და მათთვის, ვინც იატაკქვეშეთშია. პარტიზანული მოძრაობა გადაგიხდით იმდენს, რამდენსაც შეძლებს.

დროებით გათავისუფლებულ ტერიტორიებზე მოსავალი მთლიანად გადაეცით პარტიზანებს. სჯობს თქვენი ხალხის ხელში იყოს, ვიდრე მტერმა იხეიროს. როგორც კი პარტიზანები ტერიტორიას დატოვებენ, მტერი მაინც ჩამოგართმევთ მოსავალს.

დაიტოვეთ მხოლოდ იმდენი, რამდენიც გჭირდებათ საკუთარი ოჯახის გამოსაკვებად და მომავალი წლის სათესლედ. ყოველთვის შეგიძლიათ განაცხადოთ, რომ მოსავალი პარტიზანებმა ძალით წაგართვეს.

მოსავლის პერიოდი მნიშვნელოვანია პარტიზანებისთვის. ისინი ეცდებიან გაათავისუფლონ რაც შეიძლება დიდი და მოსავლიანი ტერიტორიები, რათა მოსავალი არც მტერს ჩაუგდონ ხელში და ზამთრისთვისაც მოიმარაგონ.

ცხადია, მათ ამაში თქვენც უნდა დაეხმაროთ. შეაინელეთ მოსავლის აღება, თუ მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხართ, იმ იმედით, რომ განმათავისუფლებელი ძალები მოგისწრებენ და მოსავალი მტრის ხელში არ ჩავარდება, ანდა დააჩქარეთ მოსავლის აღების პროცესი, თუ „გათავისუფლებულ“ ტერიტორიაზე ხართ, რათა პარტიზანულმა მოძრაობამ მოასწროს ნამატის დამალვა, სანამ მტერი კონტრშეტევას წამოიწყებს.

შეიძინეთ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები – ავტომობილი, ტრაქტორი, ცხენები – რათა თვითონ შეძლოთ პარტიზანებისთვის პროდუქტის მიწოდება.

შეიარაღებულ ძალებში შეღწევა

მტერი მნიშვნელოვან ქარხნებში, სატრანსპორტო სისტემასა და ადმინისტრაციაში დააყენებს შეიარაღებულ მილიციას.

მასიური ორგანიზაციის შექმნის მცდელობისას და უცხოელი დიქტატორის განდიდებისას ახალი ძალები ვერ შეძლებენ შესაბამისი თანამოაზრეების მონახვას, რომლებიც პარტიის იდეების ერთგულნი იქნებიან, ამიტომ იძულებულნი გახდებიან შეავსონ ხაზები პარტიისადმი ნაკლებად თავდადებული და პოლიტიკურად არამდგრადი წევრებით.

სწორედ მაშინ გექნებათ შესაძლებლობა, რომ შეაღწიოთ მტრის ორგანიზაციაში.

წამყვან თანამდებობებზე, როგორც წარსული გამოცდილება გვკარნახობს, დაინიშნებიან სანდო პირები, მაშინ, როდესაც ნაკლებად სტაბილური ხალხი განაწილდება შედარებით დაბალ პოზიციებზე, როგორიცაა ტყვია-წამლის მიმწოდებელი და ა.შ.

შეიარაღებული წინააღმდეგობის რიგებში შეღწევით გადამწყვეტ მომენტში შემდეგი შესაძლებლობები მოგეცემათ:

1. იარაღისა და ამუნიციის ხელში ჩაგდება;

2. მტრის საბრძოლო ძალის შემცირება;

3. მათი გეგმების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ხელის შეშლა;

4. „პარტიის ფანატიკოსებისთვის“ ზურგში სროლა და შემდეგ მოსახლეობაში შერევა.

დამაჯამებელი შენიშვნები

პასიური წინააღმდეგობის დროს მტრისათვის მიყენე-

ბული ცალკეული მცირე უსიამოვნება დიდს ვერაფერს მოგცემთ, მაგრამ ათასობით ასეთი ნიუანსი მტერს ძალიან ცუდ პირობებს შეუქმნის. გადამწყვეტი ფაქტორია მოსახლეობის გაერთიანება, რათა შეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ყოველი მომდევნო ოპერაციის განხორციელების შემდეგ თქვენ განიცდით მცირე ტრიუმფს და იგრძნობთ, რომ არცთუ ისე დაუცველი ხართ. ასეთი მცირე გამარჯვებები გაზრდის თქვენს ბრძოლისუნარიანობასა და წინააღმდეგობის სურვილს.

არ დაგავიწყდეთ პირველი და უმთავრესი წესი: დაუკავშირდით მათ, ვინც თქვენსავით აზროვნებს. მარტოხელა ადამიანი მალე კარგავს საკუთარი თავისა და ძალების რწმენას.

რაღა თქმა უნდა, მტერიც თავის მხრივ, ყველანაირად ეცდება პასიური წინააღმდეგობის ჩახშობას კონტროლის გაზრდით, მაგრამ სრულად ჩახშობას ვერ მოახერხებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს მტერი მოსახლეობის წინააღმდეგობის შეჩერებას, თუ წინააღმდეგობის ყველა წევრს მიუჩენს თითო მეთვალყურეს.

17. საბოტაჟი

საბოტაჟის დროს მნიშვნელოვანია, რომ მიაღწიოთ სამიზნის გულამდე. ყველაზე მარტივი გზა შესაბამისი სამუშაოს მოძებნაა. ზოგჯერ შეგეძლებათ, რომ მუშები დაიყოლიოთ საბოტაჟზე, ზოგჯერ კი ორგანიზაციის წევრების შეგზავნა მოგიწევთ სამიზნეში.

ადმინისტრაციის წევრებსა და ოფისში მომუშავეებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწი-

ონ მტერს „შენელების“ მეთოდით. ეს შედარებით უსაფრთხოა. მუშაობა შენელებულია და, შესაბამისად, გამოშვებული პროდუქტის რაოდენობაც იკლებს.

მაღალტექნოლოგიურ საწარმოებში, სადაც წარმოება მაქსიმალურად ავტომატიზებულია, „შენელების“ ტაქტიკა რთული დასანერგია. თუმცა, შეიძლება ბევრი სხვა გზის გამონახვა მანქანებისა და ინსტრუმენტების მწყობრიდან გამოსაყვანად. სულ მცირე მოშლილობას შეუძლია მთლიანი, რთული მოწყობილობა გააჩეროს.

საბოტაჟის ძირითადი საშუალებები

გააააქტიურეთ საჰაერო დაბომბვის გამაფრთხილებელი საგანგაშო სიგნალი. ცრუ განგაშის შემთხვევაში ყველა გაეშურება თავშესაფრებისაკენ და ამით შეჩერდება საზოგადო ცხოვრება რამდენიმე საათით. სიტუაციის გარკვევის შემდეგ, აუჩქარებლად დაუბრუნდებით სამუშაოს, რომ გაფლანგოთ რაც შეიძლება მეტი დრო.

ისარგებლეთ საჰაერო თავდასხმით შექმნილი არეულობით და გაანადგურეთ ის მნიშვნელოვანი მოწყობილობები, რომლებიც დაბომბვას გადაურჩნენ. ასევე, შეგეძლებათ მიხვიდეთ იმ სამიზნეებთან, რომელთან მისვლა ჩვეულებრივ პირობებში ნებადართული არ არის. მეხანძრეთა და საჰაერო თავდაცვის ფორმებში გადაცმული წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები გაანადგურებენ ყველა სამიზნეს. მოიერიშე პატრული თავს დაესხმება დაბომბვით დაზიანებულ ციხეებს და გაათავისუფლებს პატიმრებს.



თავდასხმები გამოიწვევს წარმოების დეცენტრალიზაციას. ერთი კონკრეტული პროდუქტის წარმოებაში ჩაბმულია რამდენიმე ქარხანა. თუ ერთ-ერთი მათგანი მწყობრიდან გამოვა, მთლიანი საწარმოო პროცესი შეფერხდება.

18. სამოქალაქო წინააღმდეგობის მიერ განხორციელებული თავდასხმები

გამონაკლის შემთხვევებში სამოქალაქო წინააღმ-დეგობის მოძრაობას საომარ ქმედებებში ჩაბმა მოუ-წევს. შესაძლოა აუცილებელი გახდეს თანამებრძოლე-ბის გათავისუფლება პოლიციის განყოფილებებიდან, დაკითხვის საკნებიდან და ციხეებიდანაც კი, თუ იქნება იმის საშიშროება, რომ პატიმრები საიდუმლო ინფორ-მაციას გასცემენ წამების დროს. მოძრაობის წევრებს მოუწევთ მძევლების გათავისუფლება, დოკუმენტაციის გატაცება ან მთავარი სამრეწველო თუ სატრანსპორტო პუნქტების განადგურება.

თავდასხმის ორგანიზება:

პირველი ეტაპი: მომზადება

თავდასხმის ყველა მონაწილეს უნდა გააჩნდეს თავის გასამართლებელი ალიბი, რაც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას, რადგან ოპერაციის განხორციელების შემდეგ სახელმწიფო უშიშროება ძებნას დაუწყებს თავ-დამსხმელებს. მოჩვენებითი ავადმყოფობა თავდაცვის ყველაზე კარგი საშუალებაა.

დიდ ქალაქებში მოქმედებისას, თუ ოპერაცია გეგმის მიხედვით ვერ განვითარდება, სამალავად გამოიყენეთ საკანალიზაციო სისტემა. წინასწარ მოიმარაგეთ საკვები და სასმელი, პირველადი სამედიცინო დახმარების ნივთე-ბი, ტანსაცმელი, რუკები, ამუნიცია და სხვა.

დეტალურად უნდა დაზვეროთ სამიზნე და წინასწარ განსაზღვროთ უკან დახევის გზები.

მეორე ეტაპი

სამიზნის მახლობლად მდგარ შენობებში უნდა გამაგრდნენ დამხმარე რაზმები. შესაძლოა საჭირო გახსდეს ასეთი შენობების დაქირავება. საჭიროების შემთხვევაში, რაზმები გამაგრდებიან ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. დაშლილი იარაღი მიიტანეთ სასურველ ადგილამდე ჩემოდნებით ან ყუთებით. ჩამოაყალიბეთ საკურიერო მომსახურება. კურიერებად გამოიყენეთ ქალები, ბიჭები და გოგონები.

რაზმი იმოქმედებს ღამით. კომენდანტის საათის დროს ოპერაციის წევრები ჩაიცვამენ რეზინისძირიან ფეხსაცმელს, მუქი ფერის ტანსაცმელს, ხოლო სახესა და ხელებს შავად შეიღებავენ.

კომენდანტის საათის დროს იარაღსაც უფრო თავისუფლად ისვრით, ვიდრე დღისით, როდესაც შეიძლება უდანაშაულო ხალხი დაჭრათ.

ოპერაციის დღეს, თავდამსხმელთა რაზმი დახურული სატვირთო მანქანით მიადგება სამიზნეს. მანქანიდან რაზმის ჩამოსვლისთანავე, მეზობლად ჩასაფრებული დამხმარე რაზმი გახსნის ცეცხლს.

სამიზნესთან მისასვლელი გზების გადაკეტვის მეთოდები

წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები გამოეწყობიან დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების ფორმაში და ავტომატებსა და ხელყუმბარებს დამალავენ თავიანთ მანქანებსა თუ ეტლებში. ამ მიზნით შეიძლება „მექანიკოსების“ ფორმისა და ხელსაწყოების ყუთის გამოყენებაც.

ავტოსაგზაო შემთხვევის სიმულირება, რომელიც შეაფერხებს თავდასხმის ობიექტის დასახმარებლად

გამოსულ პოლიციას. ავტომანქანის „დამნაშავე" მძღოლი ისარგებლებს შექმნილი არეულობით და გაიქცევა, ხოლო თუ დაიჭერენ, თავს გაიმართლებს, რომ შეშინდა და ავარიაც ამიტომ მოუვიდა.

მესამე ეტაპი: უკან დახევა

წინასწარ განსაზღვრეთ უკან დახევის მარშრუტები, რომლებითაც ისარგებლებთ ოპერაციის წარმატებით დასრულების ან ჩაშლის შემთხვევაში. მარშრუტების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ წინააღმდეგობის მოძრაობის შენიღბული წევრები. შესაძლოა რამდენიმე დღის განმავლობაში მოგიწიოთ საკანალიზაციო სისტემაში დამალვა, სანამ სამძებრო ოპერაცია არ დასრულდება.

უსაფრთხოების ზომები უკან დახევისას

სატვირთო მანქანის მძღოლის საზურგეში ჩაამონტაჟეთ ჯავშანი, რათა მძღოლი დაცული იყოს მდევარი რაზმის ტყვიებისგან. გამომდინარე იქიდან, რომ მტერი გამოიყენებს მხოლოდ მსუბუქკალიბრიან და არა ჯავშანსაწინააღმდეგო იარაღს, 10 მმ სისქის ფოლადის ფურცელი საკმარისი იქნება. საბარგულში მწოლიარე მეომრების დასაცავად, საბარგულის უკანა მხარეს დაანყვეთ ქვიშის ტომრები და დაამონტაჟეთ 10 მმ სისქის და 50-60 სმ სიმაღლის ფოლადის ფურცელი. მდევრებს გაუსწორდებით ხელყუმბარებითა და ტყვიამფრქვევებით.

უკან დასახევ გზებზე მოაწყვეთ ბარიკადები. წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებს მრავალი მეთოდით შეუძლიათ მდევრების შეფერხება.

მას შემდეგ, რაც ჩასაფრებულ დამხმარე რაზმს გას-

ცდებით, რაზმის წევრები ფოლადის სადენს გაჭიმავენ ქუჩაზე, გამოაგორებენ ოთხთვალას გზაზე ან გახსნიან ცეცხლს და შემდეგ მიიმალებიან. ასევე, გააააქტიურებენ წინა დღით გზაზე დამონტაჟებულ ნაღმებს. ააფეთქებენ ხეებს და ჩახერგავენ გზას. იმისათვის, რომ დამხმარე რაზმებმა, რომლებსაც გზების ჩაკეტვა ევალებათ, თქვენი მანქანა ამოიცნონ, მძღოლის კაბინის გვერდით მიამაგრეთ მანათობელი ნიშანი.

ნაღმხაფანგები მტრის მნიშვნელოვან დაზარალებას გამოიწვევს და გზების გაწმენდა საკმაოდ დიდ დროსაც დააკარგვინებს.

19. წინააღმდეგობის ბოლო ეტაპი: (საერთო აჯანყება)

მაკის ამბოხება საფრანგეთში (განსაკუთრებით პარიზში) მოკავშირეებისა და პოლონური იატაკქვეშეთის ძალების მოსვლასთან ერთად, რომელსაც გენერალი ბორი მეთაურობდა ვარშავაში, საერთო აჯანყების კარგი ისტორიული მაგალითია.

საერთო აჯანყება აჩქარებს მტრის დაცემას.

წარმატება დამოკიდებულია აჯანყების დროის სწორ შერჩევაზე. თუ შეტევას დროზე ადრე დაიწყებთ, ამბოხება ჩაიშლება; თუ დააგვიანებთ, თქვენს შანსს ხელიდან გაუშვებთ.

საერთო აჯანყებისთვის სწორი დრო დგება მაშინ, როდესაც მტერი იძულებულია თავდაცვის რეჟიმზე გადავიდეს შორეულ ტერიტორიებზე მომხდარი მოვლენების გამო. თქვენს ძალისხმევას ხელს შეუწყობს მოკავშირე ჯარები, როდესაც მტერს მოუწევს ძალების სხვა

ტერიტორიაზე გადასროლა ან ნებაყოფლობით გამოყვანა თქვენი ზონიდან.

გარდა ისეთი ტექნიკური ხასიათის უპირატესობებისა, როგორიცაა მასიური ნგრევისა და მრეწველობის დემობილიზაციის თავიდან აცილება, ღია აჯანყება მოგიტანთ სხვა სარგებელსაც, რომელიც სათანადოდ უნდა შეაფასოთ. მაგალითად: თქვენი პოზიცია მსოფლიო პოლიტიკაში და სუვერენიტეტის მოპოვება გაცილებით უკეთესი იქნება ომის შემდეგ, თუ გაქვთ საშუალება თქვენი ქვეყნის ტერიტორიები თქვენივე ძალებით დაიბრუნოთ და არ ელოდოთ დახმარებას სხვა სახელმწიფოებისგან.

განმათავისუფლებელი კამპანიის დროს გექნებათ საშუალება, მიიღოთ არაპირდაპირი დახმარება, ანუ იარაღი და ტყვია-წამალი, რომელთაც მოკავშირეები საჰაერო გზებით მოგაწოდებენ; ეცადეთ არ დაგჭირდეთ ქვეითი ჯარის მოშველიება. ამით თავს აარიდებთ თქვენი ქვეყნის ხელახალ ოკუპაციას, თუნდაც მოკავშირეების მიერ. წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ „მოკავშირეებისა" და „განმათავისუფლებელი ძალების" გაყვანა ქვეყნიდან არ არის ადვილი. ყოველ შემთხვევაში, მათი თავიდან მოშორება უფრო რთულია, ვიდრე ტერიტორიაზე შემოყვანა.

და ბოლოს, ომის დამთავრების შემდეგ გეყოლებათ თქვენი ჯარი, თუნდაც, პრიმიტიული, მაგრამ ეს იქნება საფუძველი ახალი, უკეთესი სამხედრო ძალებისთვის.

ღია აჯანყების ეტაპზე სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობა იმოქმედებს ადგილობრივად, ხოლო პარტიზანულ ქვედანაყოფებს მობილური ძალების ფუნქცია დაეკისრება.

ძირითადი დანიშნულება ისაა, რომ დაბლოკოთ მტრის

შიდა საკომუნიკაციო ქსელი მოსახლეობის ღია ამბოხების მეშვეობით და გაანადგუროთ მოწინააღმდეგე შუალედურ ტერიტორიაზე შემოსვლისას ან დაბლოკილი საკომუნიკაციო ქსელის გათავისუფლების მცდელობისას.

მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ დიდი ტერიტორიები. აჯანყების ცენტრი უნდა იყოს დიდი ქალაქები, სადაც მტრისთვის რთული იქნება შეტევის მოგერიება. პარტიზანთა მობილური რაზმები შეუტევენ მტერს ხელსაყრელ რელიეფზე, მაგალითად ხეობაში, სადაც მტერს არ ექნება საშუალება გამოიყენოს მრავალრიცხოვანი ძალები, ყოველ შემთხვევაში, ვერ გამოიყენებს მათ ერთდროულად. პარტიზანული ქვედანაყოფი მინიმუმ ბატალიონის ზომისა უნდა იყოს.

მტერს ორი მხრიდან უნდა შეუტიოთ, თუნდაც არასასურველ პოზიციაში იმყოფებოდეთ. მაგალითად, თუ მტერი ცდილობს ამბოხების ჩახშობას ქალაქში, პარტიზანულმა ძალებმა უნდა შეუტიონ წინა და უკანა ფლანგებიდან.

აჯანყების ტაქტიკა

სამზადისი

მოიძიეთ ქალაქის რუკები თქვენთვის და თქვენი ქვეშევრდომი ლიდერებისთვის. მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილებზე, როგორებიცაა ხიდები, რკინიგზის სადგურები, სატელეფონო ოფისები, გასასვლელი გზები და ა.შ. წინასწარ დაიქირავეთ ბინები, სახელოსნოები და შენობები, სადაც აჯანყებამდე დიდი ხნით ადრე გამაგრდებით.

დაზვერეთ ეკლესიის სამრეკლოები და მაღალი შენობები, რომელთაც გამოიყენებთ სამეთვალყურეო პოსტებად. მოამზადეთ და შენიღბეთ ისინი. მაგალითად, გაიყვანეთ სატელეფონო ხაზები, რომელთა ქსელში შეერთებაღა იქნება საჭირო გადამწყვეტ მომენტში.

ცენტრალურ ტერიტორიაზე შეგიძლიათ შენიღბოთ სარდაფის ფანჯრები, მოამზადოთ ადგილები ტყვიამფრქვევებისა და ტანკსაწინააღმდეგო იარაღების დასადგმელად. მაგალითად, დაამონტაჟეთ იარაღის სადგარი საჭირო სიმაღლეზე. შტატივების დასარეგულირებლად და კედლების გასამაგრებლად გამოიყენეთ ქვიშით სავსე ტომრები ისე, რომ საჭირო მომენტში მხოლოდ იარაღის დამაგრება მოგიწიოთ.

ამრიგად, აჯანყების დაწყებას მომზადებული შეხვდებით.

ქალაქის ოკუპაცია

ქალაქის ოკუპაციის დროსაც იგივე პროცედურები გამოიყენება, რაც მოყვანილია თავში „პარტიზანული ქვედანაყოფების ტაქტიკა". განსხვავება ისაა, რომ ამ შემთხვევაში მონაწილეები არიან სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობის „საბრძოლო დაჯგუფებები" და არა პარტიზანული ძალები.

ქალაქში თავდაცვა

პირველ რიგში, უნდა ელოდოთ ტანკების კონტრშეტევას. საოკუპაციო ძალების მობილური სარეზერვო ქვედანაყოვები ძირითადად შედგება მექანიზებული პოლიციის პოლკებისგან.

მოშალეთ ქალაქის კომუნიკაცია. მტერი შეძლებს

გამოიყენოს არტილერია, ტანკები და ავიაცია მხოლოდ შეზღუდულ მონაკვეთებზე.

თქვენი ძალებით მთელი მოსახლეობის მხარდაჭერის შემთხვევაშიც კი ვერ შეძლებთ ყველა შენობის დაკავებას. სამხედრო თვალსაზრისით ეს არც არის აუცილებელი. დაიკავეთ მთავარი სტრატეგიული წერტილები, მნიშვნელოვანი მაგისტრალური კვანძები, ხიდები, რკინიგზის სადგურები, მთავარი გზაჯვარედინები და ა.შ. ასეთ პოსტებს შორის ტერიტორიას საბრძოლო პატრული გააკონტროლებს.

მუდმივად დაზვერეთ მთელი ქალაქი. დაზვერვა დაავალეთ ქალებს, გოგო-ბიჭებს. ამ მეთოდით, თავს აარიდებთ მტერთან მოულოდნელ შეხვედრას.

ჩამოაყალიბეთ მთავარი სარეზერვო ქვედანაყოფი და აღჭურვეთ იგი მოტორიზებული ჯავშანტექნიკით.

გაანაწილეთ ძალები შემდეგნაირად:

პერსონალი (შეიარაღებული ძალები); 1/4L მნიშვნელოვან წერტილებში, მოიერიშე რაზმებში, C1/2 ძირითად რეზერვში.

ამუნიცია და იარაღი:

1. მნიშვნელოვან წერტილებზე: თავი მოუყარეთ ტყვიამფრქვევებს, სნაიპერებს, მოლოტოვის კოქტეილებს, ასაფეთქებელ ნივთიერებებსა და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებს – დაახლოებით 1/5 ამუნიციისა და 1/5 ხელყუმბარებისა.

2. მოიერიშე რაზმები: მათ უნდა ჰქონდეთ ავტომატებისა და ტანკსაწინააღმდეგო იარაღის დიდი ნაწილი – ტყვიაწამლის 1/5, ხელყუმბარების 3/5 და ყველა ტანკსაწინაღმდეგო ნაღმმტყორცნი.

3. ძირითად რეზერვს უნდა ჰქონდეს ძირითადი ჯავშანტექნიკა, ყველა მსუბუქი ტყვიამფრქვევი და სარაკეტო დანადგარი – ტყვიაწამლის 3/5, ხელყუმბარების 1/5.

თუ მტერი შემოვლითი გზებით მოახერხებს გამაგრებული წერტილების გავლას, მოიქეცით შემდეგნაირად:

დააყენეთ კარგად აღჭურვილი და შენიღბული სნაიპერები სახურავებზე და მაღალ სართულებზე განლაგებულ ოთახებში. დაზვერეთ სავარაუდო შემოვლითი გზები და ჩააყენეთ მოიერიშე რაზმები.

მნიშვნელოვანი წერტილების გამაგრება:

დაიხმარეთ მოსახლეობა. სასოწარკვეთილი ხალხი ყველაფერს გააკეთებს თქვენთვის. მათი დახმარებით თქვენ შეძლებთ პოსტების ციხესიმაგრეებად ქცევას რამდენიმე საათში.

სამუშაო გეგმები, მასალების სია, სხვადასხვა პროექტის პრიორიტეტულობა, სამუშაო ძალების მეთვალყურეები და მსგავსი საკითხები დეტალურად უნდა განიხილოთ აჯანყების დაწყებამდე.

ხალხი, რომელიც არ მიეკუთვნება აქტიურ მებრძოლ ჯგუფებს, ქვიშითა და ნაგვით აავსებს ტომრებს. სარდაფებსა და სახლების პირველი სართულის ფანჯრებზე ხელყუმბარების საწინააღმდეგოდ დაამონტაჟეთ მავთულხლართები.

ტრამვაების, სატვირთო მანქანების, ცემენტის მილების, პნევმატური ბურღებისა და ბულდოზერების გამოყენებით ააგეთ ტანკსაწინააღმდეგო წინაღობები. სამშენებლო კომპანიებისგან მოიპოვეთ ამწეები, მოგლიჯეთ გზის საფარი და დაახვავეთ ნატეხები ქუჩაზე.

აღმართეთ ქვეითსაწინააღმდეგო წინაღობები მავ-

თულხლართებით. მასალას იშოვით სამშენებლო კომპანიებსა და მაღაზიებში.

პოსტებზე მოიმარაგეთ საკვები და საბრძოლო მასალები. დაამზადეთ მოლოტოვის კოქტეილები.

საყრდენი პოსტების ორგანიზება

თითოეული საყრდენი პოსტი შედგება ორი ან სამი შენობისგან. გამოდგება მხოლოდ მყარი კონსტრუქციის შენობები: სკოლები, ადმინისტრაციული შენობები, ქარხნები და სხვ. არ დაიკავოთ თანამედროვე აგურის შენობები. რკინაბეტონის კონსტრუქციები და ძველი სახლები (ავტორი გულისხმობს შვეიცარიულ სახლებს) ყველაზე კარგად უძლებს ტანკის შემოტევებს.

შესაძლებელი უნდა იყოს საყრდენი პოსტის შემადგენელი შენობებიდან ცეცხლის გახსნა და მნიშვნელოვანი პუნქტების (გზაჯვარედინების, ხიდების, მოედნების) კონტროლი.

ტანკსაწინააღმდეგო წინაღობა ისეთ ადგილას უნდა აიგოს, რომ მისკენ სროლა პოსტის ყველა შენობიდან შეიძლებოდეს. ყოველი შენობის მინიმუმ ორი მხარე დაცული უნდა იყოს მეზობელ კორპუსებში გამაგრებული რაზმებით.

ყოველ საყრდენ პოსტზე მიმაგრებულია 4-5 კაცისგან შემდგარი რეზერვი.

20. აჯანყებების ჩახშობისას მტრის მიერ გამოყენებული საბრძოლო მეთოდოლოგია

ქალაქებში შესვლა

მტერი ქალაქში ადრიანად, 4 საათამდე შევა. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ღამის გუშაგებს სძინავთ და დილის ცვლა ჯერ კიდევ არ გამოსულა სამუშაოდ. თუ რაიმე მიზეზის, ვთქვათ, ტრანსპორტირების პრობლემების გამო, მტერი ვერ ისარგებლებს ამ პერიოდით, ქალაქში შემოსასვლელად არჩევს დილის 10-დან 11 საათამდე მონაკვეთს, როცა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სამუშაოზეა. მტერი შემოსვლისთანავე დააზიანებს სატელეფონო სისტემას, რომ არ მოგცეთ საშუალება იატაკქვეშა მოძრაობას აცნობოთ მათ შესახებ.

ალყა – საომარი მდგომარეობა

აჯანყების ტერიტორიაზე შესვლისთანავე მტერი საომარ მდგომარეობას გამოაცხადებს.

ა. საომარი მდგომარეობა გამოცხადდება სამოქალაქო ოკუპაციის ტერიტორიებზე.

ბ. რესტორნები და კლუბები დაიხურება შებინდებამდე. დაწესდება კომენდანტის საათი, რომლის დროსაც გადაადგილების უფლება ექნებათ მხოლოდ საშვიან პირებს – ექიმებს და მნიშვნელოვანი საზოგდოებრივი ობიექტების (გაზის და ელექტროსადგურები, წყალგაყვანილობა, საავადმყოფოები) თანამშრომლებს. თუ გააყალბებთ ამ საშვებს, თქვენც შეგეძლებათ თავისუფლად იმოძრაოთ კომენდანტის საათებში.

აიკრძალება შეკრებები, რომლებშიც ათ კაცზე მეტი

მონაწილეობს. დაიხურება კლუბები და ასოციაციები. ამოქმედდება სამხედრო სასამართლო. გამოცხადდება, რომ ადგილზევე ესვრიან ნებისმიერ შეიარაღებულ პირს.

ყოველი სახლის კარი ჩარაზული უნდა იყოს, რადგან სახლის მეპატრონე ან კარისკაცი იქნება პასუხისმგებელი, თუკი მათი სახლიდან ვინმე ოკუპანტების წინააღმდეგ იმოქმედებს, თუნდაც უცნობის, რომელიც ღია კარიდან შეიპარება სახლში (შედეგი: ხალხი ერთმანეთის თვალთვალს დაიწყებს საკუთარი ტყავის გადასარჩენად).

ქუჩაზე გამავალი ყველა ფანჯარა დაკეტილი, ხოლო დარაბა ღია უნდა იყოს. პატრული გაფრთხილების გარეშე ისვრის ღია ფანჯარაში.

გ. ალყის პროკლამაცია:

ალყის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება რადიოთი, პლაკატებით, ქუჩაში დამონტაჟებული რეპროდუქტორებით და ვერტმფრენებიდან გადმოყრილი ბუკლეტებით.

ტერიტორიის დაზვერვა იერიშამდე

აჯანყების ჩახშობამდე მტერი აუცილებლად დაზვერავს ტერიტორიას. თქვენ ხელი უნდა შეუშალოთ მოწინააღმდეგეს, მაგრამ ეს რამდენადმე გაჭირდება, რადგან მტრის მზვერავები, რომლებიც ძირითადად სამხედრო პოლიციის წევრები, საოკუპაციო ჯარების ოფიცრები ან კოლაბორაციონისტები არიან, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულები იმოქმედებენ.

დაზვერვას ევალება გაარკვიოს:

პოლიტიკური ვითარება

რა სიმპათიებითა და დახმარებით სარგებლობენ აქტი-

ური მეამბოხეები მოსახლეობაში, რას ფიქრობს მათივე დანიშნული მთავრობა, ე.წ. მარიონეტთა ადმინისტრაცია, რომელიც მეხუთე კოლონის ყოფილი წევრებისგან შედგება, ისევ მტკიცედ სჯერა მტრის იდეოლოგიის, თუ ფიქრობს, რომ მხარეთა გაცვლის დრო დადგა;

სამხედრო ვითარება

დაზვერვა შეეცდება დადგინოს, რა რაოდენობის და რა სახის იარაღსა და საბრძოლო მასალაზე მიუწვდებათ ხელი მეამბოხეებს; არის თუ არა მათი ორგანიზაცია მტკიცე; მეამბოხეთა სამხედრო სტრატეგიიდან ჩანს თუ არა, რომ მათ ყოფილი ოფიცრები ან უმცროსი ოფიცრები ხელმძღვანელობენ, თუ მოყვარული ჯარისკაცებივით იქცევიან; აშენებენ თუ არა წინაღობებს და რა სიდიდის ტერიტორიაზე მიმდინარეობს აჯანყება; ქვეყნის დაახლოებით რომელ ნაწილში მდებარეობს მეამბოხეთა შტაბბინა.

გამომდინარე იქიდან, რომ მტერი კარგად არ იცნობს ტერიტორიას, ის შეეცდება მოიპოვოს ქალაქის რუკები, რითაც ბრძოლების დროს იხელმძღვანელებენ. ამიტომ, აჯანყებისთვის მზადების ერთ-ერთი შემადგენილი ნაწილი სწორედ ამ რუკების ხელში ჩაგდებაა. სპეციალური რაზმები გააქრობენ რუკებს ქალაქგეგმარების სამსახურებიდან, წიგნებისა და საკანცელარიო მაღაზიებიდან.

საკანალიზაციო სისტემის რუკების შეგროვებაც ამ ოპერაციის ნაწილია (იხ. შვეიცარიის უმცროს ოფიცერთა ასოციაციის ცენტრალური სამდივნოს მიერ გამოქვეყნებული ბუკლეტი „საბრძოლო მეთოდოლოგია“, II ტომი, გვ. 32-35, საკანალიზაციო სისტემაში ბრძოლების წარმოების შესახებ).

დაზვერვის მონაცემების მიხედვით, მოწინაღმდეგე შეადგენს სამოქმედო გეგმას, რომელიც ოკუპაციის ორ ტიპს მოიაზრებს:



მტერი რაც შეიძლება მრავალრიცხოვან ჯარს გამოყოფს აჯანყების ჩასახშობად, რადგან დამარცხების შემთხვევაში ამბოხება კიდევ უფრო გაძლიერდება და ბევრს გადაიბირებს.

ოკუპანტთა მიერ აჯანყებულების ალყაში მოქცევა

ზოგადი ინფორმაცია

მტერი ალყას შემოარტყამს ქალაქს და გადაჭრის მთავარ მაგისტრალებს, რითაც აღკვეთს მეამბოხეთა გაქცევისა და დამხმარე ძალების მოსვლის შესაძლებლობებს.

ინდივიდუალური ჯგუფები თავს დაესხმიან ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ მთავარ გზებზე მდგარ მნიშვნელოვან პუნქტებს, რათა აჯანყება დაშალონ წვრილ-წვრილ მებრძოლ ჯგუფებად.

ქვეითთა რაზმები ნელ-ნელა და დეტალურად გაჩხრეკენ ქალაქის უბნებსა და შენობებს. მოტორიზებული ძირითადი რეზერვი გაჩერდება ქალაქის შესასვლელებთან და საჭიროების შემთხვევაში ჩაანაცვლებენ დაღ-

ლილ ჯარისკაცებს, არ მისცემენ მეამბოხეებს ქალაქიდან გაქცევის საშუალებას და მოგვიანებით აიღებენ ქალაქის განსაკუთრებულად მტკიცედ გამაგრებულ ნაწილებს. ოპერაციის კოორდინირება და მართვა გაადვილდება რაციებისა და ვერტმფრენების გამოყენებით.

დეტალური ორგანიზება

საოკუპაციო ძალები დაიყოფიან შემდეგ ნაწილებად: კომუნიკაციის ჩასაკეტი ძალები, შიდა და გარე პერიმეტრი და გამწმენდი ძალები.

ყველა სახის სამხედრო ძალა – პარტიული მილიცია, რეგულარული საპოლიციო რაზმები, უშიშროება – გაერთიანდება ერთი ხელმძღვანელის ქვეშ.

მთლიანი ოპერაციის ხელმძღვანელი

უმაღლესი სამხედრო მეთაური, სავარაუდოდ, სახელმწიფო უშიშროების („ენკაუედე") გენერალი

პერიმეტრის ქვედანაყოფის უფროსი | **გამწმენდი ოპერაციის ხელმძღვანელი**

სამხედრო | **პარტიული მილიცია** | **სამხედრო** | **სახელმწიფო უშიშროება**

პოლიცია

გარე პერიმეტრი აკავებს აჯანყების ტერიტორიაზე დამხმარე ძალების შესვლას, ატარებს გამწმენდ ოპერაციებს ქალაქგარეთ მყოფი პარტიზანებისგან. გარე პერიმეტრის მთავარი ჩამკეტი ძალა პარტიული მილიციაა, რომელიც არეგულირებს მოძრაობას და ამოწმებს ხალხსა და ტრანსპორტს. ქვეითი ჯარი და ტანკები ძირითად სარეზერვო ძალას წარმოადგენენ. გარე პერიმეტრი კეტავს ქალაქის პერიფერიებისკენ მიმავალ გზებს, თუმცა ამ მჭიდრო ქსელის შემოვლა სათადარიგო ქუჩებით ადვილად შეიძლება.

შიდა პერიმეტრი მემბოხეებს ხელს უშლის გაქცევაში. მთავარი ტაქტიკური ნაწილი ქვეითი ჯარისკაცებისგან შედგება. ბრძოლის ველად ირჩევს გაშლილ ტერიტორიებს (სკვერებს, არხებს, ფართო ქუჩებსა და ღია მოედნებს), რათა დაზოგოს პერსონალი ჩამკეტი ოპერაციებისთვის, რაც მრავალრიცხოვან ძალებს მოითხოვს.

გამწმენდი ძალები: მოიერიშე რაზმები – ქვეითი ჯარისკაცები და ჯავშანტრანსპორტიორები – თავს დაესხმიან მეამბოხეთა ყველაზე კარგად გამაგრებულ პუნქტებს. მოიერიშე რაზმებს ზურგს გაუმაგრებს ტანკებითა და ყუმბარმტყორცნებით შეიარაღებული დამხმარე რაზმები. სამძებრო ჯგუფები გააერთიანებს ქვეით ჯარისკაცებსა და სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლებს.

მტრის თავშეყრის ადგილები

მტერი შეკრების ადგილების არჩევისას უპირატესობას გაშლილ და იოლად კონტროლირებად ადგილებს მიანიჭებს (რკინიგზის სადგურები, დიდი კომპლექსური სკვერები და ა. შ.), სადაც ადვილად შეძლებს მანევრირებას. გარდა ამისა, პარტიზანები არ ფლობენ ისეთ ტექნიკას (არტილერია, თვითმფრინავები, ყუმბარმტყორცნები), რითაც შეეძლებათ იერიში მიიტანონ ასეთ ადგილებზე განთავსებულ ოკუპანტთა ჯარებზე.

შიდა და გარე პერიმეტრი

გარე პერიმეტრის ძირითადი შემადგენელი ნაწილი პარტიული მილიციაა, რომელიც არეგულირებს მოძრაობას და ამოწმებს ხალხსა და ტრანსპორტს.

გარე პერიმეტრი აკავებს აჯანყების ტერიტორიაზე

დამხმარე ძალების შესვლას, იცავს გამწმენდ ოპერაციებს ქალაქგარე პარტიზანებისგან.

გარე პერიმეტრი კეტავს ქალაქის პერიფერიებისკენ მიმავალ გზებს, თუმცა ამ მჭიდრო ქსელის შემოვლა ადვილად შეიძლება სათადარიგო ქუჩების გამოყენებით.

შიდა პერიმეტრი მემბოხეებს ხელს უშლის გაქცევაში.

რადგანაც მტერი არ იცნობს ტერიტორიას, გაუჭირდება ზუსტი საზღვრების გავლება სახლებისა და ქუჩების ჩახლართულ ლაბირინთში. ამიტომ განლაგდებიან ადვილად გასარჩევ პუნქტებზე, როგორებიცაა: არხები, მაგისტრალები, რკინიგზის ლიანდაგები და კომპლექსური ღია ტერიტორიები.

შიდა პერიმეტრის ფუნქციაა ხელი შეუშალოს მეამბოხეებს გაქცევაში. პერსონალის დაზოგვის მიზნით, მტერი იკავებს აშკარად გამოკვეთილ პუნქტებს: არხებს, სკვერებს, სარკინიგზო ლიანდაგებს და სხვ.

მიწისზედა სარკინიგზო ხაზები კარგ საბრძოლო პუნქტებად ითვლება, რადგანაც მათზე გამაგრებულ ძალებს სამოქმედოდ დიდი ტერიტორია აქვთ.

მტერი აუცილებლად დაიკავებს ხიდებს, რათა ხელი შეუშალოს მეამბოხეთა გაქცევას და გააადვილოს მეზობელ ტერიტორიებზე მოძრაობა.

გრძელი და სწორი ქუჩები ადვილად კონტროლდება და საუკეთესო ადგილია ავტომატური იარაღით ბრძოლისათვის.

გახსოვდეთ, რომ თავდაცვის ფრონტთან მდებარე გაშლილი ტერიტორიები სახიფათოა. სანამ ჯერ კიდევ გექნებათ თავისუფლად გადაადგილების საშუალება,

დაიკავეთ პოზიციები ისე, რომ ეს ადგილები თქვენს ზურგში მოექცეს. თუ ასე განლაგებას ვერ შეძლებთ, მიმართეთ ყუმბარმტყორცნები ამ მიმართულებით.

ფრონტის გარღვევა

ქალაქში ბრძოლის ტაქტიკაა ფრონტის გარღვევა ისეთ ადგილას, სადაც შეღწევის ტერიტორიის სიღრმე ნაკლებია.

თქვენს სიტუაციურ რუკაზე უნდა დაიტანოთ მტრის ყველა ახლად დაყენებული პოსტი. მალე ხელთ გექ-ნებათ ნათელი სურათი იმისა, თუ როგორ ვითარდება შიდა პერიმეტრი. ამ მეთოდით ადვილად განსაზღვრავთ ისეთ პუნქტებს, რომლებიც ყველაზე ნაკლები სიღრმით გამოირჩევიან და რომლებზედაც, სავარაუდოდ, მტერი მიიტანს იერიშს. გააძლიერეთ ამ პუნქტების დაზვერვა, გაამაგრეთ რეზერვით და ა. შ.

მოძრაობა ქუჩებში

თითოეული მთავარი ქუჩისთვის მტერი გამოყოფს ერთ ასეულს.

ორი ოცეული იმოძრავებს ერთმანეთის გასწვრივ, ერთი – ქუჩის იმ მხარეს, რომელიც უფრო დაცულია, ხოლო მეორე – ეზოების გავლით. მესამე სარეზერვო ოცეული უკან გაჰყვება წინა ოცეულებს და გაჩხრეკს ტერიტორიას.

მთავარი ქუჩების ორივე მხარეს იმოძრავებს ერთი ათეული, ხოლო მეორე სათადარიგო ათეული უკან გაჰ-ყვება პირველს ქუჩის ყველაზე დაცულ მხარეს. ათეუ-ლებს გაამაგრებენ ქვეითი ჯარი და ტანკები.

მოწინავე ოცეულის ჩავლის შემდეგ, სარეზერვო ოცე-

ულის ერთი ათეული გაჩხრეკს ქუჩის ორივე მხარეს განლაგებულ სახლებს, რათა არ მოხდეს ცეცხლის გახსნა ზურგიდან. სარეზერვო ოცეულის შემადგენლობაში ასევე შედიან სახელმწიფო უშიშროების წევრები. რადგანაც ჩხრეკას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე მოწინავე ოცეულის გადაადგილებას, სარეზერვო ოცეული განსაზღვრავს მოძრაობის სიჩქარეს. როდესაც მოწინავე რაზმი ჩაებმება ბრძოლაში, კოლონის უკანა რიგების ჯარისკაცები თავს შეაფარებენ სახლებს. გზაჯვარედინებზე რაზმები გაერთიანდებიან.

როგორც ხედავთ, მოწინააღმდეგის ჯარებს ქალაქში მოძრაობა გაუჭირდებათ და ბევრ დროსაც დაკარგავენ.

ბარიკადების დარბევა

მტერი შეეცდება შორი მანძილიდან დაშალოს ბარიკადები მძიმეკალიბრიანი იარაღის, ტანკების, არტილერიის გამოყენებით.

მეამბოხეთა მხრიდან ცეცხლის გახსნის შემთხვევაში, მტრის რაზმების ის ნაწილი, რომელიც არ ჩაება ბრძოლაში, მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით თავს შეაფარებს სახლებს.

ქუჩის მარჯვენა მხარეს მოძრავი რაზმი დაიცავს შენობების მარცხენა მხარეს, ხოლო მარცხნივ მოძრავი რაზმი – მარჯვენა მხარეს.

დიდი შენობების გაწმენდა ოკუპანტთა მიერ

მტერი ალყას შემოარტყამს შენობას და გადაკეტავს მასთან მისასვლელ გზებს ავტომატებით შეიარაღებული ჯარისკაცებითა და მავთულხლართებით. სამიზნეს დაიცავს ტანკები. მეზობლად განლაგებული შენობების

სახურავებზე ჩასაფრდებიან სნაიპერები, რომლებიც გააკონტროლებენ სამიზნის სახურავს.

სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლებით დაკომპლექტებული მოიერიშე რაზმი ჩხრეკს შენობებს. სახელმწიფო უშიშროების ოფიცრები საეჭვო პირებსა და პატიმრებს დაუყოვნებლივ გადაიყვანენ სატვირთო მანქანებით. რეზერვი, საჭიროების შემთხვევაში, აძლიერებს მოიერიშე რაზმს. ოკუპანტები რუპორით მოუწოდებენ მეამბოხეებს. დამონტაჟდება პროჟექტორები, რათა ოპერაცია არ შეწყდეს ღამით.

ტერიტორიის გაწმენდა მტრის მიერ

სამთავრობო შენობების თუ მემორიალების წინ შეკრებილი მოსახლეობის დასარბევად მტერი იმოქმედებს შემდეგნაირად:

დარბეული დემონსტრანტები გაიქცევიან ქუჩების გავლით ან თავს შეაფარებენ შენობებს.

ოკუპანტები სპეციალურად არ ჩაკეტავენ მოედნიდან გამავალ ქუჩებს.

მტერი თავდაცვის მიზნით ზურგს უკან დაკეტავს გზებს.

გვერდითა ფლანგის ქუჩები ჩაიკეტება მავთულხლართებით და დადგება დაცვა.

დემონსტრაციის დაშლის შემდეგ, მტერი ჩაკეტავს მოედანზე შემოსასვლელ ქუჩებს, რათა თავიდან აიცილოს ხალხის კვლავ შეკრება.

მტერი შეტევაზე გადავა მოედნის იმ მხარეს, საიდანაც ყველაზე ცოტა ქუჩა შემოდის.

ოკუპანტების მიზანია, დემონსტრანტები რაც შეიძლება სწრაფად და შეუფერხებლად დაშალონ. ამიტომ

ისინი მოუწოდებენ მოსახლეობას გააღონ სახლის კარები, ხოლო მოედანზე გამავალი ფანჯრები დაკეტონ, რითაც დემონსტრანტებს საშუალება ეძლევათ თავი შეაფარონ სახლებს, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ვერ შეძლებენ ესროლონ მტერს დაკეტილი ფანჯრებიდან. მტერი მოედნიდან გამავალი ქუჩების უმრავლესობას ღიას დატოვებს, რათა დემონსტრანტებს გაქცევის საშუალება მიეცეთ. მოედანს გაწმენდენ იმ მხრიდან, საიდანაც ყველაზე ცოტა ქუჩა შემოდის.

მოედნის გასაწმენდად მტერი გამოიყენებს ტანკებს, ჯავშანტრანსპორტიორებს ან სატვირთო მანქანებს. ტანკები განლაგდებიან ერთ ხაზზე და წინ თანაბარი სიჩქარით გადაადგილდებიან. შესაძლოა, ერთი ფლანგი დაზვერვის მიზნით ოდნავ წინ იყოს წაწეული.

ტანკებს უკან მოსდევს სატვირთო მანქანები სარეზერვო ძალებით, რომელთაც ევალებათ მავთულხლართით გადაკეტონ გვერდითა ქუჩები, საიდანაც მოსალოდნელია დემონსტრანტთა თავდასხმა. მათ უნდა გადაიყვანონ დაპატიმრებული დემონსტრანტები.

ქალაქის ოკუპაცია აჯანყების ჩახშობის შემდეგ

გაწმენდის ოპერაციის დასრულების შემდეგ დაფუძნდება „დახურული ზონები“, სადაც საოკუპაციო ჯარები მკაცრად იქნებიან გამოყოფილნი მოსახლეობისგან უსაფრთხოებისა და პოლიტიკური ზეგავლენის არიდების მიზნით. ამ უბნების მიმდებარე ტერიტორიას გააკონტროლებს ქვეითი პატრული და ტანკები. საყრდენი პოსტები მოთავსდება კარგად დაცულ შენობებში.

პატრულს უხელმძღვანელებენ ოფიცრები. დახურული ზონების სიახლოვეს პატრული ათეულისგან შედ-

გება, ხოლო უფრო მოშორებით – ასეულისგან, თანაც აღჭურვილია სატვირთო მანქანაზე დამონტაჟებული ტყვიამფრქვევით.

ოფიცრები არიან პასუხისმგებელნი იმაზე, რომ ჯარისკაცებს ურთიერთობა არ ჰქონდეთ მოსახლეობასთან, რათა ხალხმა ჯარისკაცებს იარაღი არ წაართვას. ისინი უფლებამოსილნი არიან ცეცხლი გაუხსნან საეჭვო პირებს.

პატრული განსაკუთრებულად საშიშია, რადგან შეიძლება უფრო ადრე გახსნას ცეცხლი. უფრო დიდი და კარგად შეკრული ქვედანაყოფი გაცილებით დინჯად მოქმედებს. რაც უფრო მცირერიცხოვანია საპატრულო ერთეული და რაც უფრო შორს იმყოფება იგი დახურული ზონიდან, მით უფრო ადრე გახსნის ცეცხლს.

დახურული ზონის გუშაგებს მალე შეცვლის მავთულხლართის ღობე, რაც უფრო ეფექტურია და თან პერსონალიც თავისუფლდება სხვა ოპერაციებისთვის. გუშაგები განთავსებულნი არიან ბარიკადებიდან და მავთულხლართებიდან მინიმუმ 30 მეტრის მოშორებით, რათა ვერ მოახერხონ მოსახლეობასთან საუბარი. ეს ხელს უწყობს გუშაგთა დაცვას მოსახლეობის პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეგავლენისგან.

მავთულხლართის ღობესთან დაიდგმება ნიშანი, რომელიც აკრძალავს დახურულ ზონაში შესვლას. გაფრთხილების გარეშე ესვრიან ყველას, ვინც ამ წესს დაარღვევს.

განიარაღება

ხალხს მიეცემა ვადა იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და ხელყუმბარების ჩასაბარებლად, იმ პირო-

ბით, რომ ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს, არ დაისჯება.

როგორც კი მტერს თქვენს იარაღს ჩააბარებთ, დაპირების მიუხედავად, მაშინვე მოხვდებით შავ სიაში. მტერს ყოველთვის დასჭირდება ტყვეები ან იძულებითი მუშახელი და დიდი სიამოვნებით გამოიყენებს ამისთვის შავ სიას. კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ მტერს ვერსად გაექცევით და სჯობს ბრძოლაში დაიღუპოთ.

იარაღის ჩაბარების ბოლო ვადის ამოწურვის შემდეგ მოეწყობა რეიდები და ჩხრეკები.

შემოწმების დროს მტერი მოულოდნელად დაკეტავს ქუჩებს და გაჩხრეკს ქვეითად მოსიარულეებს, ავტომობილებსა და ბარგს.

თუ გაქვთ იარაღი, იატაკქვეშა გაზეთი ან სხვა მსგავსი ნივთი და ქუჩის ჩხრეკაში მოხვდებით, უნდა იმოქმედოთ სწრაფად. ქუჩის გადაკეტვა გარკვეული ხნით ქაოსსა და დაბნეულობას გამოიწვევს და სწორედ ამით უნდა ისარგებლოთ. დაახლოებით 10 წუთში მტერი დაიწყებს „ბადეში მოხვედრილი“ ხალხის რიგებად დაწყობას, რათა უკეთ გააკონტროლონ სიტუაცია. როდესაც რიგები დალაგდება, უკვე გაგიჭირდებათ საეჭვო ნივთების მოშორება. ამას ისიც გაართულებს, რომ მტერს უთუოდ ეყოლება წინასწარ შემოგზავნილი აგენტები, რომლებიც ჩუმად უთვალთვალებენ ხალხს.

თუ საეჭვო ნივთები ჩემოდანში ან ხელსაწყოების ყუთში გიდევთ, დადეთ ის ძირს, ვითომ დაიღალეთ და გეზარებათ მისი წაღება. ცოტა ხანში განაგრძეთ გზა, ვითომ დაგავიწყდათ ჩემოდნის აღება. თუ თანამგზავრი გახლავთ, მას შეუძლია დაგეხმაროთ მცირე არეულობის სიმულირებით. მაგალითად, შეუძლია ხელი გაიშვიროს

სახურავისკენ და დაიყვიროს: „შეხედეთ, ვიღაც სახურავზე ვარჯიშობს“. ისარგებლეთ ასეთ მომენტში შექმნილი არეულობით და გაერიდეთ ჩემოდანს, რათა უკეთესად დაინახოთ ადამიანი, რომელიც სახურავზე ვარჯიშობს.

შედარებით მომცრო ობიექტების, მაგალითად პისტოლეტის, ხელყუმბარის, პროკლამაციების დასტის ან გაზეთის ქონის შემთხვევაში, მოიქეცით შემდეგნაირად: ჩაიცუცქეთ რაიმე ხვრელთან. თანამგზავრები ამოგეფარებიან და ხალხის ყურადღებას მიიქცევენ. ამასობაში კი თქვენ საგანს ჩააცურებთ ხვრელში.

ბაღის ღობეც შესანიშნავი ვარიანტია. მიეყუდეთ მას და ამოიღეთ სიგარეტი, მოუკიდეთ და სანთებელა ან ასანთი ჩადეთ ჩანთაში, სადაც საეჭვო ნივთი გიდევთ. ხელის ამოღების დროს ამოაყოლეთ ნივთი, ხელები ზურგს უკან წაიღეთ და საგანი ნელა შეაცურეთ ღობეში. აქაც შეიძლება დაგეხმარონ მეგობრები მოფარებით ან ყურადღების გადატანით.

რამდენიმე დღის შემდეგ მიაკითხეთ გადაგდებულ ნივთს. ოღონდ ფრთხილად იყავით, რომ მტრის მახეში არ გაებათ.

თუ თქვენ არ გაქვთ რამე საეჭვო, მაგრამ თქვენს გვერდით მდგომი ცდილობს რაიმე საეჭვო ნივთის მოშორებას, თქვენ ვალდებული ხართ დაეხმაროთ მას.

საცხოვრებელი კორპუსის ჩხრეკა

საღამო ხანს ან ღამით, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული აგენტი (უშიშროების თანამშრომელი, სამხედრო და ა.შ.) დაზვერავს შემოგარენს, რომ დაადგინოს მისასვლელი გზები და განსაზღვროს ოპერაციის ჩასატარებლად საჭირო ხალხის ოდენობა.

მტერი ეცდება ეს ყველაფერი რაც შეიძლება მალე დაასრულოს, რათა თქვენ ვეღარ მოახერხოთ კონტრზომების მიღება, როგორებიცაა: ძალების შეგროვება, დამალვა, გაქცევა და ა.შ.

სახლების ჩხრეკა იწყება ალიონზე, სანამ ხალხი სამსახურებში წავა.

სადაც მოახერხებს, მტერი ყველგან განათავსებს მავთულხლართებს, რომლებიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და ხელს უშლის ხალხის გასვლა-შემოსვლას ჩხრეკის ტერიტორიაზე.

ცალკე მგდგომი შენობები განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს. რიგებად ჩამწკრივებული სახლების დამუშავება გაცილებით რთულია, რადგან აქ მტერი იძულებულია დაბლოკოს შენობა ყველა მხრიდან.

ჩხრეკას ატარებს ქვეითი ათეული ან ოცეული უშიშროების ერთი-ორი თანამშრომლის თანხლებით. ორი გუშაგი გამაგრდება სხვენში, რათა მეამბოხეები სახურავიდან არ გაიქცნენ. თითო დარაჯი დაიცავს ყველა სართულის კიბეს და უთვალთვალებს კარებს. სამი დარაჯი დადგება პირველ სართულზე, თითო დარაჯი დაიცავს წინა და უკანა შესასვლელსა და სარდაფში ჩასასვლელს.

საცხოვრებელი უბნის ჩხრეკა

ერთი ათეული გაჩხრეკს ერთ სახლს.

უშიშროების თანამშრომლები გაამხნევებენ ჯარისკაცებს, რომელთაც ნაკლებად აინტერესებთ მიმდინარე მოვლენები, მაგრამ არც ის უნდათ, პოლიტიკურად არასანდო ხალხად ჩათვალონ.

ორი გუშაგი იცავს პირველ სართულს, ხოლო მესამე – სარდაფს.

ორი გუშაგი აკონტროლებს სხვენს, რათა მოქალაქეებს არ მიეცეთ სახურავიდან გაქცევის საშუალება.

თითო დარაჯი დაიცავს ყველა სართულის კიბის უჯრედს და უთვალთვალებს კარს.

თავად ჩხრეკის ოპერაციას განახორციელებენ უშიშროების თანამშრომლები.

როგორც წესი, მაცხოვრებლებს თავს მოუყრიან გაშლილ ადგილზე (ეზოებში, სკვერებში და ა.შ.), სადაც იოლია მათი მეთვალყურეობა. შენობის მეპატრონემ ან დამლაგებელმა უნდა დაადასტუროს, ყველა არის თუ არა ადგილზე, ვინ აკლია და ვინ არ არის კონკრეტული სახლის მობინადრე.

მაცხოვრებლებს სათითაოდ იძახებენ, როდესაც მათი ბინის გაჩხრეკის ჯერი მოდის. კარს, რომელსაც ვერ გააღებენ, შეამტვრევენ. ზედმიწევნითი ჩხრეკა დიდ დროს მოითხოვს. ამიტომ უშიშროების სპეციალისტები სხვადასხვა მეთოდს გამოიყენებენ.

მაცხოვრებელზე გამანადგურებელ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური პოლიციის დანახვა.

ყველა ჯარისკაცი განსაკუთრებულ აქტიურობას გამოიჩენს, რათა ზემოხსენებულმა ორგანოებმა ისინი პოლიტიკურად არასანდო პირებად არ მიიჩნიოს.

განსაკუთრებული გულმოდგინებით გაჩხრეკენ საბაზანოებს, გარდერობებს, ჩემოდნებს, ყუთებს, საკვამურებს, საწოლებს, იატაკებსა და ა.შ. შეამოწმებენ სამშენებლო ნარჩენების, შეშის, ნახშირის გროვებს სარდაფებსა და ეზოებში.

საბოლოო შენიშვნები

ორი მოწინააღმდეგის თავგანწირულ ბრძოლაში, რომელშიც იდეოლოგია და რელიგიაცაა ჩართული, საბოლოო გამარჯვება პარტიზანებისა და სამოქალაქო წინააღმდეგობის მხარესაა.

სამხედრო ექსპერტი, რომელიც არასათანადოდ აფასებს ან უგულებელყოფს პარტიზანული ბრძოლის უპირატესობებს, დიდ შეცდომას უშვებს, რადგანაც არ ითვალისწინებს მეომართა თავგანწირვას.

სამოქალაქო პირებს გადამწყვეტი და სასტიკი ბრძოლა მოუწევთ დეპორტაციის, სიკვდილისა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრის საფრთხის ქვეშ.

ჩვენ უნდა მოვიგოთ და მოვიგებთ კიდეც ამ ომს, რადგანაც ყოველ შვეიცარიელს მტკიცედ სწამს, რომ მონობას სიკვდილი სჯობს.

ბერნი, 1958 წლის 17 მარტი

ავტორი